პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 მარტი **ორშაბათი** 2010

№048(13036) ფასი 60 თეთრი




ლელოს სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე და კახა ბერიძე ვანკუვერიდან

>> გვერდი 3-4

## დავამთავრეთ

### ვანკუვერი და მისი გაკვეთილები

ტრასაზეა იასონ აბრამაშვილი

კახა ბერიძის ფოტო

# ზელანდიისკენ!




>> გვერდი 2

დავით დადუნაშვილის ლელო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ლიპარტელიანის გასროლა პრაღაში



ძიუდო. მსოფლიოს თასი >> გვერდი 16



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

>> გვერდი 7

## დღეს ცხრა ოცი გახდება

## მერებაშვილმა საგოლე პასით დაიწყო



ლეგიონის უქმეები >> გვერდი 10

**დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასის შესარჩევი

# მოვიგეთ და ახალ ზელანდიაში მივდივართ

**საქართველო-ესპანეთი 17:9**

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე (კაჭარავა 62), გიორგაძე, მაჩხანელი, მალაღურაძე (ჩხიკვაძე 62), აბუსერიძე (სამხარაძე 69). (1-8) შველიძე, დადუნაშვილი (ბრეგვაძე 69), ქუბრიაშვილი (ზირაქაშვილი 50), ზედგინიძე, დათუნაშვილი, ლაბაძე (ჩხაიძე 50), თავართქილაძე, უდესიანი.

*ლ: უდესიანი, თავართქილაძე, დადუნაშვილი. გ: კვირიკაშვილი*

სინბინი: დათუნაშვილი

ესპანეთი (15-9) პ.მარტინი, ი.მარტინი, ნავა, კანოსა, პარდო, მასო, ფერნანდესი (პუგბერტი 57). (1-8) ასევედო (პრადალი 50), ბორხესი (პინტო 50), გურგენაძე, არამბურუ, სოუტო, ნეგრილიო, ასენია, კუკი (კამაჩო 53).

*ჯს: ნავა.*

სინბინი: ასევედო

მსაჯი: ჟან-პიერ მატე (საფრანგეთი)

„არ ვიცი, რატომ, მაგრამ არსად ჩანდა შემართება, ბურთს ვერ ვაკონტროლებდით. არადა, მატჩისთვის მართლაც მთელი მონდომებით, სერიოზულად ვემზადებოდით. ძალიან გაგვიმართლა, რომ ეს თამაში მოვიგეთ. თუ ასე ვითამაშეთ რუმინეთთან, რუსეთთან და, მით უმეტეს, მსოფლიო თასზე, ცუდად იქნება ჩვენი საქმე", - იმედგაცრუებას ვერ მალავდა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **ტიმ ლეინი.**

2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მორიგ შეხვედრას ესპანეთის ნაკრებთან „ბორჯღალოსნებისთვის" უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში ჩვენი მორაგბეები შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მსოფლიო თასის საგზურს ინაღდებდნენ. ძნელი სათქმელია, ჩვენი ბიჭები ამ გარემოებამ ფსიქოლოგიურად დათრგუნა თუ რა, მაგრამ ფაქტია, უმოტივაციო მეტოქესთან თამაში მძიმედ დაიწყეს.

ანგარიში მე-3 წუთზე სტუმრებმა გახსნეს. რაკში თამაშისას ქართველმა მორაგბეებმა წესი დაარღვიეს და ესპანელთა შუამარბმა **ხაიმე ნავამ** საჯარიმო ხელსაყრელი პოზიციიდან გაიტანა - 3:0. „ბორჯღალოსნებმა" თამაში ვერც ამის მერე დაალაგეს, თუმცა ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მალევე მიეცათ. **მერაბ კვირიკაშვილმა** საჯარიმო ორმოციოდ მეტრიდან დაარტყა და ვერ გაიტანა.

მე-7 წუთზე კი მოედანზე სულაც კაცნაკლულნი დავრჩით. ერთ-ერთი შეტევისას ბურთი დაიკარგა და მეტოქემ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო. ჩვენმა მეორეხაზელმა **ლევან დათუნაშვილმა** უბურთო მეტოქეზე ითამაშა და არბიტრმა სინბინში გაუშვა. ნავამ საჯარიმო ამჯერად ვერ გამოიყენა.

საქართველოს ნაკრები ნელ-ნელა ზეწოლას აძლიერებდა. სტუმრებს რამდენჯერმე მოლით შეუტიეს. დანიშნულ შერკინებაში მეტოქე ვერ გვიძლებდა და წესს ხშირად არღვევდა. სათამაშო უპირატესობა მთლიანად „ბორჯღალოსნების" ხელში იყო. შედეგი კი არ ჩანდა. ესპანელი „ლომები" თავს მართლაც ლომებივით იცავდნენ, თუმცა ქართველი მორაგბეებიც ხშირად სცოდავდნენ. განსაკუთრებით ხშირი იყო ტექნიკური წუნი გაშლილი, ხელდახელ ბურთაობის მცდელობისას.

ერთი სიტყვით, სტუმრები არაფრის დათმობას აპირებდნენ და მედგრად იდგნენ. მათი დაცვის გაბიაბრუება ბოლოს მესამეხაზელმა **ბესო უდესიანმა** შეძლო. 31-ე წუთზე ესპანელთა ჩათვლის მოედნიდან ათიოდ მეტრში „ბორჯღალოსნებმა" საჯარიმოს ნაცვლად შერკინება მოითხოვეს. წესით, მეტოქის შერკინების ლელოში შეთრევა კიდევ ერთხელ უნდა ეცადათ. სწორედ ამიტომ ესპანელებს მთელი ყურადღება შერკინებისკენ ჰქონდათ გადატანილი, რითაც ბრწყინვალედ ისარგებლა უდესიანმა. მან დროულად შენიშნა დაუცველი ზონა, შერკინებიდან ბურთი აიტაცა და ლელოსკენ გაიჭრა. გარდასახვა კვირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა - 7:3.



ლაშა თავართქილაძემ დებიუტი ლელოთი აღნიშნა

გატანილმა ლელომ ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გაათამამა. ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ესპანელები კიდევ ერთ ლელოს გადაურჩნენ. ბორჯღალოსნებმა მორკინალების მოკლე დარტყმებით განხორციელებული რამდენიმეფაზიანი შეტევა მარჯვნივ გრძელ ფრთაზე განაგრძეს, სადაც ჩვენი უკანახაზელები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. ბურთი ბოლომდე, კიდემდე ჩაათამაშეს და ლელოში შეფრენილ გარემარბ **მალხაზ ურჯუკაშვილს** ესპანელმა **იგნასიო მარტინმა** ბოლო მომენტში ბურთი ხელიდან გააგდებინა. პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ბევრად მეტი შემართებით, აქტიურად დაიწყო და მორიგი ლელოს გასატანად სულ ხუთი წუთი დასჭირდა. შერკინებასთან ერთად უკანა ხაზიც გააქტიურდა. ფულბეკი მერაბ კვირიკაშვილი ხშირად მგეზავის პოზიციაზე გადადიოდა და გუნდი ორი მგეზავით უტევდა. მარჯვნივ თუ „მეკო" ათამაშებდა ბურთს, მარცხნივ **ლაშა მალაღურაძე** ირჯებოდა და პირიქით. აქტიური თამაშით მეტოქეს უამრავი თავსატეხი გაუჩინა **ირაკლი მაჩხანელმაც.**

45-ე წუთზე ესპანელებმა შეტევა თითქოს მოიგერიეს, ბურთი ოცდაორმეტრიანი ზონიდან გამოიტანეს, მაგრამ მას კვირიკაშვილი მარცხენა ფრთაზე დაეუფლა. „მეკომ" გეზი გრძელი ფრთისკენ აიღო, ხუთიოდ მეტრი გაიარა და მარცხნივ, იქვე მიმყოლ მალაღურაძეს გადააწოდა. ამან ორ მეტოქეს შორის გაიარა და კიდევ უფრო მარცხნივ მოძებნა მესამეხაზელი **ლაშა თავართქილაძე,** რომელმაც დებიუტი ლელოთი აღნიშნა. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 12:3.

ამის შემდეგ ტიმ ლეინმა შეცვლებს მიმართა. მოედანზე **დავით ზირაქაშვილი, გიორგი ჩხაიძე** და **დავით კაჭარავა** გამოჩნდნენ. „ბიგოს" წყალობით მეტოქის რამდენიმე დერეფანი წამოვიღეთ, ზირაქაშვილმა შერკინება უფრო მობილური გახადა. თუმცა მესამე ლელო მხოლოდ 24 წუთის შემდეგ გავიტანეთ. შეტევა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. ხან მორკინალები, ხანაც ხაზის მოთამაშეები მიმართულების ხშირი ცვლით მეტოქის ლელოსკენ მიიწევდნენ, მაგრამ სტუმრები დაცვაში სწრაფად გადაწყობის წყალობით ჩათვლის მოედანთან კედელივით იდგნენ. „ბორჯღალოსნებმა" ბოლოს ბურთი გრძელ ფრთაზე გაიტანეს, ხელდახელ კიდემდე ჩაათამაშეს, სადაც გარემარბის პოზიციაზე პირველხაზელი **დავით დადუნაშვილი** იდგა. მის წინ უმალ სამი მოწინააღმდეგე აღიმართა. დადუნაშვილი არ შეეპუა, ჯიქურ გაიწია და სამივე ბურთიანად ლელოში შეიტანა. კვირიკაშვილმა გარდასახვა ამჯერადაც ვერ გაიტანა - 17:3.

თამაშის დასრულებამდე 10 წუთი რჩებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, ამ დროში ესპანელებს მატჩის ბედი სათავისოდ შემოებრუნებინათ. როგორც ჩანს, ჩვენმა მორაგბეებმაც ირწმუნეს გამარჯვება, ოდნავ მოეშვნენ, რაც ორჯერ დაჯარიმების ფასად დაუჯდათ. ნავამ ორივე საჯარიმო გაიტანა - 9:17. გამარჯვება საქართველოს ნაკრებს დარჩა და ახალ ზელანდიაში გასამგზავრებელი ბილეთები შეუკვეთა.

## მატჩის შემდეგ

**გედ გლინი,** ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:

„მსოფლიოს თასზე მოხვედრა ერთა თასზე მოასპარეზე ყველა გუნდის ოცნებაა და საქართველოს ნაკრებმა ეს ოცნება უკვე აისრულა, რასაც გულწრფელად გილოცავთ. რაც შეეხება ჩემს გუნდს, მარცხის მიუხედავად, მაინც ამაყი ვარ. რაც შეეძლოთ, მაქსიმალურად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძალიან ძლიერ გუნდს."

**ტიმ ლეინი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

„არ ვიცი, რას დავაბრალო ასეთი უფერული თამაში. განწყობა საბრძოლო გვქონდა, მეტოქეს სერიოზულად მოვეკიდეთ. შეიძლება ვთქვათ, რომ გუნდის თამაში შედეგზე იყო ორიენტირებული, მაგრამ ასეთ მოგებას მერჩივნა, ათჯერ უკეთესად ეთამაშათ და წაეგოთ".

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ესპანეთის ნაკრებთან ძალიან მძიმე თამაში გვექნებოდა. მატჩის შედეგს ჩვენი გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და, როგორც ჩანს, ბიჭებმა ბოლომდე მაინც ვერ გაუძლეს ფსიქოლოგიურ წნეხს. არა უშავს, მთავარია, რომ მოვიგეთ და მსოფლიო თასზე საასპარეზოდ მივდივართ. მოსამზადებლად კი საკმაოდ დიდი დრო გვაქვს და ვეცდებით, უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ, ვიდრე საფრანგეთში წინა მსოფლიო თასზე."

ახალ ზელანდიაში თამაშის უფლება მოიპოვა რუსეთის ნაკრებმაც, რომელმაც სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა - 21:21. რუსებმა პირველი ტაიმი აღმავლობით ჩაატარეს, მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს და 18:8 მოიგეს. „სტეუარის" შემორიგებული „ვარსკვლავები" მეორე ტაიმშილა გამოცოცხლდნენ, ანგარიში გაათანაბრეს და თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გამარჯვების მოპოვებაც შეეძლოთ. შეცვლაზე შესულმა **ვალენტინ კალაფეტეაუმ** საჯარიმო ვერ გაიტანა.

ამრიგად, რუმინეთის ნაკრებს მსოფლიო თასზე მოსახვედრად ერთი შანსიღა დარჩა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუმინელთა კონკურენტი პორტუგალიის ნაკრებია, რომელსაც „მუხის ფოთლები" ბოლო ტურში ლისაბონში შეხვდებიან. ამ მატჩში გამარჯვებული რეპეშაჟში თამაშის უფლებას მოიპოვებს. აღსანიშნავია, რომ ამ დავაზე გავლენას ვერ მოახდენს რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის 13 მარტს ბუქარესტში გასამართი მატჩის შედეგი.

რაც შეეხება უშუალოდ მსოფლიო თასს, აქ „ბორჯღალოსნების" სავარაუდო მეტოქეები დიდი ხანია, ცნობილია. თუ ჩვენმა ნაკრებმა შესარჩევი ტურნირი პირველ ადგილზე დაასრულა, რისთვისაც რუსეთის ნაკრების დამარცხებაც კმარა, მაშინ B ჯგუფში ინგლისის, არგენტინის, შოტლანდიისა და რეპეშაჟიდან შემოსულ ნაკრებებთან ერთად ვიასპარეზებთ. ხოლო, თუ მეორე ადგილზე გავედით, C ჯგუფში მეტოქეობას ავსტრალია, ირლანდია, იტალია და აშშ გაგვიწევენ.

A ჯგუფი: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კანადა, აზია1

D ჯგუფი: სამხრეთ აფრიკა, უელსი, ფიჯი, სამოა, ნამიბია

**რუსეთი-რუმინეთი 21:21**

რუსეთი (15-9) კლუჩნიკოვი, გვოზდოვსკი, ბაბაევი, ტრიშინი (კუზინი 65), არტიომოვი, კუშნარიოვი (კორობეინიკოვი 70), იანუშკინი. (1-8) ხროკინი (მაღლაკელიძე 75), პრონენკო (მატვეევი 70), კორშუნოვი (ტრავკინი 70), კულიომინი, ვოიტოვი (ფატახოვი 70), გრესევი, ოსტრიკოვი, ტემნოვი

*2ლ: გვოზდოვსკი (2), 2ს,გ: კუშნარიოვი*

რუმინეთი (15-9) დუმიტრაში, ბოტეზატუ, დიმოფტე, დესკალუ, ფერკუ, ვლაიკუ, სირბუ (კალაფეტეანუ 41). (1-8). ბალანი (პოპესკუ 41), ტინკუ, ფლორეა (იონი 41), სოკოლი, ურსაკე, ბურეა, ტონიცა, მანტა

*2ლ: ფერკუ, დიმოფტე. 3 ს: კალაფეტეანუ (2), ვლაიკუ, გ: კალაფეტიანუ*

**გერმანია-პორტუგალია 0:69**

გერმანია: 15. რაფაელ ჰაკლი, 14. კირონ დევისი, 13. ალექსანდრ ჰუკი, 12. ლუკას როზენტალი, 11. შალვა დიდებაშვილი, 10. მუსტაფა გუნგური, 9. დანიელ პროისნერი. 1. ალექსანდრ ვიდიკერი, 2. ბენიამინ კრაუზე, 3. პატრიკ შლივა, 4. ჯიმი ბენ ჰიუსტონი, 5. ტიმ კოლი, 6. ლუკას ჯონსონი, 7. მანუელ ვილჰელმი, 8. როლფ ვახა

*16. ედმონ ტაკაენდესა, 17. ბენიამინ სიმი, 18. რაფაელ პირაში, 19. შტეფან ლიბიგი 20. მარკ ცინდერა, 21. კლემან ფონ გრუმბკოვი, 22. მატიე ფრანკე*

პორტუგალია: 15. ჯო გარდნერი, 14. ფრედერიკო ოლივეირა, 13. პედრო სილვა, 12. დიოგო მატეუში, 11. ანტონიო აგილარი, 10. პედრო კაბრალი, 9. ჟოზე პინტუ 1. ფრანსისკო ფერნანდესი, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟუან მურე, 4. კონრად სტიკლინგი, 5. გონსალო უვა, 6. სალვადორ პალია, 7. ვასკო უვა, 8. ჟუან სევერინო

*16. ჟორჟე სეგურადო, 17. ჟოაო ჟუნიორი, 18. ედუარდო აკოსტა, 19. ტიაგო გირაო, 20. პედრო ლეალი, 21. დავიდ მატეუში, 22. გონსალო ფორო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 8 | 7 | 1 | 0 | +178 | 15 |
| 2. რუსეთი | 8 | 6 | 1 | 1 | +107 | 13 |
| 3. პორტუგალია | 8 | 4 | 1 | 3 | +99 | 9 |
| 4. რუმინეთი | 7 | 3 | 1 | 3 | +78 | 7 |
| 5. ესპანეთი | 7 | 1 | 0 | 6 | -100 | 2 |
| 6. გერმანია | 8 | 0 | 0 | 8 | -362 | 0 |

**13 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
რუსეთი-გერმანია
ესპანეთი-პორტუგალია

**20 მარტი**

საქართველო-რუსეთი
რუმინეთი-პორტუგალია
გერმანია-ესპანეთი

**27 მარტი**

რუმინეთი-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე
ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტოები



წამიც და ბესო უდესიანი პირველ ლელოს გაიტანს

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# დავამთავრეთ...

როგორც წინა რეპორტაჟში ვწერდით, ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა ჩვენთვის უისტლერში სამთომოთხილამურეების გამოსვლით მთავრდებოდა.
სამწუხაროდ, გასახარს ვერაფერს გეტყვით. ნინო წიკლაურმა სლალომში შეჯიბრება 50-ე შედეგით დაასრულა, რაც 17 წლის ახალბედასთვის, როგორც მწვრთნელმა გერა აბრამიშვილმა გვითხრა, ცუდი დასაწყისი არ არის. ჯაბა გელაშვილმა იმავე დისციპლინაში პირველსავე სტარტზე დისტანცია ვერ დაამთავრა. თავიდანვე მაღალი სიჩქარე აკრიფა და ტემპი, რომ ბოლომდე შეენარჩუნებინა, უდავოდ კარგ დროს აჩვენებდა, მაგრამ ეტყობა გამოუცდელებამ და ასაკმა (შეგახსენებთ, რომ იგი ოლიმპიადაზე ამ დისციპლინაში ყველაზე უმცროსია, ჯერ 17 წლისაც არ გამხდარა) მაინც თავისი გაიტანა.
იასონ აბრამაშვილი პირველ დაშვებაზე 34-ე იყო. 30 უძლიერესში შესასვლელად მას მხოლოდ წამების მეათედი დააკლდა. მეორე ცდაზე კი ფინიშთან მიახლოებულმა შეცდომა დაუშვა, ტაბლოზე შედეგი კი დაფიქსირდა, მაგრამ ცოტა ხანში იმ დაშვებული შეცდომის გამო შედეგი არ ჩაუთვალეს. შეგახსენებთ, რომ იასონისთვის ეს მეორე ოლიმპიადა იყო. 2006 წელს ტურინში მას 29-ე ადგილი ხვდა წილად.
სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებებს, როგორც ვთქვით, უისტლერმა უმასპინძლა. ჩვენებმა დაამთავრეს თუ არა ასპარეზობა მთელი ქართული დელეგაცია ნოდარ ქუმარიტაშვილის მემორიალთან შეიკრიბა და კიდევ ერთხელ მიაგო პატივი ტრაგიკულად დაღუპული სპორტსმენის ხსოვნას.
რომ გაიგეს ქართველები ვიყავით, უამრავი ხალხი გვისამძიმრებდა. ვნახეთ როგორ მოჰყავდათ მშობლებს ბავშვები მემორიალთან, მოჰყავდათ ჩვენთანაც და ეს ბავშვები თანადგომის გამოსახატავად ხელს გვართმევდნენ. გვერწმუნეთ, არის ამაში მოზარდთა ჰუმანურად აღზრდის გასათვალისწინებელი ნიშნები.
ყოველდღიურად თურმე მემორიალთან განუწყვეტელ ნაკადად მოდიან ადამიანები, რაზედაც მეტყველებს ჩანაწერები სამგლოვიარო ჟურნალში და ნივთები, რომლებსაც აქ ტოვებენ. ასეთი ყოფილა ტრადიცია. ნივთებს შორის კი რას არ ნახავთ – სანთებელით დაწყებული, ქალის ყელსაბამით დამთავრებული.
ჩვენთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც თანხის ჩასარიცხად გვთხოვდნენ ოჯახის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშს. თვით უისტლერელებს კი უკვე 20 ათასი დოლარი გადაურიცხავთ ანგარიშზე.
ვანკუვერში სალამოს დაბრუნებულებს ქართულ დიასპორასთან და, საერთოდ, არა მარტო მათთან, არამედ საქართველოდან წამოსულ აქ მაცხოვრებლებთან გველოდა გამოსამშვიდობებელი შეხვედრა ერთ-ერთ რესტორანში. ისინი: ქართველები, სომხები, ებრაელები, უკრაინელები, ბერძნები... ისევე მეგობრულად და ტკბილად ცხოვრობენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან, როგორც საქართველოში. მათგან შევიტყვეთ, რომ ვანკუვერში აპირებენ საკუთარი სახსრებით გახსნან ნოდარ ქუმარიტაშვილის მემორიალი და დადგან მისი ბიუსტი.
ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალის შემდეგ საქართველოს დელეგაცია კიდევ ერთი დღე დარჩება თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში. 2 მარტს ჩავფრინდებით ტორონტოში, შემდეგ მიუნხენში და 4 მარტს გამთენიისას დავბრუნდებით სამშობლოში.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
კახა ბერიძე
ვანკუვერიდან

# ვანკუვერი და მისი გაკვეთილები

ვანკუვერის თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. BC Place-ში **დევიდ ატკინსონის** ფეერიულმა შოუმ წერტილი დაუსვა ამ უდიდეს სპორტულ ასპარეზობას.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ოლიმპიადა ციფრებში - 82 ქვეყნის 2500 სპორტსმენი, (შედარებისთვის, პირველ ოლიმპიადაზე 1924 წელს შამონში იასპარეზა 258 ათლეტმა, რომელთაგანაც ქალი მხოლოდ 11 იყო, ვანკუვერში კი 40 პროცენტზე მეტია სუსტი სქესის წარმომადგენელი).

მაყურებელი, 10 ათასი ჟურნალისტი, 14 ათასი მოხალისე, 2000-ზე მეტი დოპინგზე აღებული სინჯი, მედლების 86 კომპლექტი, სპორტის ახალი სახეობის დებიუტი, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში განელი სპორტსმენის, „თოვლის ლეოპარდად" წოდებული **კვამე ნკრუმა-აჩეპონგის** მონაწილეობა, თამაშებზე ირანელი ქალი მოთხილამურეების დებიუტი... კიდევ ბევრი ციფრისა და ფაქტის მოყვანა შეიძლება. ოფიციალურად თამაშები ვანკუვერში შეფასდა როგორც საუკეთესო ზამთრის ოლიმპიადებს შორის. ეს კლიშე ტრადიციულია და თან სდევს უკლებლივ ყველა ზაფხულისა თუ ზამთრის თამაშების შეფასებას. მაგრამ ოლიმპიადა ვანკუვერში კომერციულად წარმატებული იყო თუ წამგებიანი, რეალურად მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ გახდება ცნობილი.

სპორტული შედეგებით თამაშები ტრიუმფით აღინიშნა ამერიკელი, გერმანელი, თავად კანადელი, შვეიცარიელი, სამხრეთ კორეის სპორტსმენებისთვის. სხვათა შორის, თავდაყირა დადგა ყველა პროგნოზი. ბუკმეიკერები ოქროს მონაგარით ყველაზე წარმატებულად გერმანელებს მიიჩნევდნენ. მათი აზრით, მე-2 ადგილზე კანადელები და რუსები გავიდოდნენ, მესამეს კი აშშ-ს უწინასწარმეტყველებდნენ. ამერიკელი **დენიელ ჯონსონი** - ეკონომიკის პროფესორი კოლორადოდან, ფიქრობდა, რომ რუსები „ოქროს წვიმას" მოიმკიდნენ. არადა, ამის თავად ყველაზე ოპტიმისტ რუსსაც კი არ სჯეროდა. მანამდე ამ მეცნიერის პროგნოზი 80-90 პროცენტით ამართლებდა. ამჯერად პროფესორს ინტუიციამ და მათემატიკურმა გათვლებმა უმტყუნა - რუსებმა პროგნოზირებადზე სამჯერ ნაკლები ოქროს მედალი მიიღეს. მართლაც ფანტასტიკურია 4-მილიონიანი ნორვეგიის მიღწევები. უნდა გენახათ, როგორ ხარობდა ამ წარმატებით ქვეყნის მეფე და მისი მეუღლე, რომელიც რიგით მაყურებელთა გარემოცვაში შემაწუხებელი დაცვისა და ამალის გარეშე ადევნებდა თვალს ასპარეზობებს.

კატასტროფულად დამთავრდა ეს თამაშები რუსებისთვის. საერთო გუნდური მე-11 ადგილი, მხოლოდ სამი ოქროს მედალი - ასეთ შედეგს მართლაც არავინ ელოდა. ჰოკეიში კანადასთან რუსეთის სამარცხვინო წაგებამ (ამ მატჩში კანადელებმა მართლაც რომ ცუნამივით გადაუარეს რუსეთის ნაკრებს, რომელიც 80 პროცენტით NHL-ის ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული) ჩაშალა რუსეთის პრეზიდენტის ვანკუვერში ჩამოსვლა. ყველა დარწმუნებულია, რომ სულ მალე მოსკოვში დიდი გარჩევები მოეწყობა და სპორტის ბევრ ხელმძღვანელს კაბინეტის დატოვება მოუწევს.

რადგან ჰოკეის შევეხეთ, ისიც ვთქვათ, რომ თავად რუსეთის სპორტის ბევრი მოხელე და სპორტული ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ ვანკუვერში განმეორდა სოლტ-ლეიკსიტის შემთხვევა.

*„მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გახდა ცნობილი 2002 წლის სკანდალური გარიგების შესახებ. მაშინაც და ახლაც დავალება იყო - ფინალი უნდა ითამაშონ კანადამ და აშშ-მა. ეს ჩვენი ჰოკეის პრესტიჟიცაა და მილიარდობით დოლარიც. 14 რუსი მარტო კანადურ კლუბებში თამაშობს. დარწმუნებული ვარ, მათაც და სხვებსაც პირობა წაუყენეს - თქვენი ხვალინდელი დღე, მომავალი კონტრაქტის პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ითამაშებს 28 თებერვლის ფინალურ მატჩს. ჩემთვის მხოლოდ ის არის გაუგებარი, კანადელებმა ასე უმოწყალოდ როგორ გააბითურეს ჩვენი ნაკრები"*, - აღშფოთებას ვერ მალავს კოლეგა „სპორტ ექსპრესიდან".

რუსების წარმატებად მხოლოდ ბიატლონისტთა გამოსვლა ითვლება და ეს მიეწერება ფედერაციის პრეზიდენტს, მილიარდერ **ა. პროხოროვს**. მან გუნდი მოაქცია სრულ იზოლაციაში, საკუთარი თვითმფრინავით ჩამოიყვანა ნაკრები, ცალკე იქირავა მათთვის საცხოვრებელი უისტლერში, მზარეულებისა და მომსახურე პერსონალის მთელი ამალაც თან მოაყოლა. თავად ოლიგარქი, რომელსაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა კანადის ვიზასთან დაკავშირებით, არ გამოჩენილა არც ერთ ოფიციალურ მიღებაზე, არც ერთ „ტუსოვკაზე", გუნდს არ მიაკარა არც ერთი ჟურნალისტი თუ ჩინოვნიკი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად პირველი ვიცე-პრეზიდენტი და მრჩეველი - ლეგენდარული **ა. ტიხონოვიც** კი. ოლიგარქმა როგორც ჩამოიყვანა, საკუთარი თვითმფრინავითვე უკან წაიყვანა მოსკოვში ეს ერთ-ერთი წარმატებული ნაკრები.

მოკლედ, კარსმომდგარი სოჭის ოლიმპიადის წინ რუსებმა ძალზე მტკივნეული დარტყმა იგემეს ვანკუვერში. თამაშების სოჭში ჩატარების შემთხვევაში მასპინძელი ქვეყნის სპორტული შედეგები ალბათ სამარცხვინო იქნება. მაგალითად, რუსებისთვის ყოველთვის უხვმოსავლიანი იყო მონაწილეობა ფიგურული ციგურაობის ოთხივე დისციპლინაში. ვანკუვერში კი მათ, პირველად 1960 წლის შემდეგ, ოქრო ვერ მოიპოვეს. დღევანდელი გადასახედიდან ოთხი წლის შემდეგ ოქროს მედლის პერსპექტივა ნულის ტოლია. თუმცა ბევრს ლაპარაკობენ ბოლო წლების აღმოჩენაზე **ქსენია მაკაროვაზე,** 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსნის **ლარისა სელეზნიოვასა და ოლეგ მაკაროვის** 17 წლის ქალიშვილზე, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ რუსულ სპორტში ჩადებული მილიარდების უკუგებაზე ლაპარაკი სასაცილოა და ყველაფრის მიზეზად კორუფციის ჭაობს ასახელებენ.

სიტყვა გამიგრძელდა რუსებზე, თავის გაჭირვებას ისინი როგორმე მიხედავენ (ან ვერ მიხედავენ), ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ.

ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოსთვის სპორტის სამ სახეობაში რვა კვალიფიკაციის მიღება პოზიტიურად უნდა შეფასდეს. სამწუხაროა, რომ ოლიმპიურ ისტორიაში ჩვენ მხოლოდ 6 მონაწილე დაგვიფიქსირდა. ფაქტია, რომ ჩვენი შედეგები ვანკუვერში უარესია, ვიდრე წინა თამაშებზე იყო. ბუნებრივია, სპორტსმენთა გუნება-განწყობაზე, მათ გამოსვლაზე ნეგატიურად იმოქმედა ნოდარის დაღუპვამ.

ვიყოთ გულახდილნი - მაქსიმუმი, რაც დღევანდელი ოსტატობისა და პროფესიული დონის შესაბამისად **ელენე გედევანიშვილს** შეეძლო, ესაა ადგილი პირველ ათეულში, დაახლოებით VII-X ადგილებს შორის. ის, რაც ვანკუვერში აზიელმა, კანადელმა და ამერიკელმა სპორტსმენებმა აჩვენეს, ჯერჯერობით ბევრი ევროპელი ათლეტისთვის მიუღწეველია.

» მე-4 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანკუვერი და მისი გაკვეთილები

« მე-3 გვერდიდან

პერსპექტივაც ამ დისციპლინაში ჩვენთვის ბუნდოვანია. ელენეს კვლავაც არ გაუჭირდება საოლიმპიადო ლიცენზიის მოპოვება. ევროპის ჩემპიონატებში რეალურად შეუძლია მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ ვინ მოდის მის შემდეგ? არც არავინ - სრული ვაკუუმია.

**ოთარ ჯაფარიძეს,** მართლაც ნიჭიერ სპორტსმენს, იღბალი ნამდვილად არ სწყალობს. რუსეთში ვარჯიშთან დაკავშირებულ პერიპეტიებს დაემატა სპორტული კარიერის მოკლე პერიოდში ნებსით თუ უნებლიე გამოცვლილი ოთხი პარტნიორი. ის, რომ ნახევარწლიანი ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ ოთარმა თავის ამერიკელ მეწყვილე **ალისონ რიდთან** ერთად შეძლო ეასპარეზა ოლიმპიურ თამაშებზე, უდავოდ სპორტსმენთა გმირობა და მწვრთნელის დამსახურებაა. წყვილს მართლაც აქვს ზრდის პერსპექტივა. 2-3 წელიწადში თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ისინი საუკეთესო ათეულში შეიძლება ვიხილოთ, მაგრამ ამას სჭირდება პროფესიონალთა მიერ სტრატეგიის, პერსპექტივის განსაზღვრა და პროექტის კარგი ფინანსური უზრუნველყოფა. აბა, რა შედეგები შეიძლება ვივარაუდოთ სამომავლოდ, როცა 2009 წელს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ წყვილის მომზადებაზე მხოლოდ 10 ათასი ლარი დაიხარჯა, მათთვის საშეჯიბრო კოსტიუმების შეკერვაც კი ვერ მოხერხდა. დარწმუნებული ვარ, ასეთი მიდგომა წარსულს ბარდება, რადგან ვიცი, თუ როგორი განწყობაა სეოკ-ისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელების მხრიდან სპორტის ამ სახეობის მიმართ. ქვეყნის პირველი პირიც თავადაა დაინტერესებული ფიგურული ციგურაობის განვითარებით. არადა, ვიმეორებ, სპორტის ამ სახეობის ოთხი დისციპლინიდან მხოლოდ ცეკვებში ჩანს პერსპექტივა, ყველაზე არაპროგნოზირებად სახეობაში, სადაც წლებია საჭირო, მსაჯთა და სპეციალისტთა კეთილგანწყობა რომ დაიმსახურო.

**იასონ აბრამაშვილი** ასაკის მიუხედავად უკვე გამოცდილ სპორტსმენად ითვლება - მან ხომ ტურინშიც იასპარეზა. ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგედია ალბათ ყველაზე მეტად იასონზე იმოქმედებდა - ის ხომ მისი სიყრმის მეგობარი და თანაკლასელი იყო, მაგრამ ეს ნამდვილად არ შეიძლება იყოს მისი წარუმატებელი გამოსვლის გამამართლებელი ფაქტორი. პროფესიონალი სპორტსმენები ახერხებენ გადალახონ სიძნელეები და ამის კონკრეტული მაგალითი ვანკუვერშიც დაფიქსირდა. ნაკრების გამოცდილი დამრიგებელი **გერა აბრამიშვილი** უკმაყოფილო იყო შეგირდის პირველი დღის შედეგით.

*„ის ვალდებული იყო, უკეთ ეასპარეზა. ამისთვის მზად იყო“,* - აღნიშნა მწვრთნელმა. იასონმა მეორე შეჯიბრებაში შეფასება საერთოდ ვერ დაიმსახურა. კორიფეებთან ბრძოლა აბრამაშვილს ჯერ კიდევ ხელეწიფება. ყველაზე ახალგაზრდის, **ჯაბა გელაშვილის** დებიუტი ოლიმპიურ ტრასაზე შედგა და არც თუ ურიგოდ. სპეციალისტები ჯაბაში ზრდის პერსპექტივას ხედავენ. ამ სახეობაში კიდევ არის 2-3 სპორტსმენი, რომლებიც უცხოეთში ვარჯიშობენ და მათთვის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ან სხვა მაღალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა პრობლემა არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რამდენად მიზანმიმართულად და სტრატეგიულად სწორად წარიმართება დაოსტატება. როგორც ვიცით, ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას ცუდი მემკვიდრეობა ნამდვილად არ მიუღია. ახლები კი ახალი ენერგიითა და იდეებით შეუდგნენ მუშაობას.

სხვა ოლიმპიურ სახეობებში ახლო პერსპექტივა საალბათოა. მართალია, საციგაო სპორტის არენა მალე აიგება, მაგრამ მოზარდებისა და ახალგაზრდების დაოსტატების პროცესი შედარებით გახანგრძლივდება. ასევე ნაკლებად ოპტიმისტურნი ვართ ტრამპლინიდან ხტომის ხვალინდელ დღეზე. ლეგენდარული **კობა წაქაძის** სამშობლოში სპორტის ეს სახეობა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ყველაფერი მაინც მიდის სპეციალიზებულ ბაზებსა და სკოლებამდე, თანამედროვე ცოდნით შეიარაღებულ სპეციალისტებამდე, ფინანსურ უზრუნველყოფამდე.

ქვეყნის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევს ეს თემატიკა. ამ საერთო პრობლემის გადაწყვეტისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ზამთრის სახეობებში მაღალი მიღწევების სპორტი. სპეციალისტთა და სპორტის მესვეურთა მიზნობრივი სჯა-ბაასი - რა მიმართულებით ვართ წინ, ჩვენთვის შედარებით ტრადიციულ სახეობებთან (ტრამპლინი, სამთო თხილამურობა, ციგა, ფიგურული ციგურაობა) ერთად სხვათა პოპულარიზაციის საკითხიც ხომ არ განვიხილოთ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს სპორტის დაფინანსებაში სერიოზული პრობლემებია. სახელმწიფო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მაქსიმუმს აკეთებენ, რათა ათლეტებს შეექმნათ სათანადო პირობები წვრთნისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის. რა თქმა უნდა, ეს თანხები არ არის იმ ოდენობის, რაც საჭიროა, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთ მდგომარეობაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

ახლა მთავარი ამოცანა ისაა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი და მოძიებული თანხები სწორად წარიმართოს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, გამკაცრდეს კონტროლი მათ ხარჯვაზე (ამ მხრივ ბოლო პერიოდში ბევრი კეთდება).

არის სხვა ხასიათის საშიშროებებიც. საბჭოთა პერიოდის ინერცია ამოიწურა ან, ჰა და ჰა, იწურება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძველი დამთავრდა, ახალი კი თითქოსდა არ ჩანს. არ ჩანს დასავლური, აპრობირებული მოდელის დანერგვა მაღალი მიღწევების სპორტში, არ ჩანს მეცნიერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ორგანულად შემოტანის მცდელობა. მეჩვენება, რომ, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის რამდენიმე სახეობაში აუცილებელია უცხოელი სპეციალისტის მოწვევა.

ჩემი აზრით, საქართველოს მუდმივად უნდა ჰქონდეს ჯანსაღი ამბიცია, ადრე თუ გვიან უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს 2022 ან თუნდაც 2030-ში, მაგრამ იქნება! შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნის ეკონომიკის გაფართოების კვალობაზე თბილისისა და ბაკურიანის დუეტს არცთუ ისე ურიგო პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს.

ამაში ტურინსა და ვანკუვერში ჩატარებულმა თამაშებმა პირადად მე კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

და ბოლოს - არავითარ შემთხვევაში არ მინდა, მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ამ რეპორტაჟში ზამთრის ოლიმპიური თამაშების შეფასების ამბიცია ან სურვილი გამაჩნია. სპორტის მართვის კომპეტენტური ორგანოები ამას თავად გააკეთებენ.

მე კი მხოლოდ შევეცადე, პირად შთაბეჭდილებებსა და ჩემეულ ხედვაზე მესაუბრა თქვენთან.

**ემზარ ზენაიშვილი**
ვანკუვერიდან




ჰოკეი




# სლოვაკეთი მეფს იმსახურებდა

ჰოკეის ტურნირის ფინალში ორი ღირსეული გუნდი გავიდა. ამერიკამ და კანადამ ყველაზე მეტად დაიმსახურეს გადამწყვეტ მატჩში თამაში.

ამერიკა ფინალამდე ისე მივიდა, რომ ყველა შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწია, მათ შორის ერთხელ კანადასაც აჯობა. სწორედ ამ მატჩში და ფინეთთან ნახევარფინალში გამოავლინეს **რონ უილსონის** შეგირდებმა სრულად თავიანთი შესაძლებლობები.

ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ამერიკამ ზუსტად ის დღე დამართა ფინეთს, რაც კანადამ მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრებს. ბრძოლის აღწერას აზრი არ აქვს - პირველი პერიოდის მე-14 წუთისთვის ანგარიში 6:0 იყო ამერიკელთა სასარგებლოდ! თამაში აქ დამთავრდა და დროის დარჩენილმა ნაწილმა აზრი დაკარგა.

გაცილებით დაძაბული გამოვიდა მეორე ნახევარფინალი, თუმცა თავიდან აქაც მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. სლოვაკებს რიცხობრივ უპირატესობაში კარგი თამაშისა და საფირმო კონტრშეტევების იმედი ჰქონდათ. მაგრამ კანადამ მხოლოდ ერთხელ დაიმსახურა 2-წუთიანი ჯარიმა და სლოვაკეთის კონტრშეტევებიც სუსტი და უღიმღამო იყო. როცა **გეტცლაფის** გოლის შემდეგ ანგარიში 3:0 გახდა, ბრძოლამ თითქოს აზრი დაკარგა. ალბათ, ასე ფიქრობდნენ კანადელი ჰოკეისტებიც და ამისთვის კინაღამ დაისაჯნენ. სლოვაკეთი ბოლო ათ წუთში მოვიდა გონს, რაც **ვიშნოვსკისა** და **ჰანძუშის** გოლებში გამოიხატა. საფინალო სირენამდე კიდევ 5 წუთი რჩებოდა.

კანადა შეეცადა შეხვედრა მისთვის ნორმალურ კალაპოტში დაებრუნებინა, მაგრამ სლოვაკეთის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ევროპელებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს **რობერტო ლუონგოს** კართან და კინაღამ გაათანაბრეს ანგარიში. ორი ბრწყინვალე მომენტი ჰქონდა **პავოლ დემიტრას**, რომელმაც ერთი მეტრიდან გაისროლა შაიბა ცარიელ კარში და მაინც და მაინც ფეხში გაარტყა **ლუონგოს**.

■ ■ ■

ასე დარჩა ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი ფინალს მიღმა, მეორე დღეს კი სლოვაკეთმა ბრინჯაოს მედალიც დაკარგა. „მცირე ფინალში“ ფინეთი ორი შაიბით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ ბოლო მაინც შეძლო ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე მესამე ადგილის დაკავება.

შეხვედრა საკმაოდ ფრთხილ ბრძოლაში დაიწყო - არც ერთი გუნდი რისკზე არ მიდიოდა. ამიტომაც ანგარიში მხოლოდ მე-19 წუთზე გაიხსნა - ფინელმა **სამი სალომ** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

მეორე პერიოდი მთლიანად სლოვაკებისა იყო: 10 წუთში მათ სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დემიტრამ, რომელმაც ერთი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა. სკანდინაველები ვერაფერს უპირისპირებდნენ მეტოქეს და მატჩის ბედიც თითქოს გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ მესამე პერიოდში ფინეთმა სამი წუთი იკმარა მატჩის ბედის გადასაწყვეტად: **ნიკლას ჰაგმანის** გოლმა და **ოლი იოკინენის** დუბლმა სლოვაკეთი მდევრის როლში გადაიყვანა. **იან ფილცის** შეგირდებმა მთელი დარჩენილი დრო **მიკა კიპრუსოფის** კართან გაატარეს, მაგრამ ბოლო შაიბა მაინც მათ კარში შევარდა - 5:3 ფინეთის სასარგებლოდ.

**1/2 ფინალი**

**აშშ-ფინეთი 6:1**

6:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მელოუნი-3, 2:0 პარიზე-3 (შჩასტნი-3, რაფალსკი-3), 3:0 ჯონსონი-1 (პაველსკი-3, მელოუნი-2), 4:0 კეინი-2, 5:0 კეინი-3 (რაფალსკი-4), 6:0 შჩასტნი-1 (ლანგენბრუნერი-1, პარიზე-4), 6:1 მიეტინენი-1 (ლეპისტო-1).

**კანადა-სლოვაკეთი 3:2**

2:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 მარლო-2 (უებერი-4, ს. ნიდერმაიერი-2), 2:0 მოროუ-2 (პრონგერი-4, გეტცლაფი-3), 3:0 გეტცლაფი-3 (პერი-1, პრონგერი-5), 3:1 ვიშნოვსკი-1 (შტუმპელი-4), 3:3 ჰანძუში-3 (ზედნიკი-4, შატანი-1).

**მე-3 ადგილისთვის**

**ფინეთი-სლოვაკეთი 5:3**

1:0, 0:3, 4:0

**გოლები:** 1:0 სალო-1, 1:1 გაბორიკი-3 (დემიტრა-6, ხარა-3), 1:2 მარიან ჰოსა-3 (ზთნლზუშ, დემიტრა-7), 1:3 დემიტრა-2 (მარიან ჰოსა-6), 2:3 ჰაგმანი-4 (ტიმონენი-1), 3:3 ო. იოკინენი-2 (ტ. რუუტუ-1), 4:3 ო. იოკინენი-3 (პიტკანენი-2, კიპრუსოფი-1), 5:3 ფილპულა-3 (ტიმონენი-2).

**გია თვალაბეიშვილი**

თხილამურებით რბოლა

# ბიორგენმა ხუთი მედლით დაასრულა

გენიალურმა ნორვეგიელმა **მარიტ ბიორგენმა** ვერ შეძლო ვანკუვერში უნიკალური შედეგის მიღწევა - სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბოლო მეტრებზე წააგო 30-კილომეტრიანი დისტანცია პოლონელ **იუსტინა კოვალჩიკთან** და შესაბამისად, ვერ მოიპოვა კანადაში ოქროს მეოთხე მედალი, თუმცა ბიორგენის შედეგი მაინც შთამბეჭდავია - მან ხუთივე დისციპლინაში შეძლო საპრიზო სამეულში შესვლა და სამშობლოში სამი ოქროთი, ერთი ვერცხლითა და ერთი ბრინჯაოთი ბრუნდება!

სწორედ ბიორგენი ითვლებოდა ბოლო რბოლის ფავორიტად, ხოლო მის კონკურენტებად კოვალჩიკი, **საარინენი** და **კალა** ითვლებოდნენ. 22-ე კილომეტრისთვის 12 მოთხილამურისგან შემდგარი ჯგუფი ლიდერობდა და როცა ბიორგემა შეტევა დაიწყო, მის სპურტს მხოლოდ კოვალჩიკმა აუბა მხარი.

ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ, პოლონელმა ბიორგენი დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა - მან განაცხადა სკანდინაველი ასთმით არ არის დაავადებული და სხვა მიზნებით იყენებს ძლიერ მოქმედ პრეპარატებს. კოვალჩიკის ამ რეპლიკაზე ბიორგენს ტრასზე ჰქონდა განზრახული პასუხის გაცემა.

დარჩენილ დისტანციაზე ლიდერები მორიგებით იყვნენ წინ. ისე ჩანდა, რომ ნორვეგიელს უფრო მეტი ძალა ჰქონდა შერჩენილი. მიუხედავად ამისა, ფინიშამდე 800 მეტრით ადრე შეტევა პოლონელმა წამოიწყო, მაგრამ ბიორგენის დამარცხება იოლი არ გახლავთ. ფინიშის სწორზე ისინი გვერიგვერდ დადგნენ და ფანტასტიკური სპრინტი შესთავაზეს მაყურებელს. ვანკუვერში ინდივიდიალური სპრინტი ბიორგენის გამარჯვებით დასრულდა, სამაგიეროდ, ეს გარბენი პოლონელმა მოიგო. არავინ იცის, საიდან გამონახა ბოლო მეტრებზე ძალები, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სეზონის ლიდერმა კარიერაში პირველად მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული.

**30 კმ. მას-სტარტი. ქალები**

1. იუსტინა კოვალჩიკი (პოლ) - 1:30:33,7; 2. მარიტ ბიორგენი (ნორ) - +0,3; 3. აინო კაისა საარინენი (ფინ) - +1:05,0; 4. ევი ზახენბახერ-შტელე (გერ) - +1:19,2; 5. მასაკო იშიდა (იაპ) - +1:22,8; 6. შარლოტა კალა (შვედ) - +1:23,9...

**გია თვალაბეიშვილი**



საერთო გუნდური ჩათვლა

# კანადური რეკორდები



კანადის ოლიმპიურმა ნაკრებმა ბოლო ორ დღეს ოქროს ხუთი (!) მედალი მოიპოვა და ზამთრის თამაშების ისტორიაში მასპინძლების ყველაზე წარმატებული გუნდი გახდა. გარდა ამისა, კანადელებს ოქროს მედლების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდის დამყარება შეუძლიათ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კანადის ჰოკეისტთა ნაკრები ფინალში ამერიკას დაამარცხებს (ეს მატჩი გვიან ღამით გაიმართა).

კანადელთა ამ გარღვევას სათავე შორტტრეკისტმა **ჩარლზ ჰემელინმა** დაუდო, რომელმაც გუშინწინ ნახევარი საათის ინტერვალით ორი ოქრო მოიგო. თავიდან მან ყველაზე მოკლე - 500-მეტრიანი დისტანცია მოიგო, თუმცა ამაში ამერიკელი **აპოლო ანტონ ონოს** დიდი წვლილი იყო. კანადელი მთელი დისტანცია ლიდერობდა, მაგრამ ბოლო წრეზე კორეელმა **სი ბაკ სუნმა** გაუსწრო. აზიელს ოქროს მედლამდე რამდენიმე მეტრი აშორებდა, როცა ონომ გარე რადიუსით კორეელის გასწრება მოინდომა. მოციგურავეებს შორის კონტაქტმა სუნი შეაფერხა, რითაც ჰემელინმა ისარგებლა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ონო მეორე იყო, სუნი - მესამე. ცოტა ხანში მსაჯებმა ამერიკელს დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ეს ნაკლები შვება იყო კორეელისთვის, რადგან მას მხოლოდ ვერცხლი ერგო, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ჰემელინმა კი პირველად მოიგო ოლიმპიური ოქრო.

სამაგიეროდ, სრულიად სამართლიანი იყო კანადელთა გამარჯვება 5000 მეტრზე ესტაფეტაში. მასპინძლებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და სტარტიდანვე ლიდერობა მოიპოვეს. ამჯერად ამ ტაქტიკამ სრულად გაამართლა და კანადამ ფინიშამდე შეინარჩუნა უპირატესობა. ფავორიტი კორეა მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, ამერიკა ბრინჯაოს მფლობელი გახდა. ამ გუნდის ლიდერმა აპოლო ონომ კარიერაში მერვე ოლიმპიური მედალი მოიპოვა. შეგახსენებთ, ვანკუვერში ონო ზამთრის თამაშებზე ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ამერიკელი ათლეტი გახდა.

მეორე დღეს კანადამ კიდევ სამი ოქრო აიღო. სნოუბორდის დისციპლინაში - პარალელურ გიგანტურ სლალომში გამარჯვებით **ჯესი-ჯეი ანდერსონმა** კანადას საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი გაუნაღდა. ამის შემდეგ მასპინძლებმა მამაკაცებს შორის ციგურებით სირბილში გამოდევნებით რბოლა მოიგეს - **მატიე ჟირუმ, ლუკას მაკოვსკიმ** და **დენი მორისონმა** ფინიშზე სულ რაღაც 0,21 წამი მოუგეს ამერიკას. დღის ბოლოს კი ქიორლინგისტ მამაკაცთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიგო ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული - ფინალში მან 6:3 დაამარცხა ნორვეგია.

საბოლოოდ კანადელთა პირველობა ოფიციალურად მას შემდეგ გაფორმდა, რაც ბობსლეიში გერმანულმა ოთხეულმა ამერიკასთან წააგო. ბოლო დღეს გერმანია მაქსიმუმ ერთ ოქროს თუ მიიღებდა, ეს კი მასპინძელთა დაწევისთვის საკმარისი არ იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ვანკუვერის თამაშების პროგრამაში მედლების 86 კომპლექტი თამაშდებოდა. ტურინის ოლიმპიადისგან განსხვავებით, აქ ფრისტაილის ორი სახეობა - კაცებსა და ქალებს შორის სკი-კროსი დაამატეს.

ამ მომენტისთვის კანადის ნაკრების აქტივში 13 ოქროა - ასეთი შედეგი მასპინძელ ქვეყანას არასოდეს ჰქონია. კანადელებმა უმაღლესი სინჯის სამი მედლით გაუსწრეს ნორვეგიას (ლილეჰამერი-1994) და ამერიკას (სოლტ-ლეიკ-სიტი-2002), რომლებსაც საშინაო ოლიმპიადებზე 10-10 ოქრო ჰქონდათ.

გარდა ამისა, კანადის ნაკრებს ოქროს მედლების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდის მოხსნის კარგი შანსი აქვს. მათ უკვე გაიმეორეს სსრკ-ისა (ინსბრუკი-1976) და ნორვეგიის (სოლტ-ლეიკ-სიტი-2002) რეკორდი, რომლებმაც თამაშები 13-13 ოქროთი დაასრულეს. მასპინძელ ჰოკეისტთა ნაკრებს ფინალი ელის ამერიკასთან და მოგების შემთხვევაში ეს კანადის მე-14 ოქრო იქნება.

სხვათა შორის, რეკორდის გარეშე არ დარჩენილა ამერიკის ოლიმპიური ნაკრებიც, რომელსაც ამ მომენტისთვის 36 მედალი (9-14-13) აქვს და ამ მონაგარს აუცილებლად დაუმატებს კიდევ ერთს, რადგან ამ ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრები ფინალშია გასული. 37 მედალი კი ზამთრის ოლიმპიადების აბსოლუტური რეკორდია.

ცნობისთვის, ტურინში წინა ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში გერმანიამ გაიმარჯვა, რომელმაც ჯამში 29 მედალი (11+12+6) მოიპოვა. შემდეგ მოდიოდნენ: აშშ - 25 (9+9+7), ავსტრია 23 (9+7+7), რუსეთი - 22 (8+6+8) და კანადა- 24 (7+10+7).

### კანადელთა 13 ოქრო

ჰოკეისტთა ნაკრები (ქალები)
ჩარლზ ჰამელინი (შორტ ტრეკი, 500 მ)
შორტტრეკისტთა ნაკრები (ესტაფეტა, 5000 მ, კაცები)
კაილი ჰემფრიზი/ჰიზერ მოისი (ბობსლეი, ქალები)
ეშლი მაკაივორი (ფრისტაილი - სკი-კროსი, ქალები)
ჯონ მონტგომერი (სკელეტონი, კაცები)
კრისტინ ნესბიტი (ციგურებით სირბილი, 1000 მ, ქალები)
მაელ რიკერი (სნოუბორდ-კროსი, ქალები)
ალექსანდრ ბილოდო (ფრისტალი - მოგული, კაცები)
ტესა ვირტუ/სკოტ მოირი (ფიგურული სრიალი, ცეკვები)
ჯესი-ჯეი ანდერსონი (სნოუბორდი - სლალომი, კაცები)
მოციგურავეთა ნაკრები (ციგურებით სირბილი - გამოდევნებით)
ქიორლინგისტთა ნაკრები (კაცები)

### მედლების ცხრილი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 13 | 7 | 5 | 25 |
| 2. გერმანია | 10 | 12 | 7 | 29 |
| 3. აშშ | 9 | 14 | 13 | 36 |
| 4. ნორვეგია | 8 | 8 | 6 | 22 |
| 5. ს. კორეა | 6 | 6 | 2 | 14 |
| 6. შვეიცარია | 6 | 0 | 3 | 9 |
| 7. ჩინეთი | 5 | 2 | 4 | 11 |
| 8. შვედეთი | 5 | 2 | 3 | 10 |
| 9. ავსტრია | 4 | 6 | 6 | 16 |
| 10. ჰოლანდია | 4 | 1 | 3 | 8 |
| 11. რუსეთი | 3 | 5 | 7 | 15 |
| 12. საფრანგეთი | 2 | 3 | 6 | 11 |
| 13. ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 3 |
| 14. ჩეხეთი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 15. პოლონეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 16. იტალია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 17. ბელარუსი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 17. სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 19. ბრიტანეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. იაპონია | 0 | 3 | 2 | 5 |
| 21. სლოვენია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 21. ხორვატია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 23. ლატვია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 24. ფინეთი | 0 | 1 | 4 | 5 |
| 25. ყაზახეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |

### ქიორლინგი

**ქალები**

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ჩინეთი-შვეიცარია | 12:6 |

ფინალი

| | |
|---|---|
| კანადა-შვედეთი | 6:7 |

**კაცები**

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| შვეიცარია-შვედეთი | 5:4 |

ფინალი

| | |
|---|---|
| კანადა-ნორვეგია | 6:3 |

### სნოუბორდი

**სლალომი. ქალები**

1. ნიკოლენ ზაუერბრეი (ჰოლ); 2. ეკატერინა ილიუხინა (რუს); 3. მარიონ კრეინერი (ავსტრია); 4. სელინა იორგი (გერ)...

**სლალომი. კაცები**

1. ჯესი-ჯეი ანდერსონი (კან); 2. ბენჯამინ კარლი (ავსტრია); 3. მეტიუ ბოცეტო (საფ); 4. სტანისლავ დეტკოვი (რუს)...

### [illegible]

**გუნდური გამოდევნება. ქალები**

1. გერმანია (ანშუტც-ტომსი, ბეკერტი, ფრიზინგერი, მატერშეროდტი) - 3:02,82; 2. იაპონია (ჰოზუმი, კოდაირა, ტაბატა, ტაკაგი) - +0,02; 3. პოლონეთი (ბაპლედა-კურუსი, ჩერვონკა, ვოზნიაკი, ზლოტკოვსკა); 4. აშშ; 5. კანადა; 6. ჰოლანდია.

**გუნდური გამოდევნება. კაცები**

1. კანადა (ჟირუ, მაკოვსკი, მორისონი, რობერჟი) - 3:41,37; 2. აშშ (ჰანსენი, ჰედრიკი, კაკი, მასიკანო) - +0,21; 3. ჰოლანდია (ბლოკჰაიუზენი, კრამერი, კუიპერსი, ტიუტერტი); 4. ნორვეგია; 5. ს. კორეა; 6. იტალია.

### ბობსლეი

**ოთხადგილიანი. კაცები**

1. აშშ-1 (სტივენ ჰოლკომბი, სტივ მესლერი, კერტის ტომაშევიჩი, იუსტინ ოლსენი) - 3:24,46; 2. გერმანია-1 (ანდრე ლანგე, კევინ კუშკე, ალექსანდრ როიდიგერი, მარტინ პუტცე) - +0,38; 3. კანადა-1 (ლინდონ რაში, დევიდ ბისეტი, ლასცელ ბრაუნი, კრის ლი ბიანი) - +0,39; 4. გერმანია-2 - +1,12; 5. კანადა-2 - +1,14; 6. შვეიცარია-1 - +1,25...

შორტ-ტრეკი

# მენ ვანმა ბიორგენს მიბაძა

ჩინელი **მენ ვანი** გახდა მეორე სპორტსმენი ვანკუვერის ოლიმპიადაზე, ვინც წლევანდელი თამაშები ოქროს სამი მედლით დაასრულა.

შორტ-ტრეკში ქალებმა ბოლო მედალი 1000 მეტრ დისტანციაზე გაითამაშეს და ეს იყო სპორტის ამ სახეობაში მოდის კანონმდებელ კორეელთა მიერ ოქროს მოგების ბოლო შანსი. მანამდე ქალებში ყველა დისტანცია ჩინელებმა მოიგეს.

ფინალურ გარბენში მენ ვანმა თავიდანვე ტაქტიკურად სწორად წარმართა ბრძოლა. ის შეგნებულად პასიური იყო და კონკურენტებს ბრძოლა აცალა. დაწინაურებულმა სამეულმა **(იან ჟოუ, რეიტერი, სუნ ჰი პაკი)** იმდენად დაძაბული პაექრობა გამართა, რომ საბოლოოდ ჟოუს დისკვალიფიკაცია მისცეს, რეიტერი და პაკი კი ერთმანეთში ძიძგილაობით გაერთნენ. მენ ვანმა მათ მშვიდად აუარა გვერდი და მარტომ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

სხვათა შორის, ჩინელი ოთხზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა - ერთი ოქრო მან ტურინში 500 მეტრ დისტანციაზე მოიპოვა. სხვათა შორის, მენ ვანს ვანკუვერში ყველა დისტანციაზე შეეძლო გამარჯვება, მაგრამ 1500 მეტრზე გამოსვლისას მსაჯებმა მეტად საეჭვო სიტუაციაში მისცეს დისკვალიფიკაცია.

**500 მ. კაცები**

1. ჩარლზ ჰემელინი (კან) - 40,981; 2. სი ბაკ სუნი (ს. კორ) - 41,340; 3. ფრანსუა ლუის ტრემბლე (კან) - 46,366; 4. იუნ გი კვაკი (ს. კორ) - 42,123; 5. ტაისონ ჰონგი (გერ) - 42,307; 6. ჯონ ელი (ბრიტ) - 42,681...

**1000 მ. ქალები**

1. მენ ვანი (ჩინ) - 1:29,213; 2. კეტრინ რეიტერი (აშშ) - 1:29,324; 3. სუნ ჰი პაკი (ს. კორ) - 1:29,379; 4. ჰა რი ჩაო (ს. კორ) - 1:31,932; 5. კალინა რობერჟე (კან) - 1:32,122; 6. ჯესიკა გრეგი (კან) - 1:32,333...

**5000 მ. ესტაფეტა. კაცები**

1. კანადა - 6:44,224; 2. ს. კორეა - 6:44,446; 3. აშშ - 6:44,498; 4. ჩინეთი - 6:44,630; 5. საფრანგეთი - 6:51,566; 6. ბრიტანეთი - 6:50,045...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ბიატლონი

# ექვსგზის ბიორნდალენი



ლეგენდარულმა **ოლე-ეინარ ბიორნდალენმა** მაინც მოიგო ვანკუვერში მეექვსე ოლიმპიური ოქროს მედალი. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ბიატლონის ბოლო დისციპლინაში მოხდა, რომელშიც კაცები ესტაფეტაში არკვევდნენ ურთიერთობას.

აქ ერთბაშად ხუთი გამოკვეთილი ფავორიტი იყო - ნორვეგია, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და ავსტრია. პირველ ეტაპზე ამ კვინტეტმა თითქმის ერთად იარა, მეორეზე კი ყველაფერი აირია - **ანდრეას ბირნბახერმა** ორ საჯარიმო წრეზე გაუშვა გერმანია, 2006 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ვენსან დეფრანმა** კი საფრანგეთს ერთი საჯარიმო წრე უძღვნა. ასე რომ, მედლის კანდიდატთა რიცხვი სამამდე შემცირდა - ავსტრია, ნორვეგია და რუსეთი.

ბოლო ეტაპზე ამ გუნდების ლიდერები - ბიორნდალენი, **ზუმანი** და **უსტიუგოვი** მირბოდნენ. ნორვეგიელს სროლისას ორი დამატებითი ტყვიის გამოყენება დასჭირდა, ზუმანს კი საერთოდ ერთი საჯარიმო წლის გავლა მოუხდა. მიუხედავად ამისა, რუსს ორივემ აჯობა, ოქროსთვის ბრძოლა კი არ ყოფილა, რადგან ბიორნდალენი ჩვეულ სტილში გაიქცა კარიერაში მეექვსე ოქროსკენ და მისი შემჩერებელი არავინ იყო.

**ესტაფეტა 4x7.5 კმ. კაცები**

1. **ნორვეგია** (ჰალვარდ ჰანევოლდი, ტარე ბოე, ემილ-ჰეგლე სვენდსენი, ოლე-ეინარ ბიორნდალენი) - 1:21:38,1 (0+7); 2. **ავსტრია** (სიმონ ედერი, დანიელ მეზოტიჩი, დომინიკ ლანდერტინგერი, კრისტოფ ზუმანი) - +38,6 (1+8); 3. **რუსეთი** (ივან ჩერეზოვი, ანტონ შიპულინი, მაქსიმ ჩუდოვი, ევგენი უსტიუგოვი) - +38,8 (0+4); 4. **შვედეთი** - +1:23,9 (1+10); 5. **გერმანია** - +1:37,9 (2+7); 6. **საფრანგეთი** - +1:38,1 (1+9)...

# ოლიმპიური ზამთარი

...მართლაც „ხმაურით“ გავაცილეთ ზამთრის უკანასკნელი თვე: ჯერ იყო და, დიდთოვლობის გამო რამდენიმე თამაში გადაიდო, მერე და მერე, ტური არ გავიდოდა, ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულიყო; ეგ კი არა, XXII ტურში ხუთი მატჩიდან მასპინძლებმა ვერც ერთი მოიგეს! და აი, განვლილი ტურიც, თებერვალიც და საერთოდ, ზამთარიც რომ უნდა დაევიწყებინა ყველასათვის; საბედნიეროდ, კლიმატურ პირობებს ვერავინ ვერაფერს დააბრალებს, ვერც... „გარეშე ძალების ზეგავლენას“ თუ მსგავს „ობიექტურ“ მიზეზებს - ალბათ, უკვე იმის დროც დადგა, ნებისმიერი წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორები ყველამ საკუთარ თავში ეძებოს.

თუმცა, რა დროს „საფეხბურთო ფილოსოფიაა“: ბოლო ტურში ერთდროულად რამდენიმე განსაკუთრებული ფაქტი დაფიქსირდა და ჩვენს მიმოხილვაშიც, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანსა და დასამახსოვრებელზე ვისაუბრებთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სატურნირო ცხრილში ხომ ერთდროულად რამდენიმე გადაადგილებაც მოხდა.

## მეზობლობის სინდრომი

ამ ტურამდე რუსთავის „ოლიმპს“ ჩემპიონატში ზედიზედ 11 გამარჯვება ჰქონდა. არ დავმალავთ: საქართველოში ძნელად თუ მოიძებნებოდა ვინმე, ამ სარეკორდო სერიის გაგრძელებაში ეჭვი რომ შეპარვოდა. თან, ამით სულაც არ ვაკნინებთ „ოლიმპის“ მეტოქეს: უბრალოდ, ჩვენში ხომ ამ ბოლო დროს, რატომღაც წესად იქცა ყველაფრის... ეჭვის თვალით შეხედვა. ასეთი საუბრები იყო „ოლიმპი“-“სიონის“ ამ მატჩის წინაც, იგივე ხდებოდა პირველი და მეორე წრის შეხვედრების წინაც და ასე იქნება უახლოეს მომავალშიც...

ისე, მართლაც უცნაური სიტუაციაა: ვთქვათ, „ოლიმპს“ მოეგო ქვემოქართლური „დერბი“: მაშინვე ხომ იმას იტყოდნენ, ყველაფერი „ზემოდან“ იყო დავალებულიო. არადა, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ბევრს „დაავიწყდებოდა“, რომ „ოლიმპი“ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და შემსრულებლებით მეტოქესაც ბევრად აღემატება. ახლა, მეორე ვარიანტი განვიხილოთ: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერებულ „სიონს“ სტუმრად რომ დაემარცხებინა „ოლიმპი“, ამ შემთხვევაშიც ხომ ეჭვი გაჩნდებოდა; აქაოდა, „სიონს“ უფრო სჭირდებოდა 3 ქულა და „ზემოდან“ ამდაგვარი დირექტივა წამოვიდაო. რეალურად კი მატჩი ფრედ დასრულდა და როგორ გგონიათ, ამ შედეგის „ლეგიტიმურობაზე“ არ საუბრობენ? მავანთა აზრით, ერთი რეგიონის გუნდებმა ერთმანეთს თავი არ შეაკლეს და ქულებიც „ძმურად“ გაიყვესო. არავის ადვოკატობას არ ვაპირებთ, უბრალოდ, მართლაც უცნაური იქნებოდა საყაიმო ანგირიშის ასე „წინასწარ დაგეგმვა“, თან, ასეთ შემთხვევაში ხომ, სულ მცირე, ორივე გუნდის ფეხბურთელებიც „საქმის კურსში“ უნდა ყოფილიყვნენ? იქნებ, „სიონის“ ახალგაზრდა მეკარემ **ვლადიმერ ზუხბაიამ** „არაფერი იცოდა“ და მთელი მატჩის განმავლობაში (არბიტრმა ძირითად დროს კიდევ ბლომად რომ დაამატა) აქეთ-იქით ტყუილად „დაფრინავდა“; ცოტა არ იყოს, ისიც ძნელი დასაჯერებელია, **რევაზ ჯიქიას, ნოდარ მაჭავარიანს, ანდერსონ აკინოსა** თუ **დავით იმედაშვილს**, თურმე, მილიმეტრ-სანტიმეტრებში ჰქონიათ ყველაფერი „გამოთვლილი“ - მასპინძელთა ამ ფეხბურთელებს ხომ სულ მცირედი დააკლდათ გოლის გატანამდე.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება „ოლიმპის“-“სიონის“ მატჩების ირგლივ არაჯანსაღი გარემო. არადა, ასეთ შემთხვევაში, მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა და ორივე გუნდის ქომაგებმა რა დააშავეს? ფეხბურთია და ფავორიტმა შედარებით სუსტ მეტოქეს ვერ მოუგო! ან, რა - **ხვიჩა ქასრაშვილს** არ ექნებოდა მოტივაცია ყოფილი კლუბის წინააღმდეგ? იმაზე ხომ საერთოდ აღარაფერს ვამბობთ: მატჩის მიწურულს არბიტრმა მოედნიდან **ირაკლი შენგელია** რომ გააძევა - შესაძლოა, ვინმემ ესეც „ზემოთ დაწერილი სცენარის“ ერთ-ერთ ეპიზოდად მიიჩნიოს.

დაბოლოს, ამ მატჩის ირგვლივ: „სიონის“ ახალწვეულმა მეკარემ გიორგი ზუხბაიამ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უკვე მეორე შეხვედრა ჩაატარა და ორჯერვე ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. „ოლიმპთან“ ხომ მშრალად შეინახა კარი, არანაკლებ დამაჯერებელი ეთქმოდა ტანმაღალი მეკარის ასპარეზობას „სპარტაკთან“ მატჩშიც...

## დინამიკური და უფავორიტო

ნეტავ, სადმე თუ ყოფილა შემთხვევა, ერთი გუნდი ჩემპონატში ყველა შეხვედრაში რომ იმარჯვებდეს; თუმცა როცა გუნდს ამბიცია და კონკრეტული მიზანი აქვს, არც „დაუგეგმავი ქულები“ უნდა ანიავოს და, რაც მთავარია, უშუალო კონკურენტებთან მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზოს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, როცა უშუალო კონკურენტის წაფორხილებით უნდა ისარგებლო და საკუთარი შანსი გამოიყენო. „ზესტაფონის“ მართლაც მრავალრიცხოვან ქომაგთა სამწუხაროდ, მათმა საყვარელმა გუნდმა თებერვალში ერთპიროვნულ ლიდერთან მიახლოების შანსი ორჯერ გაუშვა...

შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონმა“ ჯერ „ლოკომოტივთან“ ითამაშა ფრედ, ახლა კი შინ დამარცხდა თავის უპრინციპულეს მეტოქე თბილისის „დინამოსთან“. თანაც, ეს ბოლო შემთხვევა მაინც განსაკუთრებულად ჩანდა. „ოლიმპი“-“სიონის“ შეხვედრა სამი საათის დასრულებული იყო, ტურის ცენტრალური მატჩი რომ დაიწყო. როცა „ზესტაფონი“ და „დინამო“ ხვდებიან ერთმანეთს, წყვილში ფავორიტის ცნებაზე საუბარიც ზედმეტია ხოლმე. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასპინძელთა შანსები ბევრად უფრო ფასობდა: გამარჯვების შემთხვევაში ხომ „ოლიმპთან“ ჩამორჩენას ერთ ქულამდე დაიყვანდნენ; ამასთან, „დინამოს“ საკადრო პრობლემებიც ჰქონდა: დისკალიფიკაციის გამო **მათე ვაწაძე** ტოვებდა მატჩს, საერთოდ განაცხადში არ ყოფილა **ჯორჯ აკირემიც** და **კახა კაჭარავამაც** გარკვეული ტაქტიკური გადაადგილებები მოახდინა. ასე, მაგალითად - ძირითადში დაბრუნდა ახალგაზრდა „საყრდენი“ **ნიკოლოზ ფირცხალავა**, ხოლო **ალექსანდრე კოშკაძემ** უფრო შეტევის ხაზისკენ გადაიწია და ყოველივე ეს სტუმართა თამაშზეც აისახა. თუმცა 4000 ერთგული გულშემატკივრისგან შეგულიანებულმა მასპინძლებმა პირველი ტაიმი აქტიურად ჩაატარეს და რამდენიმე მეტად მწვავე მომენტიც შექმნეს სტუმართა კართან.

თუმცა ხან მასპინძელთა შემტევები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან „დინამოს“ მეკარე **გიორგი ლორია** თამაშობდა საიმედოდ. მეორე ტაიმში თამაშის შინაარსი შეიცვალა: სტუმრები თავსაც ორგანიზებულად იცავდნენ და დროდადრო მწვავე კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. თანაც, საკადრო პრობლემები ახლა უკვე „ზესტაფონს“ უშუალოდ მატჩის მსვლელობისას მოეძალა და მასპინძელთა თავკაც **გია გეგუჩაძესაც** ორი იძულებითი შეცვლის განხორციელება მოუხდა. ამასობაში კი შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სტუმართა „სტანდარტული“ შედეგიანი გამოდგა! ასისტენტობა პორტუგალიელმა **ედნილსონმა** გასწია, ხოლო თავით ზუსტი და გადამწყვეტი დარტყმა კი **გურამ კაშიამ** შეასრულა, რომელმაც თავის გუნდს ესოდენ პრინციპულ დაპირისპირებაში სამი ქულა მოუტანა, სხვათა შორის, „დინამოს“ კაპიტანზე ცალკეც უნდა ითქვას - დაცვაში თავის უშუალო ფუნქციებს ხომ ჩინებულად ასრულებს, არანაკლებ წარმატებით თამაშობს მეტოქის საჯარიმოშიც. თავად განსაჯეთ: „დინამომ“ გასულ თვეში ოთხი მატჩი ჩაატარა და აქედან სამ შეხვედრაში გურამ კაშიამ გოლი გაიტანა. სულ კი „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ჩემპიონატში უკვე შვიდი (!) გოლი გაიტანა. არ დაგვავიწყდეს: საუბარია ფეხბურთელზე, ამპლუით... ცენტრალური მცველი რომ გახლავთ.




## ახლები და ძველები

„ოლიმპი“-“სიონისა“ და „ზესტაფონი-“დინამოს“ შეხვედრებმა, ცოტა არ იყოს, ტურის სხვა მატჩები „დაჩრდილა“. არადა, სამივე იმ დანარჩენმა დაპირისპირებამ საინტერესო პაექრობაში ჩაიარა. ჯერ ის შეხვედრა ვახსენოთ, ტურში ყველაზე ადრე რომ ჩატარდა. მოქმედმა ჩემპიონმა დროის მცირე მონაკვეთში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. თანაც, ისე როგორც „დინამოსთან“ შეხვედრაში, „სპარტაკთან“ მატჩშიც **გელა გომელაურის** გუნდის გამარჯვება სავსებით ლოგიკური იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედიზედ მეორე მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრფორვარდი **გიორგი ბერიაშვილი**. ეგ კი არა, „სპარტაკთან“ შეხვედრაში ბერიაშვილმა სულაც „დუბლი“ შეასრულა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. როგორც ყოველთვის, აქტიური იყო **ჯაბა ლიპარტია**; აი, ახალგაზრდა ნახევარმცველები - **გიორგი ჯანელიძე** და **გიორგი ვასაძე** მომავალშიც ასე სტაბილურად თუ იასპარეზებენ, ერთობ საინტერესო ფეხბურთელებადაც ჩამოყალიბდებიან. სხვათა შორის, მატჩიდან მატჩამდე „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი თავისი გუნდის ტაქტიკურ განლაგებას ცვლის და ახლაც, „სპარტაკთან“ შეხვედრაში მოქმედმა ჩემპიონმა ერთობ შეტევაზე ორიენტირებული (4-3-2-1) სქემით ისპარეზა. აი, რაც შეეხება „სპარტაკს“, ამ გუნდს ყველაზე მეტად სტაბილურობა აკლია. ერთიც არის - **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდში უამრავი ახალწვეულია და მათ რთმანეთში შესათამაშებლად დროც სჭირდებათ. სამწუხაროდ, უკვე მერამდენე მატჩია ვერაფერი განსაკუთრებული შემოგვთავაზა ფართოდ რეკლამირებულმა **პატრიკ მედნალომ** - ფრანგი ლეგიონერი ნამდვილად არ აღმოჩნდა იმ დონის, როგორიც გვეგონა (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა); სამაგიეროდ, იმავეს ვერ ვიტყვით **ტიერ ანს კლოვისზე** - 17 წლის ბიჭი ამ ტურში სულაც „ისტორიაში“ შევიდა. ჰო, ასეა - საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში უკვე კოტდ'ივუარელმა ფეხბურთელმაც გაიტანა გოლი!

„ვიტ ჯორჯიას“ მსგავსად, ზედიზედ ორი მატჩი მოიგო ზუგდიდის „ბაიამ“ და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა სახიფათო ზონაც დატოვა და ახლა უკვე მეექვსე ადგილსაც მიუახლოვდა. „ბაიას“ წარმატება ფასეული უფრო იმითაც იყო, რომ უშუალო კონკურენტ „გაგრას“ მოუგო. თანაც, ამ შეხვედრაშიც „დუბლი“ ვიხილეთ: სომხეთის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა **ლევან აკობიამ** ჯერ პირველ ტაიმში იყოჩაღა, შემდეგ კი გამარჯვების მომტანი გოლი სულაც ბოლო წუთზე გაიტანა.

დაბოლოს, „ლოკომოტივზეც“ ოღონდ, ახლავე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ მიმოხილვებში ეს გუნდი აშკარად მეტ „პატივს“ იმსახურებს. ამას წინათაც აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ალბათ, იმის დროც დადგა, ამ ახალგაზრდული გუნდის ნებისმიერი წარმატება (ფრე იქნება თუ გამარჯვება)... მოულოდნელობად არ შევაფასოთ. ჰო, შემთხვევით, შესაძლოა, ერთი ან ორი მატჩი „გაუძლო“ მეტოქის იერიშებს და არ წააგო; მაგრამ, მოდი, გადავხედოთ „ლოკომოტივის“ ბოლოდროინდელ შედეგებს - გუნდი უკვე ხუთი ტურია წაუგებლად ასპარეზობს! **გელა სანაიას** გუნდს ამ ტურში ერთობ მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა და „სამტრედიასთან“ მოგებული უხვგოლიანი შეხვედრის შემდეგ „ლოკომოტივმა“ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხური დატოვა! იმედი დავიტოვოთ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის ასევე ახალგაზრდული გუნდი მომავალშიც ასე წარმატებით ითამაშებს...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 47-13 | 52 |
| 2. ზესტაფონი | 23 | 14 | 6 | 3 | 40-20 | 48 |
| 3. დინამო | 22 | 12 | 5 | 5 | 37-14 | 41 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 31-20 | 40 |
| 5. სპარტაკი | 23 | 8 | 6 | 9 | 30-36 | 30 |
| 6. სამტრედია | 22 | 6 | 4 | 12 | 29-45 | 22 |
| 7. ბაია | 22 | 5 | 4 | 13 | 18-30 | 19 |
| 8. სიონი | 22 | 3 | 10 | 9 | 12-27 | 19 |
| 9. ლოკომოტივი | 22 | 2 | 9 | 11 | 11-29 | 15 |
| 10. გაგრა | 22 | 3 | 5 | 14 | 21-42 | 14 |

*შენიშვნა: ცხრილში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის „სიონი“-“სპარტაკის“ მატჩთან დაკავშირებული სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 19 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |
| გაბედავა (გაგრა) | 10 |

**გამოტოვებული მატჩი**

**2 მარტი, სამშაბათი**

ვიტ ჯორჯია-სამტრედია

**მომდევნო ტური**

**6 მარტი, შაბათი**

დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სიონი-ბაია
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია



ლოკომოტივი-სამტრედია 3:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი | საქართველო-ესტონეთი | მზადება

# გუშინ ცხრით, დღეს ოცეულით

## კალაძე ნაკრებს ღამით შეუერთდება

3 მარტის ესტონეთთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულმა გუნდმა მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **თემურ ქეცბაიამ** გუშინ პირველად შეკრიბა ფეხბურთელები. ქეცბაია, მისი თანაშემწე **სოსო ჭედია**, მეკარეების მწვრთნელი **მამუკა აბუსერიძე** და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **მიხალის მიხალისი** ნაშუადღევს, 12 საათამდე გამოჩნდნენ სასტუმრო „თბილისი მარიოტში". რამდენიმე წუთში კი ფეხბურთელებმაც მიაშურეს სასტუმროს. ნაკრების მწვრთნელების განკარგულებაში გუშინ მხოლოდ 9 ფეხბურთელი იყო, 5 ეროვნული ჩემპიონატიდან, 4 კი ლეგიონერებიდან. ახლა კონკრეტულად ვთქვათ: თბილისის „დინამოდან" მეკარე **გიორგი ლორია**, მცველი **გურამ კაშია**, ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** და ფორვარდი **მათე ვაწაძე**. ხუთეული თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** შეავსო. რაც შეეხება ლეგიონერთა ოთხეულს - ბაქოს „ინტერის" მეკარე **გიორგი ლომაია**, ნალჩიკის „სპარტაკიდან", ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** და ფორვარდი **დავით სირაძე**, ასევე ნიჟნი ნოვგოროდის" თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე** გუშინ ქეცბაიასა და მისი შტაბის განკარგულებაში იყვნენ.

ბუნებრივია, დავინტერესდით მარცვალაძის მდგომარეობით, რომელმაც კლუბში ბოლოს ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შეცვლა ითხოვა.



„საკონტროლო მატჩი იყო, მაგრამ მეტოქე ძალზე უხეშობდა. ორთაბრძოლისას ფეხში ჩამარტყეს. ტკივილი ვიგრძენი და შეცვლა ვითხოვე. არ მინდოდა ტრავმა გამწვავებულიყო, მდგომარეობის გართულებას მოვერიდე. ახლა უკვე მწყობრში ვარ და თბილისში ჩამოსვლამდეც სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი", - გვითხრა მარცვალაძემ.

ნაკრებმა „თბილისი მარიოტში" ისადილა, მერე კი დასვენების საათი გამოცხადდა. 4 საათისთვის ყველა სასტუმროს ფოიეში შეიკრიბა. ფეხბურთელები ავტობუსში ჩასხდნენ და სავარჯიშოდ თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზას მიაშურეს.

ქეცბაიამ საათისა და 10 წუთის განმავლობაში ავარჯიშა ფეხბურთელები. წვრთნა დახურული იყო და როგორც გავიგეთ - მსუბუქი ხასიათისა იყო. ფეხბურთელების განწყობა საბრძოლოა. მოთამაშეებს ჟინი და მონდომება არ აკლიათ და რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია.

ეროვნული გუნდი დღეს სრულად შეიკრიბება. როგორც გავიგეთ, ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი გუნდს გამთენიისას დაემატება. ერთი სიტყვით, ნაკრებს დღეს შეუერთდებიან: **ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან კობიაშვილი, ლადო დვალიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი მერებაშვილი, მალხაზ ასათიანი, ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე** და **ალექსანდრე იაშვილი**. ერთადერთი გამონაკლისი **კახა კალაძეა**. კაპიტანი გუნდს დღეს ღამით, ვარჯიშის შემდეგ შეუერთდება. სამშაბათს, 2 თებერვალს ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით ივარჯიშებს.

დღეს ეროვნული გუნდის წვრთნა 16:30 სთ-ზე ისევ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდება. მანამდე, 14 საათზე კი სასტუმრო „თბილისი მარიოტში" ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია პრესკონფერენციას გამართავს.

დღესვე საღამოს, 17 საათზე მეტოქე ესტონეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები გვეწვევიან. ბალტიისპირელები სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" დაიდებენ ბინას. ესტონელთა ეროვნულ გუნდს მთავარი მწვრთნელი **ტარმო რუუტლი** დღეს საღამოს მსუბუქ ვარჯიშს ჩაუტარებს.

## დებიუტანტები

**ესტონეთთან 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულ შემადგენლობაში პარასკევს გარკვეული ცვლილებები მოხდა, რომელიც უკვე გაცნობეთ. ამ ცვლილებათა შედეგად, ეროვნულ გუნდში 2 დებიუტანტი გამოჩნდა - თბილისის „დინამოს" შემტევი ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე და თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე მაქსიმე ქვილითაია.**

**ბუნებრივია, საინტერესოა, რას ფიქრობენ დებიუტანტები ნაკრებში გამოძახებაზე, როგორ მიიღეს ახალი ფეხბურთელები ეროვნული გუნდის სტაჟიანმა წევრებმა, რა წარმოდგენა აქვთ გუნდის თავკაცზე, რას ფიქრობენ ოთხშაბათის მატჩსა და ნაკრებში დამკვიდრების კუთვნილ შანსზე.**

**ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ დებიუტანტებს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

### ალექსანდრე კოშკაძე:

# ნაკრებში გამოძახება ჩემთვის ჯილდოა

**- ნაკრებში პირველად ხართ გამოძახებული. რამდენად ელოდით და რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ძალიან გამიხარდა, როცა მითხრეს, ეროვნულ გუნდში ხარ გამოძახებულიო. ნაკრებში გამოძახება ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

**- ბუნებრივია, გუნდს კარგი განწყობით შეუერთდით...**

- კი, საბრძოლო განწყობა მაქვს. ჟინი და მონდომება არ მაკლია...

**- მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის ბოლოს ჩატარებულ ტურში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეთ...**

- მართლაც საჭირო 3 ქულა ავიღეთ. „ზესტაფონთან" ყველას უჭირს თამაში, მით უმეტეს სტუმრად. ყველაფერი გავაკეთეთ ამ მატჩის მოსაგებად და გარჯაც გურამ კაშიას ჩინებული გოლით დაგვიფასდა.

**- ახალი მწვრთნელის ხელში ნაკრების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება ხოლმე. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- დიახ, აგრეა. დროა წარუმატებლობა წარსულს ჩაბარდეს და ნელ-ნელა წინსვლა დავიწყოთ. თემურ ქეცბაიასი დიდად ეიმედება ქართველ გულშემატკივარს და მეც იმედიანად ვარ განწყობილი. ასეთი ოპტიმისტურია ჩემი განწყობა იქიდან მოყოლებული, როცა გადაწყდა, რომ ნაკრებს ქეცბაია გაუძღვებოდა.

კარგად ვხედავ, რა პასუხისმგებლობაც გვაკისრია ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს. წლის პირველი მატჩია, თემურ ქეცბაიას დებიუტია და ეს კიდევ უფრო აორმაგებს ჩვენს მოტივაციას, ჟინს, მონდომებას. უფრო მეტად ვართ შემართულები. ჩემი გამოძახება ავანსად გაცემული იმედია, რომელიც უნდა გავამართლო. ალალად გეუბნებით, ნაკრებში გამოძახება ჩემთვის ჯილდოა, მე ასე ვთვლი.

**- ნაკრების თავკაცზე რა წარმოდგენის ხართ?**

- „დინამოს" მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავასაც ბევრჯერ ულაპარაკია თემურ ქეცბაიაზე. ჩემს წარმოდგენაში ქეცბაია ის კაცია, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს, კარგად იცის თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნები და ეს „ანორთოსისსა" და „ოლიმპიაკოსში" მუშაობის პერიოდშიც არაერთხელ დაამტკიცა. ვფიქრობ, ნაკრების თავკაცს უყვარს მებრძოლი, ჟინიანი, შემართული და მოაზროვნე ფეხბურთელები. ისიც მსმენია, რომ ქეცბაია სამართლიანი კაცია და გარჯას არავის დაუკარგავს... ერთი სიტყვით, ჩვენ, ფეხბურთელები ვალდებული ვართ მწვრთნელის ყველა დავალება შევასრულოთ. ეს უნდა შევძლოთ და ნაკრები ძლიერი გუნდი იქნება.

**- ეროვნულ ჩემპიონატში შარშანაც კარგად წარმოჩნდით. ალბათ ექტორ კუპერის სიაშიც ელოდით მოხვედრას...**

- მოლოდინი კი მქონდა, მაგრამ მოლოდინი ერთია და მეორეა რას ფიქრობს მწვრთნელი. ეს საკითხი ნაკრების თავკაცის პრეროგატივაა. ალბათ კუპერმა მაშინ ჩათვალა, რომ სანაკრებო კონდიციაში არ ვიყავი.

**- სამ კვირაზე მეტია, რაც სეზონი განახლდა. ამჟერად როგორ კონდიციაში ხართ?**

- სეზონის განახლებამდე არსებული პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენეთ. მხოლოდ მე კი არა, დინამოელები, ყველა კარგად ვართ მომზადებული და ეს ეროვნულ ჩემპიონატშიც არაერთხელ გამოჩნდება.

**- მეტოქე ესტონეთსა და 3 მარტის მატჩზე რა აზრისა ხართ?**



- მართალია, ოთხშაბათს ამხანაგური მატჩი გვაქვს, მაგრამ ამ შეხვედრას სხვადასხვა დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, ამ მატჩის მოგება და ახალი შესარჩევი ციკლისთვის მზადების მოგებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, ესტონეთი კი არა, რა გუნდიც არ უნდა იყოს 3 მარტს ჩვენი მეტოქე, ყველა შემთხვევაში უნდა მოვიგოთ... იმედი მაქვს, თამაში მომიწევს და ნდობას გავამართლებ.

### მაქსიმე ქვილითაია:

# უნდა დავამტკიცო რომ ეროვნული გუნდის ღირსი ვარ

- უზომოდ გამიხარდა ნაკრებში გამოძახება. ეს ამბავი პირველად ახლობლებმა მითხრეს, არ მჯეროდა... მეორე დღეს, შაბათს, „ლელოში" წავიკითხე ეროვნულში რომ ვიყავი გამოძახებული და ძალიან ბედნიერად ვიგრძენი თავი. მადლიერი ვარ ასეთი ნდობისთვის და მჯერა რომ ამ იმედს გავამართლებ.

**- ცოტა არ იყოს ღელავთ კიდეც. ასეა?**

- კი, ცოტა ვღელავ, მაგრამ დღეს მზადების პირველი დღეა და ვიცი, გადამივლის. თავდაპირველად უფრო ვღელავდი, ახლა აშკარად ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ვმშვიდდები.

**- საკუთარი თავის ხელში აყვანა და მართვა რამდენად გამოგდით?**

- ეს ნამდვილად შემიძლია და კარგადაც გამომდის.

**- თქვენი პლუსი ხაზზე საიმედო თამაშია. თქვენი გარჯის წყალობით „ლოკომოტივმა" არაერთხელ შეინახა კარი მშრალად და ძვირფასი ქულები მოიპოვა. თუმცა გამოსვლაზე ისე საიმედოდ ვერ გამოიყურებით, როგორც ხაზზე. ამაზე რამდენად მუშაობთ?**

- დიახ, მართალია, ხაზზე უკეთ ვთამაშობ. გამოსვლაზე იმდენად საიმედო არ ვარ, მაგრამ ამ კომპონენტის დასახვეწად უკვე ვმუშაობ. მონდომება და ჟინი არ მაკლია და გამოსვლაზეც საიმედო მოთამაშე გავხდები.

**- მეკარე მოლაპარაკე უნდა იყოს და თანაგუნდელებს უკნიდან უკარნახოს. ამ კომპონენტში როგორი ხართ?**

- გოლკიპერი თამაშში თავიდან ბოლომდე უნდა იყოს ჩართული. მეკარე მოედანზე ბოლო კაცია, ყველაფერს სხვებზე უკეთ ხედავს და ვალდებულია თანაგუნდელებს უკარნახოს. მეც სწორედ მეკარეთა ამ კატეგორიას მივეკუთვნები. გოლკიპერს მოდუნების უფლება არ აქვს. შესაძლოა, მეკარეს 89 წუთის განმავლობაში ბევრი საქმე არ ჰქონდეს, მაგრამ ამან არ უნდა მოადუნოს, თორემ თამაში არბიტრის საფინალო სასტვენამდეა და თუ მოდუნდი, შესაძლოა დაისაჯო კიდეც. ასეთია ჩემი შეხედულება და ამ დევიზით გავდივარ ყველა თამაშზე. მინდა ყველას დავანახვო, რომ ნაკრებში გამოძახებას ვიმსახურებ და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ერთი სიტყვით, უნდა დავამტკიცო, რომ ნაკრებში თამაში შემიძლია.

**- ჯერ კიდევ შარშან, მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ალაპარაკდნენ გულშემატკივრები და ფეხბურთის სპეციალისტები, თბილისის „ლოკომოტივს" საიმედო მეკარე ჰყავს და უპრიანი იქნება, ეროვნულ გუნდში ერთი შანსი მაინც მიეცესო. ალბათ ელოდით კიდეც ექტორ კუპერის ფორმაციის ნაკრებში გამოძახებას...**

- სადღაც გულის სიღმეში ველოდი კიდეც. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯეროდა, რომ მოკლე პერიოდში თუ არა, მოგვიანებით მაინც გამომიძახებდნენ. ალბათ კუპერის მწვრთნელობისას არ ვიყავი ისეთ ფორმაში, ახლა რომ ვარ... ძალიან გამიხარდა, რომ ამჟერად სანაკრებო სიაში ვარ. ეს ჩემთვის შანსია და ბოლომდე შევეცდები გამოვიყენო. ნაკრების სიაში ჩემი გვარი რომ ამოვიკითხე, საკუთარი თავის რწმენა მომემატა. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. მჯერა, შესაძლებლობა მექნება და ეროვნულში ჩემს სათქმელს ვიტყვი.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

U 21. საქართველო-ესტონეთის წინ



# გაბელიამ ეროვნულს მარიოტი და ვანაძე დაუთმო

## გაბედავა არ არის, შეყილაძეს პრობლემები აქვს

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მომზადება დაიწყო. სამ მარტს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ევროპის 2011 წლის შესარჩევ ჯგუფში **ოთარ გაბელიას** გაწვრთნილები ესტონეთს უმასპინძლებენ.

გაბელიამ ფეხბურთელები გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრიბა, არადა, წინასწარ გუნდის „თბილისი-მარიოტში" დასახლება იგეგმებოდა.

ოთარ გაბელია სიტყვას ასრულებს და ფეხბურთელებს მკაცრი კონტროლის ქვეშ ამყოფებს - არა იმიტომ, რომ ეს ძალიან სიამოვნებს, უბრალოდ, დროულად დაიძინებენ და ღამის სამ საათამდე არ გაერთობიან, როგორც ადრე რამდენჯერმე ზოგიერთმა მოინდომა. მობილურების გარეშე დარჩენილებს, გონებას არ აურევს ფულის მთხოვნელთა ზარები... გინდა-არ გინდა, ეს საქართველოა, ზოგიერთი მოთამაშე მკაცრი რეჟიმის გარეშე, მოეშვება, მატჩისთვის კონცენტრირებას ვერ ახერხებს და ეს საბოლოოდ, შედეგზეც აისახება.

გუშინ გუნდმა **თენგიზ სულაქველიძის** სახელობის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ივარჯიშა. სხვადასხვა მიზეზით, ახალგაზრდულს რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა: მცველი **ნიკა კვეკვესკირი** („ბაია"), ნახევარმცველები - **დავით თარგამაძე** („ფრაიბურგი", გერმანია) და **ირაკლი ჩაფიძე** („ლოკომოტივი", რუსეთი), აგრეთვე სამი თავდამსხმელი - **გიორგი გაბედავა** („ილიჩევეცი", უკრაინა), **ირაკლი შეყილაძე** („ემპოლი", იტალია) და **მათე ვაწაძე** („დინამო"). მოგეხსენებათ, ვაწაძე ეროვნულში მიიწვიეს, რადგან **თემურ ქეცბაიამ** მისი ნახვა ისურვა.

გუშინდელ ვარჯიშზე არ ყოფილან **გიორგი ბახტაძე, ლაშა თოთაძე, ამირან სანაია, გიორგი განუგრავა, ირაკლი კლიმიაშვილი** და **გიორგი ივანიშვილი**. ისინი ნაკრებს დღეს შეუერთდებიან.

ვარჯიში ერთ საათს გაგრძელდა. მოთელვის შემდეგ, არასრული შემადგენლობის მიუხედავად, „ორკარა" გაჩაღდა. ვარჯიშის შემდეგ ოთარ გაბელიას გავესაუბრეთ.

**- ბატონო ოთარ, წინასწარ გამოცხადებული გეგმა შეიცვალა - „ბასაში" რატომ დაბინავდით?**

- ეროვნულმა ნაკრებმა „თბილისი-მარიოტში" ამჯობინა შესვლა და ეს გახდა მიზეზი, ჩვენ „ბასაში" რომ დავრჩით. თავიდან ვიცოდით, რომ ტექნიკურ ცენტრში ეროვნული შედიოდა.

**- რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ჩამოვიდა - ვინ და რა მიზეზით ვერ დაგეხმარებათ?**

- კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

**- ჯერ მათზე ვთქვათ, ვინც გვიან, მაგრამ ჩამოდის.**

- ჯერჯერობით, სრული შემადგენლობა ვერ შეიკრიბა, რადგან ლეგიონერებს თამაში ჰქონდათ. ეს რაც წინასწარ ვიცოდით. მაგალითად, ირაკლი კლიმიაშვილი უკვე ჩამოვიდა, ხვალისთვის ველოდებით უნგრეთში მოთამაშე ქართველების ჯგუფს - ბახტაძეს, თოთაძესა და განუგრავას. დღეს ღამით მოფრინავს „ლე მანიდან" ამირან სანაია.

**- მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი ნიკა ძალამიძე ხომ 27-ში თბილისში უნდა ყოფილიყო?**

- დიახ, უნდა ჩამოსულიყო, რეისზე გარკვეული პრობლემა შეიქმნა, მაგრამ ხვალ შემოგვიერთდება.

**- გაბედავა კლუბმა არ გამოუშვა თუ რატომ არ ჩამოვიდა?**

- გაბედავა არც მყავდა გამოძახებული.

**- გაფართოებულ სიაში ხომ იყო?**

- გაფართოებულში კიდევ ბევრი იყო, მაგრამ საბოლოო სიაში ყველა ვერ მოხვდა. გიორგის ვიცნობთ და სამომავლოდ დაგვჭირდება. ახლა კი სხვებს დავეყრდენით. ასე მაგალითად, მათე ვაწაძე ეროვნულში მიიწვიეს და გიორგი ჭედიას გამოძახება მოგვიხდა.

**- შეკრებაზე არც მოსკოვის „ლოკომოტივის" ასაკობრივი გუნდის ფეხბურთელი ირაკლი ჩაფიძე გამოცხადებულა. ვინ არის ეს ბიჭი, სად აღმოაჩინეთ?**

- ჩაფიძე ვოვა გუცაევმა სამი კვირის წინანდელ შეკრებაზე გამოიძახა, ორმხრივ შეხვედრაში ათამაშა და იმ თამაშს მეც დავესწარი. გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ ირაკლი ძალიან მომეწონა, თუმცა, ამჯერად ისიც გაფართოებულ სიაში იყო. თუკი პროგრესს გააგრძელებს, ნაკრებში აუცილებლად მოვიწვევთ.

**- რა პოზიციაზე თამაშობს?**

- ჰავბეკია, ერთნაირად თამაშობს მარჯვენა და მარცხენა ნახევარდაცვაში. პირველი შთაბეჭდილებით, ვფიქრობ, კარგი ფეხბურთელი უნდა გაიზარდოს.

**- ბუნდესლიგური „ფრაიბურგის" ნახევარმცველი დათო თარგამაძე ნაკრებში კვლავ არ არის.**

- ბუნდესლიგაში ჩვენიანი რომ თამაშობდეს, როგორ არ გამოვიძახებდი? დათო „ფრაიბურგში" ირიცხება, მაგრამ სამწუხაროდ, უთამაშებელია. ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია, დარჩება „ფრაიბურგში" თუ, როგორც ამბობს, „კარლსრუეში" გადავა. ასე რომ, უნდა დალაგდეს, სათამაშო პრაქტიკა მიიღოს და როგორ არ გამოვიძახებთ. ხალხს ვეძებთ და ბუნდესლიგელზე თვალს ნაღდად არ დავხუჭავ.

**- „ემპოლის" თავდამსხმელი ირაკლი შეყილაძე რატომ არ ჩამოვიდა?**

- როგორც გვითხრეს, შეყილაძეს „ემპოლისთან" გარკვეული პრობლემები შეექმნა და ამის გამო ვერ ჩამოდის.

საბოლოოდ, ესტონეთის ნაკრებთან მატჩისთვის გუნდი ასეთი შემადგენლობით მოემზადება:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **გიორგი ხიდეშელი, მამუკა კობახიძე** (ორივე ზესტაფონი), **ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი** (ორივე დინამო), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ამირან სანაია** (ლე მანი, საფრანგეთი), **ლაშა თოთაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

ნახევარმცველები - **თემურ შონია, ივანე კანდელაკი** (ორივე სპარტაკი), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი, რუსეთი), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა, რუსეთი), **გიორგი განუგრავა** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ბუბა დაუშვილი** (ზესტაფონი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (გაგრა), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები - **რევაზ ბარაბაძე** (ანჟი), **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი).

ახალგაზრდული ნაკრები დღესაც თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიაში 16:30 საათზე ივარჯიშებს. საღამოს, 19:00 საათზე კი მედიას გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია შეხვდება - მცხეთის სანაკრებო ბაზა „ბასაში" პრესკონფერენცია გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიქრები ხმამაღლა

# თვალი გავუსწოროთ რეალობას

**ქართული** ფეხბურთის ავან-ჩავანზე „ლელოს" მკითხველს ნაფიქრს უზიარებს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე...

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში საფეხბურთო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, მისი ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, მას შემდეგ რაც თავისი კადრები მოიყვანა სფფ-ის ხელმძღვანელობაში, მხოლოდ მაშინ დაუდგა მხარში ფედერაციას და საკმაოდ სოლიდური თანხები გამოყო ძირითადად ნაკრები გუნდების მწვრთნელთა სახელფასო ანაზღაურებისათვის და მარტივი ტიპის სათამაშო მოედნების მოსაწყობად. მაგრამ ეს თანხა ძირითადად უყაირათოდ დაიხარჯა. ნაკრებში სასიკეთო არაფერი მომხდარა, ხოლო ამ მცირე გაბარიტიანმა მოედნებმა, რომლებსაც რატომღაც სტადიონებად მოიხსენიებენ, უბედურება მეტი მოიტანა, ვიდრე სიკეთე.

ბოლოხანს ერთგვარი გამოცოცხლებაა ფედერაციაში, რომელიც ზრუნავს რამდენიმე ქალაქის სტადიონის კეთილმოწყობაზე, ნაკრები გუნდებისათვის სრულფასოვანი ბაზის აშენებაზე; სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს უწყობს შეკრებებსა და ამხანაგურ თამაშებს. სფფ-ის პრეზიდენტს, ბატონ **ზვიად სიჭინავას** შეხვედრები აქვს ფიფა-უეფას პასუხისმგებელ პირებთან, თავის უცხოელ კოლეგებთან, ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რეგიონების ხელმძღვანელობასთან. ხშირად ვუსმენთ მის სატელევიზიო გამოსვლებს, ვკითხულობთ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუებს და ეს კაცი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მშვენივრად ერკვევა მენეჯმენტში. ეტყობა, მას კომერციული საქმიანობის კარგი გამოცდილება აქვს, საერთოდ, ნიჭიერი კაცი სჩანს და მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიაში საფეხბურთო საფანელიც თუ ჩქარა შეერევა, მაშინ ერთიანი საფეხბურთო მეურნეობის მართვაშიც მიაღწევს წარმატებებს.

ამასთანავე, გვეჩვენება, რომ ეს პატივცემული კაცი ზედმეტად უსმენს მაღალ სახელისუფლებო პირებს, არადა იქ, მაღლა ორიოდ პიროვნება თუ არის, ვინც ასე თუ ისე ერკვევა საფეხბურთო საქმიანობაში. სიჭინავამ უნდა შეძლოს, რომ ხელისუფლება ნაკლებად ჩაერიოს ფედერაციის საქმიანობაში (ამას ფიფა-უეფას მოთხოვნებიც ითვალისწინებს), თორემ რა მოგვიტანა „მუსიკის დაკვეთამ", ეს ფეხბურთის ფედერაციის წინა არჩევნებმაც გვიჩვენა, როდესაც ფედერაციის ხელმძღვანელობაში დაინიშნენ სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდები, რომლებიც მართვის ელემენტარულ ნიუანსებშიაც ვერ გაერკვნენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ მთლიანად მოიშალა საფეხბურთო საქმიანობა. დღეს ყველასათვის ცნობილია როგორი მემკვიდრეობა დახვდა ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას.

...ჩვენი აზრით, ზვიად სიჭინავა შეცდა, როდესაც უარი თქვა ეგრეთწოდებულ „ახალგაზრდული ფრთის" წარმომადგენლების გვერდით დაყენებაზე (უფრო ცუდია, თუ მას ეს გადაწყვეტილება „ზევიდან" მიაღებინეს). ვიცი, რომ **მიშა ყაველაშვილს, გია ნემსაძეს, გოჩა ჯამარაულს, ლევან ყიფიანს** მშვენიერი ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების პირველ პირებთან, რაც ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს, აგრეთვე ადგილობრივ ბიზნესწრეებთან და ფეხბურთთან მიმართებაში მართლაც რომ თანამედროვე ხედვები აქვთ. ყურადსაღებია ისიც, რომ ამ საინტერესო ახალგაზრდებს თავად ჰქონდათ დიდი სურვილი გვერდში ამოდგომოდნენ ფედერაციის პრეზიდენტს. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდში სიჭინავას სლოგანი გახლდათ „ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება".

ფაქტობრივად, დღეს ისევ გახლეჩილია ჩვენი საფეხბურთო თემი. არ ივარგებს ასე გაგრძელება, დროულად უნდა გამოსწორდეს ეს საქმე. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ბატონ პრეზიდენტს მეტი სიფხიზლე და მომზადება მართებს პრესის ფურცლებზე თუ სატელევიზიო გამოსვლების დროს. ამ შემთხვევაში მის სამეტყველო კულტურას კი არ ვგულისხმობთ, არამედ მიცემულ საკითხზე მისი კომენტარის შინაარსს. მაგალითად: „ლელოში" გამოთქმული მისი მოსაზრება ცხინვალის „სპარტაკისა" და ბოლნისის „სიონის" თამაშთან დაკავშირებით მეტ კორექტულობასა და პროფესიულ ხედვას საჭიროებდა. ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

ზემოთ ვთქვი, რომ ფედერაციაში ახალი ხლმძღვანელობის მოსვლამ გულშემატკივრებს, რაღაც იმედი ჩაგვისახა, მაგრამ ჩვენ თუ მასშტაბურად განვსჯით, ჯერ მაინც არა ვართ გამოსული საფეხბურთო ცხოვრებაში არსებული „მთქნარებამდე მისული სიტუაციიდან". გულშემატკივრებს პერიოდულად, ორ წელიწადში ერთხელ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო შეჯიბრებების კენჭისყრა თუ გამოაფხიზლებს. როგორც წესი, ნაკრები გუნდის სამომავლო შედეგებზე არავითარი „ფრთხილი ოპტიმიზმი", მაგრამ დაიწყება თამაშები, ჩვენი ეიფორიული მდგომარეობა ნელ-ნელა კვდება და ვიღებთ ისევ „მთქნარებამდე მისულ სიტუაციას". ეს პროცესი დიდი ხანია ერთი და იმავე სცენარით მიმდინარეობს. ასეა ახლაც - ამ პროცესის მორიგი ციკლის დასაწყისში ვიმყოფებით და ჩვენი ბედნიერი გულშემატკივრები უკვე ევროპის ფინალურ სტადიაზე მოხვედრაზე საუბრობენ. მაგრამ ვიყოთ გულახდილები, ფინალურ ეტაპზე ჩვენი ნაკრების გასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია და ცოტა უხერხულიც. ჩვენ ამ ეტაპზე, ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაზე და 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თამაშების კენჭისყრისთვის მესამე კალათაში მოხვედრისათვის ვიზრუნოთ. თუმცა ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ვიოცნებოთ ჩვენც.



დავით კვინიკაძე

გაზეთის ფორმატის შესაძლებლობების გათვალისწინებით შეგვიძლია ზოგადად მაინც ვილაპარაკოთ ნაკრები გუნდის სათამაშო სქემებზე, მთლიანად ნაკრებისა თუ ცალკეული მოთამაშის სპორტულ ხარისხზე, ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე, მენტალობაზე და ა.შ. მაგრამ, პირველ რიგში, ძალიან მარტივი კითხვაზეა გასაცემი პასუხი - ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, საერთოდ, არსებობდა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი? ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხია - არა! ნაკრებ გუნდში უნდა თამაშობდნენ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელები, მაგრამ ბატონმა **ექტორ კუპერმა** საერთოდ არ იცოდა ზოგიერთი ქართველი ფეხბურთელის არსებობა, ის უცხოელი კაცი იყო და ნაკრების კანდიდატების ვინაობას ფედერაციის მუშაკები აწვდიდნენ. საინტერესოა, ვინ და რატომ ბლოკავდა ნაკრებისათვის რამდენიმე ფეხბურთელს?

ნაკრები გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ყველასათვის საყვარელმა პიროვნებამ **თემურ ქეცბაიამ** დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 3 მარტისათვის ესტონეთის ნაკრებთან სათამაშოდ უნდა მოემზადონ. დღეს ნებისმიერ სპეციალისტს გაუჭირდება იმ 6-7 მოთამაშის გამორჩევა, რომელიც ნაკრები გუნდის ხერხემალს შექმნის და რომელზედაც უნდა აშენდეს სამომავლოდ ეროვნული ნაკრები. ექსტრაკლასის ფეხბურთელებზე, სამწუხაროდ, ლაპარაკი გამორიცხულია. მე დავეკითხე რამდენიმე ქართველ სპორტულ ჟურნალისტს დაესახელებინათ ხორვატიისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების ფეხბურთელები. ყველა მათგანმა 12-15 ფეხბურთელის შესახებ დაწვრილებით ისაუბრა. არა მგონია, ამ ქვეყნის ჟურნალისტები ამავე დონეზე იცნობდნენ ჩვენს მოთამაშეებს, იმიტომ კი არა, რომ ისინი (უცხოელი ჟურნალისტები) პროფესიონალები არ არიან, არამედ, ხორვატიაში და საბერძნეთში (იქნებ, ისრაელშიაც) გაცილებით ძლიერი და ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ, ვიდრე საქართველოს ნაკრებში.

ძვირფასო გულშემატკივრებო, ვიცი, ძნელია ვიწრო, კუთხური პატრიოტიზმიდან გამოსვლა, მაგრამ შევძლოთ და თვალი გავუსწოროთ რეალობას.

მავანმა შეიძლება თქვას, რომ ჩვენ გვყავს **კალაძე, კობიაშვილი, მუჯირი, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, ასათიანი, იაშვილი, ყენია, მჭედლიძე, ანანიძე, სირაძე, შაშიაშვილი, კანკავა, გოგუა** და ა.შ. მაგრამ საკითხავია, რომ ისინი დღეს სტაბილურად მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობენ;

>> მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიქრები ხმამაღლა

# თვალი გავუსწოროთ რეალობას

« მე-8 გვერდიდან

ვიყოთ გულახდილნი - ჩამოთვლილ მოთამაშეებს მიმდინარე სეზონში თავიანთ გუნდებში კალენდარული მატჩების საკმაო რაოდენობაში არ მიუღიათ მონაწილეობა, კაცმა რომ პირდაპირ თქვას, ან რა გუნდებში თამაშობენ და მეორეც - რა, წამყვან როლებს ასრულებენ თავიანთ კლუბებში? მათი უმეტესობა ხომ ტრავმების, ასაკისა თუ სხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო იშვიათად ხვდებიან ძირითად შემადგენლობაში. ჩვენი მოთამაშეები თავისი სპორტული კარიერის მწვერვალზე არ იმყოფებიან, ერთი ნაწილი ამთავრებს მაღალ დონეზე თამაშს, რამდენიმე მათგანი ჯერ ყმაწვილკაცია, ახლა იწყებენ საფეხბურთო კარიერის შექმნას და პროფესიონალამდე დიდი დრო და შრომა სჭირდებათ, თუმცა საამისოდ ნიჭიც და შესაძლებლობები ღმერთისგან მომადლებული აქვთ.

...თემური ქეცბაია მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელი გახლდათ, ნამდვილი პროფესიონალი, თვითონაც ჯიგრიანად თამაშობდა და სხვების დადებითად დამუხტვაც შეეძლო. სრულიად არ ერიდებოდა ეგრეთ წოდებულ ავტორიტეტებს (ყველა გუნდში არიან ავტორიტეტები) და მათგანაც მოითხოვდა თავდადებას. ქეცბაიამ არანაკლებ წარმატებას მიაღწია მწვრთნელის ამპლუაში, მაგრამ მას ნაკრებ გუნდში დებიუტი ელის, ნაკრებისა და საკლუბო გუნდების მწვრთნელობა კი თავისი სპეციფიკით სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თითოეული მოთამაშის კლასის ამაღლებაზე მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ საკლუბო დონეზე მიდის მუშაობა, ეს არ არის ძნელი, რადგან მეთოდები ყველა მაღალი კლასის მწვრთნელისათვის ცნობილია. აი ნაკრებში კი მწვრთნელს საამისოდ დრო არა აქვს, მას ძირითადად ტაქტიკურ სქემებზე და მოთამაშეთა მენტალიტეტის ამაღლებაზე უწევს ზრუნვა, ეს უკვე პერსონალური მომენტია, ვინაიდან სწორედ სანაკრებო მენტალობა ახდენს დიდ წილ გავლენას ფეხბურთელის თამაშის ხარისხზე, მის პროფესიონალობაზე.

**ხორხე ვალდანოს** აქვს ნათქვამი „საფეხბურთო ნაკრები უწინარესად თავისი ქვეყნის მიწის რიტმი და პროდუქტი უნდა იყოს... ფეხბურთის თამაში ძირითადად ორი კომპონენტისაგან შედგება - ხელოვნება და ბრძოლა“. დიახ, ფეხბურთი მარტო ესთეტიკა აღარ არის, ის ამავდროულად სასტიკია თავისი დღევანდელი შინაარსით. ვფიქრობ, ქეცბაიამ ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა. ეს ნამდვილად არ არის ადვილად მისაღწევი, ვინაიდან სწორედ სანაკრებო მენტალობა და სისასტიკის ზღვრამდე მისული ესთეტიკური თამაშის მანერა აკლიათ ჩვენს ფეხბურთელებს.

მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი სურვილებია და მეტი არაფერი. ფაქტია, რომ დღეს ის ძალიან რთულ მდგომარეობაშია, მას არ ჰყავს ექსტრაკლასის მოთამაშეები, სამაგიეროდ ძალიან ბევრნი არიან საშუალო დონისანი და ძნელია მათგან ზუსტად შეარჩიო ისეთნი, რომლებიც სხვებზე მეტად იმსახურებენ ნაკრებში ყოფნას, რთულია ახალგაზრდებთან მუშაობაც და მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა. თემურმა უნდა განუმარტოს საზოგადოებას, თუ რატომ გამოიძახა ან არ გამოიძახა ნაკრებში ესა თუ ის მოთამაშე, ამავდროულად სწორედ აქ საჭიროებს მწვრთნელი ყველასგან თანადგომასა და მხარდაჭერას ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოსაყალიბებლად და არა მხოლოდ იაფფასიანი მოწოდებებს ჯგუფში პირველ-მეორე ადგილაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პატივცემულო გულშემატკივრებო, ნაკრები გუნდი ძალიან რთული მექანიზმია. ჩვენ ნაკლებად ვართ ჩახედული მის „შიდა სამზარეულოში“, ჩვენთვის უცნობია გუნდის შიდა და გარე მოვლენები და, აქედან გამომდინარე არ ვიცნობთ ფეხბურთელების პიროვნულ თვისებებს, მათ ადამიანურ ღირსებებს და ნაკლოვანებებს. არ ვიცით, თუ რომელ ფეხბურთელს აქვს სანაკრებო მენტალობის უნარ-ჩვევები, რომელ ფეხბურთელს შეუძლია გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ატმოსფეროს შექმნა. ნებისმიერი გუნდის ცხოვრებაში, გნებავთ დიდი **ნოდარ ახალკაცის** „დინამოში“, გნებავთ **საშა ჩივაძის**, ცხონებული **დათო ყიფიანის** და **რეზო ძოძუაშვილის, ვოვა გუცაევის** ფორმაციის ნაკრებში, ყოფილა შემთხვევები, როდესაც გულშემატკივრებისათვის სათაყვანებელი ფეხბურთელი მოთავე გამხდარა მწვრთნელის წინააღმდეგ მოწყობილი ობსტრუქციისა. ხშირად, განსაკუთრებით საშა ჩივაძის (ამ კაცს გამორჩეული საფეხბურთო ცნობიერება, კულტურა და ქარიზმა აქვს) შემდგომ პერიოდში, ფეხბურთელები სხვადასხვა სრულიად უსაფუძვლო კერძო ინტერესებით თავს არიდებდნენ ნაკრების საწვრთნელ შეკრებებზე დროულად გამოცხადებას, განსაკუთრებით ამხანაგური თამაშების დროს, ზოგიერთი სპეციალურად იღებდა გაფრთხილებას, რომ მომდევნო თამაშისათვის არ გამოეძახებინათ, ზოგიც ავადმყოფობას იმიზეზებდა, ზოგიერთი უცხოური კლუბების ინტერესებს ეროვნულზე წინ აყენებდა და ა.შ. ვაჟა ზაზაევიჩისა არ იყოს „ზოგი საქეიფოდ იყო და ზოგიც უქეიფოდ“.



ქართული ფეხბურთი კარსაც ასცდა და გზასაც

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ნაკრები გუნდის მწვრთნელები ხშირად თვალს ხუჭავდნენ ფეხბურთელთა ასეთ საქციელზე, უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როცა ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთელთან და მის საკლუბო მწვრთნელთან შეთანხმებით ჩადიოდა ამ უმსგავსობას.

ახლა ფაქტების დეტალიზაციაზე არ ვილაპარაკებ, არც მე ვარ მზად და არც საზოგადოება, რომ გამომზეურდეს რა მოხდა, ვთქვათ, 1994 წელს მალტის ნაკრებთან სატესტო თამაშის წინ რამდენიმე საათით ადრე; ან მოლდოვასთან პირველი ოფიციალური თამაშის დროს; ან პოლონეთთან გასვლითი თამაშის შემდეგ; ან საბერძნეთთან ოლიმპიურ სტადიონზე...

ასე რომ, ნაკრებ თუ საკლუბო გუნდებში ყოველთვის დგას პრობლემა თუ როგორ მიიღებს კოლექტივი მწვრთნელს და მოაქცევს თუ არა მწვრთნელი თავის ჭკუაზე მოთამაშეებს, განსაკუთრებით ამბიციურებსა და ავტორიტეტებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ თემურ ქეცბაია არათუ ამ პრობლემებს გაუმკლავდება, არამედ მეტსაც გააკეთებს მთლიანად ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. თემურს საქართველოში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ინგლისში მოღვაწეობისას დიდი გამოცდილება დაუგროვდა, ცნობილ მწვრთნელებთანაც უმუშავია. ამასთანავე, იგი ამაღლებული ნოტაზე დაბრუნდა სამშობლოში და დიდი სურვილი გვაქვს მან თავისი დღევანდელი მდგომარეობა შემოქმედებითად გამოიყენოს და ისეთივე კვალი დააჩნიოს ქართულ ფეხბურთს, როგორიც შეძლო **მილან მილანიაჩმა** ხორვატიაში, რომელმაც დაარწმუნა ხელისუფლება იმაში, რომ ახალგაზრდა ტალანტი მხოლოდ საფეხბურთო დეტალია და მისი ვარსკვლავად ჩამოყალიბებისათვის, სახელმწიფო დონეზე ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი სამუშაოა ჩასატარებელი. ამ დიდი სპეციალისტის მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად ხორვატიაში მთლიანად შეიცვალა ფეხბურთისადმი დამოკიდებულება, ეს საქმე ღირსების რანგში იქნა აყვანილი და რამდენიმე წელიწადში მშვენიერი შედეგებიც იქნა მიღწეული. დღეს ყველასათვის ცნობილია ხორვატი ფეხბურთელების მაღალი კლასი და ეროვნული ნაკრების წარმატებები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

დიახ, ასეთ წარმატებულ მუშაობას ვუსურვებთ ახალგაზრდა მწვრთნელ თემურ ქეცბაიას.

**დავით კვინიკაძე**

ტრანსფერი

# დავით გიგაური გაგრადან ოლიმპში

რა მოხდა „ოლიმპი“-“სიონის“ შეხვედრაში და რატომ ვერ მოიგეს რუსთაველებმა გუნდთან, რომელიც მათ სატელიტად მოიაზრება? ყველასათვის ცნობილია, რომ ქვემო ქართლის ადმინისტრაცია ორივე გუნდზე ზრუნავს და რომ არა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, **დავით კირკიტაძის** მონდომება, შესაძლოა, „სიონი“ უმაღლეს ლიგაში არც გვეხილა - ბევრი რეგიონია, სადაც გუბერნატორებს ფეხბურთი არაფრად მიაჩნიათ და რა გუნდი, რისი დაფინანსება? პრობლემები მაქსიმალურად აიცილა თავიდან „ოლიმპმაც“.



დავით გიგაური

თუმცა, რეგიონის ორი გუნდის ერთი „ქოლგის“ ქვეშ მოქცევას მითქმა-მოთქმა მოჰყვა. სწორედ ამის გათვალისწინებით, პარასკევს „ოლიმპი“-“სიონის“ შეხვედრის ფრედ დასრულება ერთგავრად, სენსაციური შედეგიც არის.

*„საქართველო ხომ ჭორების ქვეყანაა. ბევრი ისეთი ლაპარაკობს, ვისაც წარმოდგენა არ აქვს, რეალურად რა ხდება ფეხბურთში. დაძაბული თამაში იყო და ვერ მოვიგეთ, რამაც საჩემპიონო ბრძოლა გაგვირთულა. ჩვენი სატელიტი თუ არის, ამ დროს არ გვეთამაშებოდა და სამ ქულას უპრობლემოდ დაგვითმობდა. ასე რომ, ეს ხმები მოგონილია. შეხვედრის შემდეგ ვინერვიულე, მაგრამ ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ორი ქულა დავკარგეთ. კიდევ კარგი, „ზესტაფონმა“ სახლში წააგო. „დინამო“ მაგრად დაგვეხმარა და ჩვენი საქმე გააკეთა“*, - ამბობს „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე.**

პარასკევის ტურის შემდეგ, რუსთავულ გუნდში კიდევ ერთი ახალწვეული გამოჩნდა, რომელმაც გუშინ ლიდერის შემადგენლობაში ივარჯიშა - 23 წლის ცენტრალური მცველი **დავით გიგაური.** ბოლო წელიწად-ნახევარია, დათო „გაგრაში“ ირიცხებოდა და მეორე წრეც ამ გუნდის განაცხადში გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად, კლუბი შეიცვალა.

*„სატრანსფერო ფანჯარა ორშაბათს იხურება და გიგაურის წამოყვანა გადავწყვიტეთ. განათხოვრებით წამოვიყვანეთ - ლაპარაკია სამთვიან არენდაზე. დიდი ხანია მის მიმართ სიმპათია მაქვს, მაგრამ, რატომღაც, „გაგრაში“ ბოლოს საქმე ვერ აეწყო, არადა, ნიჭიერი და სასარგებლო ფეხბურთელია. მინდა, მოვამზადოთ და დავაკვირდები, იმედია, გამოგვადგება. ეს ჩვენი ბოლო ცვლილებაა, მეტი არც არავინ მოსულა, მათ შორის, არც ბრაზილიელები და არც არავინ გაგვიშვია“*, - გვითხრა მახარაძემ.

*„გაგრასთან“ ბევრი თბილი და სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, გუნდის ხელმძღვანელობა ყველაზე რთულ პერიოდში გვერდში დამიდგა, მათგან დავალებული ვარ და სიმართლე გითხრათ, წამოსვლაზე არც ვფიქრობდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე მოხდა. თურქული შეკრებიდან დავბრუნდით და ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპში“ გადასვლის შანსი გამიჩნდა. ჩემთვის ძნელი იყო ამ წინადადებაზე უარის თქმა, კლუბიც დამთანხმდა და მიხარია, ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბში რომ მიმიწვიეს. სხვათა შორის, „ოლიმპში“ აქამდეც რამდენჯერმე მიმიწვიეს, გასულ წელს კლუბთან კონტრაქტიც გავაფორმე, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვერ დავრჩი. იმედია, ახლა ყველაფერი კარგად აეწყობა. თუმცა ჯერ კონტრაქტი არც გამიფორმებია. მთავარია, ხვალ რუსთაველთა განაცხადში შემიყვანონ. ჯერჯერობით ლაპარაკია იჯარაზე, მერე კი რა მოხდება, ამის თქმა მიჭირს“*, - ამბობს გიგაური.

**მერაბ მამულაშვილი**

**პირველი ლიგა**

**1992-93. X ტური**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ჭიათურა | 3:1 |
| კოლხეთი (ხ)-მარტვილი | 1:0 |
| IBSU-მესხეთი | 1:0 |
| კოლხეთი (ფ)-მეშახტე | 5:0 |
| 35-ე სკოლა-ბათუმი | 0:2 |
| ტორპედო 2008-გურია | 1:1 |
| მერცხალი-ჰერეთი | 0:1 |

ნ\დინამოელი ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 15 | 11 | 3 | 1 | 26-5 | 36 |
| 2. ტორპედო 2008 | 15 | 11 | 2 | 2 | 43-9 | 35 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 15 | 10 | 2 | 3 | 36-13 | 32 |
| 4. ჩიხურა | 15 | 9 | 2 | 4 | 24-16 | 29 |
| 5. ნ\დინამოელი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-23 | 28 |
| 6. გურია | 15 | 7 | 3 | 5 | 25-22 | 24 |
| 7. IBSU | 15 | 6 | 3 | 6 | 24-17 | 21 |
| 8. მარტვილი | 15 | 6 | 2 | 7 | 21-23 | 20 |
| 9. მერცხალი | 15 | 5 | 2 | 8 | 18-23 | 17 |
| 10. მეშახტე | 15 | 5 | 1 | 9 | 24-43 | 16 |
| 11. ჰერეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-28 | 15 |
| 12. მესხეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 15-25 | 13 |
| 13. კოლხეთი (ხ) | 15 | 4 | 1 | 10 | 16-32 | 13 |
| 14. ჭიათურა | 15 | 4 | 0 | 11 | 16-39 | 12 |
| 15. 35-ე სკოლა | 15 | 1 | 3 | 11 | 14-32 | 6 |

სატრანსფერო

# ჩელებაძე რჩება, კლიმიაშვილი ჯორჯიას უბრუნდება

**ირაკლი კლიმიაშვილმა** ოდესის „ჩერნომორეცთან“ ერთად ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა, უკრაინული გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ მაინც საქართველოში დაბრუნება მოუხდა. არადა, თითქოს ყველაფერი იმგვარად მიმდინარეობდა, რომ ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს კარიერა „ჩერნომორეცში“ უნდა გაეგრძელებინა. გუნდის მწვრთნელებზეც თავიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე შეკრებაზე აღარ წაიყვანდნენ.

„ჩერნომორეცის“ ოფიციალურ ვებგვერდზე კლუბის ახალწვეულების შესახებ გამოქვეყნდა ინფორმაცია და მათ შორის კლიმიაშვილის გვარს ვერ ვკითხულობთ. არც საიტზე და არც გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ანდრეი ბალის** კომენტარებში კლიმიაშვილისა და მისი საქართველოში დაბრუნების მიზეზების ხსენება არ არის.



ირაკლი კლიმიაშვილი

კლიმიაშვილი ოდესიდან თბილისში დღეს ჩამოვა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდება, საქართველო-ესტონეთის მატჩის შემდეგ კი „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდება და სეზონს მის შემადგენლობაში ჩაამთავრებს. სავარაუდოდ, იგი ვეტერინარების უკვე ჩემპიონატის შემდეგი ტურიდან დაეხმარება. ხვალ კი „ვიტ ჯორჯია“ „სამტრედიასთან“ გამოტოვებულ მატჩს კლიმიაშვილის გარეშე ჩაატარებს.ბუნებრივია, დავინტერესდით, რატომ ვერ მოხერხდა ამ ტრანსფერის განხორციელება. ამ კითხვაზე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ზუსტად, ალბათ, თვითონ კლიმიაშვილი გვიპასუხებს. ერთ-ერთი ვერსიით კი გარიგება იმიტომ ჩაიშალა, რომ „ჩერნომორეცმა“ „ვიტ ჯორჯიასა“ და ფეხბურთელს პირი უტეხა და თავიდან აღებულ ფინანსური ვალდებულების შესრულებაზე უარი თქვა...

სხვათა შორის, კლიმიაშვილისგან განსხვავებით, „ჩერნომორეცმა“ კონტრაქტი გაუფორმა სინჯებზე მყოფ მეორე ქართველს – 18 წლის თავდამსხმელ **გიორგი ჩელებაძეს**, რომელიც უახლოეს მომავალში ალბათ დუბლშემადგენლობაში ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები

# მერებაშვილი იწყებს და იგებს

## ქართული გოლები უნგრეთსა და შვეიცარიაში

ამ უქმეებზე ქართული ლეგიონის კოჰორტას კიდევ რამდენიმე წევრი შეემატა, მათგან ყველაზე ხმაურიანი და იმედიანი დებიუტი თბილისის „დინამოს" ყოფილ ლიდერ **გიორგი მერებაშვილს** ჰქონდა. 23 წლის შემტევმა სერბულ სუპერლიგაში გამარჯვებითა და საგოლე პასით შეაბიჯა. ნოვისადელებმა შინ კულას „ჰაიდუკს" უმასპინძლეს და ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით 3:2 მოუგეს. 29-ე წუთზე **ტუმბაშევიჩმა** გიორგის პასით გაიტანა. „ვოივოდინას" ქართველი ლეგიონერი, რომელიც 17 ნომრით ასპარეზობს, მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს. 23 წლის ქართველის „ვოივოდინა" 27 ქულით მე-3 ადგილზეა, თუმცა დაწინაურებულ სერბულ გრანდებს („ცრვენა ზვეზდა" (43), „პარტიზანი (40) ბევრით ჩამორჩება. სერბულმა „ნოვოსტიმ" გიორგის 7 ბალი დაუწერა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა გუნდში.

ვფიქრობთ, **ზურაბ ხიზანიშვილის** ახალმა გუნდმა „რედინგმა" თითქმის გადაჭრა ჩემპიონშიპში დარჩენის საკითხი, შაბათს „როიალსმა" 5:0 გაანადგურა ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „შეფილდ უენსდეი", ქართველმა მცველმა კი ამ მატჩში შეუცვლელად ითამაშა. „რედინგი" 38 ქულით მე-18 ადგილზეა. ზურა ამ თამაშში კაპიტან **ინგიმარსონს** დაცვის ცენტრში შეუწყვილდა.

საფრანგეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩი გადაიდო, ქართველთა „ლე მანმა" რეგიონში ქარიშხალის გამო ვერ უმასპინძლა ჩემპიონ „ბორდოს". სერია ა-ს ტურის წინ **კახა კალაძეს** „მილანის" ხელმძღვანელობასთან უსიამოვნო კონფლიქტი ჰქონდა, რომელიც მალევე მოგვარდა, თუმცა **ლეონარდომ** ისევ არ შეიყვანა ქართველი მცველი მატჩის განაცხადში და „მილანმაც" მის გარეშე დაამარცხა „ატალანტა" - 3:1. მოკლედ, კაპიტანი სათამაშო პრაქტიკის მწვავე დეფიციტით მოდის ეროვნულ ნაკრებში.

ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „ჰერტამ" შინ ძალზე მნიშვნელოვან მატჩში განიცადა მარცხი „ჰოფენჰაიმთან" - 0:2. **ლევან კობიაშვილმა** მარცხენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა. „შპორტალმა" ლევანს 3,5 ბალი დაუწერა, რაც გუნდში საუკეთესო შეფასებაა: *„კობიაშვილი ლამის ერთადერთი იყო გუნდში, რომელსაც ცხვირი არ ჩამოუშვია, ბოლომდე იბრძოლა და არც ორთაბრძოლებს გაერიდა"*, - წერს „შპორტალი". „ჰერტა" 15 ქულით ბოლო ადგილზეა. რურის დერბი „შალკესა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შორის (2:1) გამოტოვა ტრავმირებულმა **ლევან ყენიამ.** „შალკე" 48 ქულით მე-3 ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში კვლავ წააგო **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ", რომელიც შინ 1:3 დამარცხა „კაიზერსლაუტერნთან". ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. ზოგადად იაშვილი საუკეთესოა ხოლმე გუნდში, მაგრამ ამჯერად პირიქით იყო - ქართველს „შპორტალმა" უარესი შეფასება დაუწერა მატჩში - 5. „კარლსრუე" 27 ქულით მე-13 ადგილზეა და თუ ასე გააგრძელა, უთოდ გავარდნის საფრთხის წინაშე დადგება სეზონის დაწყებამდე ფავორიტად მიჩნეული გუნდი. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი" სტუმრად „პადერბორნთან" 1:3 დამარცხდა, ტრავმირებულ ქართველს არ უთამაშია. „ლომები" 32 ქულით მე-10 ადგილზე არიან.

საბერძნეთის სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" ათენში აეკ-ს ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა და ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. „ერგოტელისი" 29 ქულით მე-9 ადგილზეა.

**ილია კანდელაკს** არ უთამაშია ლასკ-თან გასვლით მატჩში, რომელიც ქართველის „შტურმმა" 2:1 მოიგო. „შტურმი" 39 ქულით მე-4 ადგილზეა.

ებრაულ ლიგატ ჰაალში წუხელ 1:0 მოიგო ჰაიფას „მაქაბიმ", ლიდერმა და ჩემპიონმა „აშდოდი" ბოლოსწინა წუთზე გატანილი გოლის წყალობით ძლივს დაამარცხა, არადა სტუმრები პირველივე ტაიმში ათნი დარჩნენ მოედანზე. **ლადო დვალიშვილმა** თავი ვერ გამოიჩინა, გოლი კი სწორედ მის ნაცვლად შესულმა ფეხბურთელმა გაიტანა. გუშინვე ანალოგიური ანგარიშით მოიგო **ზურაბ ხიზანიშვილის** „ჰაპოელმა" (თელ ავივი), რომელმაც შინ „ბნეი სახნინი" დაამწუხრა - 1:0. „მაქაბი" 64 ქულით ლიდერობს, ხოლო „ჰაპოელი" 55 ქულით მეორე ადგილზეა. ჯერჯერობით ვერ ხვდება ჰაიფას „ჰაპოელის" ძირითადში **ლევან ხმალაძე**, ქართველმა ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე გაატარა მთელი მატჩი, მისი გუნდი კი აკოს „ჰაპოელს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. **დავით დილმელაშვილის** „რაანანა" კი შინ 0:3 დამარცხდა „ბნეი იეჰუდასთან". დავით დილმელაშვილი განაცხადშიც არ ყოფილა მისი გუნდი 17 ქულით ბოლო ადგილზეა.

შვეიცარიულ ჩელენჯლიგაში **გიორგი ივანიშვილის** „ვოლენმა" სტუმრად 3:1 მოუგო „ნიონეს". მატჩში ანგარიში მე-13 წუთზე ქართველმა ფორვარდმა გახსნა. ჩვენებური 56-ე წუთზე შეცვალეს. „ვოლენი" 18 ქულით მეცამეტეა ჩელენჯლიგაში. ივანიშვილს სეზონში 3 გოლი აქვს გატანილი.

ზამთრის დიდი შესვენების შემდეგ ჩემპიონატი უკრაინულ ვიშალიგაშიც განახლდა. **სანდრო კობახიძის** „კრივბასი" ლიდერს, კიევის „დინამოს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. კობახიძემ თავდასხმაში ითამაშა, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა. „კარპატიმ" შინ 2:1 მოუგო ერთ-ერთ ლიდერ „მეტალისტს". მასპინძელთა რიგებში 77-ე წუთზე გამოჩნდა **ალექსანდრე გურული.** ზაპოროჟიეში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის ლეგიონერად „კურთხევა" შედგა. „მეტალურგმა" 2:0 მოუგო „ილიჩევეცს", რომლის რიგებშიც 62-ე წუთზე „გაგრას" ყოფილი ლიდერი **გიორგი გაბედავა** გამოჩნდა. მეტად უიღბლოდ დაიწყო სეზონის მეორე ნახევარი „ტავრიას" ფორვარდ **ვასილ გიგიაძესთვის**, ის ოდესაში „ჩერნომორეცთან" მატჩის მე-8 წუთზე შეცვალეს, რადგან მისი თანაგუნდელი გააძევეს. „დნიპროსა" და „ზარიას" მატჩში (2:2) **უჩა ლობჟანიძე** სათადარიგოთა სკამზე ვიხილეთ, **ჯაბა კანკავა** კი, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში „კლადნომ" სტუმრად 1:0 სძლია „მლადა ბოლესლავს", მაგრამ ქართველ ფორვარდ **დიმიტრი ტატანაშვილს** არ უთამაშია. „კლადნო" 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. განახლდა უნგრული შოპრონილიგაც. „დიორი ეტომ" სტუმრად 3:0 იმარჯვა „უიპეშტზე", მატჩის ბოლო წუთზე გოლი **რატი ალექსიძემ** გაიტანა. რატიმ მაღალი შეფასება - 7 ბალი მიიღო. **ლაშა თოთაძე** მოედანზე 88-ე წუთზე გამოჩნდა. „ეტო" 29 ქულით მესამე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ანანიძე მორიგ შეკრებაზე

მოსკოვის „სპარტაკი" დასკვნით თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. „სახალხო გუნდს" მოგვიანებით შეუერთდება **ჯანო ანანიძე**, რომელიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 3 მარტს ესტონელთა წინააღმდეგ ითამაშებს.

## თეთრაძემ, იძულებული გავხდით...

მახაჩყალის „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** „სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში კლუბის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და გასული სეზონიც გაიხსენა. მან განაცხადა, რომ გასულ სეზონში ქართველმა ფეხბურთელებმა გუნდს დიდი დახმარება გაუწიეს, მაგრამ იძულებული გახდა, **ოთარ მარცვალაძეზე, ედიკ საჯაიაზე, გიორგი ნავალოვსკისა** და **სანდრო იაშვილზე** უარი ეთქვა. თეთრაძეს აღარ დაუკონკრეტებია, რატომ იყო ეს ნაბიჯი იძულებითი.

ბოლო საკონტროლო მატჩი „ანჟიმ" უზბეკური „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ჩაატარა და 3:0 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა ოთხმა ქართველმა მიიღო. **ნუკრი რევიშვილი** ძირითად შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს, **ზურაბ არზიანმა** სრულად ითამაშა, **გიორგი ილურიძემ** კი მე-60 წუთზე **გოჩა ხოჯავა** შეცვალა.

## გვაზავას 90 წუთი

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა გროზნოს „ტერეკმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ალმათის „ქაირათთან" ჩაატარა და 1:0 გაიმარჯვა. „ტერეკის" შემადგენლობაში **ლევან გვაზავამ** შეუცვლელად ითამაშა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

## დებიუტის მოლოდინში

**გიორგი ადამია** უკვე ჯანმრთელადაა და თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, აზერბაიჯანის ჩემპიონატის შემდეგ ტურში თამაშიც შეეძლება. აგდამის „ყარაბახის" ქართველი ახალწვეული ზამთრის შეკრებაზე დაშავდა და ახალი კლუბის შემადგენლობაში დებიუტი ჯერ არ ჰქონია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### საფრანგეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ლორიანი-სოშო | 1:0 |
| ლიონი-ნიცა | 2:0 |
| მონაკო-ბულონი | 1:0 |
| ნანსი-გრენობლი | 0:2 |
| ტულუზა-ლანსი | 1:0 |
| ვალანსი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| მონპელიე-რენი | 3:1 |
| ლილი-ოსერი | 1:2 |
| პსჟ-მარსელი | 0:3 |
| ლე მანი-ბორდო | გადაიდო |

**II დივიზიონი**

XXVI ტური

ტური-აიაჩო 1:3; ვანი-არლი 0:0; ისტრი-შატორუ 2:0; ანჟერსი-კლერმონი 2:1; ბასტია-გინგამი 0:0; დიჟონი-ლავალი 0:0; ნიმი-ნანტი 2:1; ბრესტი-სედანი 1:3; კაენი-სტრასბური 0:0; მეცი-ჰავრი დღეს.

### ჰოლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-როდა | 1:2 |
| ჰერენვეენი-ჰერაკლესი | 1:2 |
| ვიტესი-ალკმაარი | 0:3 |
| ვილემი-ვენლო | 2:1 |
| აიაქსი-უტრეხტი | 4:0 |
| გრონინგენი-ფეიენოორდი | 2:3 |
| ტვენტე-ნაიმეგენი | 2:1 |
| ეინდჰოვენი-ვაალვეიკი | 5:1 |
| სპარტა-ბრედა | 2:2 |

**II დივიზიონი**

XXIX ტური

გრააფსხაპი-ექსელსიორი 3:1; ემენი-კამბური 2:4; ომნივორლდი-ეინდჰოვენი II 3:1; ტოპ ოსი-ფორტუნა 1:1; ცვოლე-დენ ბოში 1:1; ჰელმონდი-ვოლენდამი 5:2; მაასტრიხტი-იგლზი 0:0; როსენდაალი-ვეენდამი 2:2; ტელსტარი-აპელდოორნი 1:2.

### ბელგია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-გენტი | 1:1 |
| სერკლი-გენკი | 1:0 |
| მეხელენი-კორტრეიკი | 1:1 |
| ლოკერენი-ვესტერლო | 1:0 |
| სტ. ტრუიდენი-ბრიუგე | 1:1 |
| შარლერუა-ვარეგემი | 0:0 |
| რუზელარე-ანდერლეხტი | 1:2 |

**II დივიზიონი**

XXVIII ტური

ბეევერენი-ლიერსი 0:0; ლომელი-ანტვერპენი 1:1; რონსე-ბერგენი 0:1; ტურნე-პეევერლე 3:1; ტუბეკე-ეუპენი 1:2; ტურნჰაუტი-დენდერი 0:0; ლიეჟი-ბრიუსელი 2:0; ბორინაჟი-ოსტენდე გადაიდო; ტინენი-სტანდარდი (ვ) 0:0.

### პორტუგალია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ლეირია-გიმარაეში | 0:1 |
| ნავალი-მარიტიმუ | 2:1 |
| ბრაგა-ოლჰანენსე | 3:1 |
| ლეიქსოეში-ბენფიკა | 0:4 |
| აკადემიკა-რიუ ავე | 0:1 |
| ფერეირა-სეტუბალი | 5:3 |
| სპორტინგი-პორტუ | 3:0 |
| ნასიონალი-ბელენენსეში | დღეს |

**II დივიზიონი**

XXI ტური

ბეირა მარი-ეშტორილი გადაიდო; ჟილ ვისენტე-ავეში 0:2; შავეში-ოლივეირენსე 0:0; ფრეამუნდე-პორტიმონენსე 0:3; პენაფიელი-ფეირენსე 1:1; კარეგადო-ფატიმა 1:1; სანტა კლარა-ვარზიმი 2:1; ტროფენსე-კოვილია 2:2.

### შოტლანდია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰართსი | 0:1 |
| დანდი იუნ-ფალკირკი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| მოზერველი-კილმარნოკი | 1:0 |
| სტ. მირენი-ჰემილტონი | 0:0 |
| რეინჯერსი-სელტიკი | 1:0 |

**I დივიზიონი**

XXVI ტური

ეირდრი-ქუინი გადაიდო; მორტონი-დანფერმლაინი 1:2; ინვერნესი-ეირი 3:3; პარტიკი-როსი 2:1; რეითი-დანდი გადაიდო.

**II დივიზიონი**

XXVII ტური

ალოა-პიტერჰედი 2:1; არბროა-დ-ბარტონი 3:1; ბრეჩინი-კოუდენბითი გადაიდო; კლაიდი-სტირლინგი გადაიდო; სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი 1:1.

**III დივიზიონი**

XXVII ტური

ალბიონი-ბირუიკი გადაიდო; ანენიისტ სტირლინგი 1:0; ელჯინი-ქუინზ პარკი გადაიდო; ფორფარი-სტრანრარი გადაიდო; ლივინგსტონი-მონროუზი გადაიდო.

### კვიპროსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| აპა-ერმისი | 3:1 |
| დოქსა-ენოსისი | 2:2 |
| აპეპ-აპოლონი | 0:4 |
| ანორთოსისი-აპოელ | 0:0 |
| ომონია-არისი | 2:1 |
| ეთნიკოსი-ალკი | გადაიდო |
| აელ-ნეა სალამისი | დღეს |

### ავსტრია

XXII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ავსტრია (ვ) | 1:1 |
| ლინცერი-შტურმი | 1:2 |
| რიდი-ვინერი | 0:1 |
| ავსტრია (კ)-კაპფენბერგი | 0:1 |
| რაპიდი-ზალცბურგი | 0:1 |

### საბერძნეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-ირაკლისი | 0:4 |
| აეკ-ერგოტელისი | 1:0 |
| ქსანთი-პაოკ | 0:3 |
| პანთრაკიკოსი-კავალა | 1:3 |
| არისი-ლარისა | 2:0 |
| ლევადია-იანინა | 4:1 |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 2:0 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 0:2 |

**II დივიზიონი**

XXIII ტური

დოხა-კალამატა 3:1; ანაგენისი-ილიუპოლი 1:0; ილისიაკოსი-პანაიტოლიკოსი 0:1; ეთნიკოსი (პ)-ოფი 3:0; კერკირა-ეთნიკოსი (ა) 1:0; პანსერაიკოსი-აგროტიკოსი 1:0; იონიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) 2:3; როდოსი-დიაგორასი ; ტრასივულოსი-პიერიკოსი დღეს.

### შვეიცარია

XXII ტური

| | |
|---|---|
| იანგ ბოიზი-ციურიხი | 2:1 |
| არაუ-ლუცერნი | 1:2 |
| ბელინცონა-ბაზელი | 0:2 |
| ქსამაქსი-სტ. გალენი | 0:3 |
| გრასჰოპერსი-სიონი | გადაიდო |

**ჩელენჯლიგა**

XVIII ტური

ლე მონი-ბილი 1:0; ლოკარნო-სერვეტი 3:0; შაფჰაუზენი-ლოზანა 1:0; ვილი-ივერდონი 1:2; ვინტერტური-ვადუცი 4:3; გოსაუ-ლუგანო 0:1; სტად ნიონე-ვოლენი 1:3; კრინსი-თუნი დღეს.

### თურქეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ანტალია-ტრაბზონი | 1:1 |
| ბურსა-სივასი | 3:0 |
| კაისერი-ბეშიქთაში | 1:2 |
| დენიზლი-ანკარა | 3:0 |
| გაზიანთეპი-ესკიშეჰირი | 1:1 |
| გენჩლერი-ანკარაგიუჯუ | 0:1 |
| მანისა-დიარბაქირი | 2:1 |
| ბუიუქშეჰირი-ფენერბახჩე | 2:1 |
| გალათასარაი-ქასიმფაშა | 4:1 |

**II დივიზიონი**

XXIV ტური

ქოჯაელი-ალთაი 2:3; ბოლუ-სამსუნი 0:2; ჰაჩეთეფე-გირეშუნი 1:1; ქარაბუქი-ქონია 4:1; ქარსიაქა-დარდანელი 2:1; მერსინი-ერჩიესი 0:0; ორდუ-ქართალი 0:0; რიზე-ბბ გაზიანთეფი 1:2; ადანა-ბუკა დღეს.

### უელსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ქერსოუსი-სეფნი | 1:0 |
| კარმართენი-ერბასი | 0:1 |
| ჰევერფორდვესტი-ნიუთაუნი | 1:2 |
| უელშპული-ქონაესი | გადაიდო |

### ბოსნია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ლაკტაში | 1:0 |
| მოდრიცა-ოლიმპიკი | 0:1 |
| რუდარი-ლეოტარი | 0:0 |
| სლობოდა-სარაევო | 3:1 |
| ტრავნიკი-ველეჟი | 2:1 |
| ჟელეზნიჩარი-ცელიკი | 4:1 |
| სლავია-შიროკი ბრიეგი | 3:2 |
| ზრინსკი-ზვიეზდა | 0:1 |

### ბულგარეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ლიტექსი-ლოკომოტივი (მ) | 3:0 |
| ბოტევი-ლევსკი | 0:3 |
| მინიორი-პირინი | 0:1 |
| სლავია-სპორტისტი | 1:0 |
| სლივენი-მონტანა | 1:0 |
| ცსკა-ლოკომოტივი (პ) | 3:2 |
| ლოკომოტივი (ს)-ბეროე | 2:0 |
| ჩერნო მორე-ჩერნომორეცი | დღეს |

### ხორვატია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ვარტექსი | 2:0 |
| ზაგრები-რიეკა | 1:1 |
| სიბალია-ინკერი | 2:0 |
| დინამო-კროაცია | 6:0 |
| შიბენიკი-ზადარი | 1:1 |
| კარლოვაცი-ოსიეკი | 1:0 |
| ისტრა-მედიმურიე | 1:2 |
| ჰაიდუკი-სლავენი | 5:0 |

### ჩეხეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბრნო-ლიბერეცი | 1:0 |
| სპარტა-პრშიბრამი | 1:1 |
| ბოჰემიანსი-სლავია | 0:1 |
| ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 0:0 |
| იაბლონეცი-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| ბოლესლავი-კლადნო | 0:1 |
| სიგმა-სლოვაცკო | 1:0 |
| პლზენი-ბანიკი | დღეს |

### უნგრეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| დებრეცენი-დიოშდიორი | 3:1 |
| კაპოშვარი-ჰონვედი | 1:0 |
| მტკ-ლომბარდი | 0:0 |
| ფეჰერვარი-კეჩკემეტი | 2:0 |
| ფერენცვაროში-პალადაში | 2:1 |
| უიპეშტი-დიორი | 0:3 |
| ვაშაში-ნირედიაზა | 2:3 |
| პაქსი-ზალაეგერსეგი | გადაიდო |

### ისრაელი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (თ-ა) | 2:1 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (ჰ) | 2:2 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ა-ნ) | 2:2 |
| ჰაპოელი (რ)-ბნეი იეჰუდა | 0:3 |
| ბეითარი-მაკაბი (ნ) | 3:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი სახნინი | 1:0 |
| მაკაბი (ჰ)-აშდოდი | 1:0 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (ფ-თ) | დღეს |

### მოლდოვა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| სფინტული-ზიმბრუ | 0:1 |
| ოლიმპია-შერიფი | 1:0 |

### პოლონეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ოდრა-ლეჩია | 0:0 |
| კრაკოვია-ლეგია | 1:2 |
| კორონა-იაგელონია | 1:0 |
| ბელხატოვი-ვისლა | 1:0 |
| პოლონია (ბ)-შლიონსკი | 0:0 |
| არკა-რუხი | 0:3 |
| ზაგლებე-პიასტი | 1:1 |
| პოლონია (ვ)-ლეხი | 0:3 |

### რუმინეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| უნირეა (ა)-გლორია | 1:2 |
| ჩახლაული-ოცელული | 0:1 |
| ტიმიშოარა-პოლიტეხნიკა | 2:1 |
| უნივერსიტატეა-გაზ მეთანი | 1:2 |
| ვასლუი-პანდური | 2:1 |
| ინტერნაციონალი-დინამო | 1:3 |
| ასტრა-ბრაშოვი | 2:1 |
| რაპიდი-უნირეა (უ) | 1:1 |
| კლუჟი-სტიაუა | 1:1 |

### სერბეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-პარტიზანი | 0:3 |
| მეტალაკი-ნაპრედაკი | 1:0 |
| მლადი-ბორკა | 2:0 |
| იავორი-ჩუკარიჩკი | 2:2 |
| სარტიდი-რადი | 2:1 |
| ვოივოდინა-ჰაიდუკი | 3:2 |
| ცრვენა ზვეზდა-იაგოდინა | 1:0 |
| ოფკ-სპარტაკი | 0:1 |

### სლოვაკეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე-პეტრჟალკა | 1:0 |
| ნიტრა-ბისტრიცა | 0:0 |
| სლოვანი-დ. სტრედა | 2:0 |
| ტრნავა-ტატრანი | 2:0 |
| ინტერი-რუჟომბეროკი | 2:1 |
| ჟილინა-დუბნიცა | 4:0 |

### სლოვენია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| დრავა-ინტერბლოკი | 3:1 |
| დომჟალე-მარიბორი | 2:3 |
| პუბლიკუმი-გორიცა | 1:4 |
| კოპერი-რუდარი | 2:1 |
| ოლიმპია-ნაფტა | 0:0 |

### უკრაინა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ზაკარპატია-მეტალურგი (დ) | 0:1 |
| დინამო-კრივბასი | 1:0 |
| კარპატი-მეტალისტი | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-ილიჩივეცი | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ტავრია | 2:0 |
| ობოლონი-არსენალი | 0:0 |
| შახტარი-ვოსკლა | 1:0 |
| დნიპრო-ზორია | 2:2 |

### არგენტინა

**კლაუსურა**

VI ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ჩაკარიტა | 0:3 |
| ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 1:1 |
| ურაკანი-ველესი | 3:2 |
| ინდეპენდიენტე-რასინგი | 1:0 |
| კოლონი-როსარიო | 1:1 |
| ლანუსი-ატლეტიკო | 3:0 |
| სან ლორენსო-ტიგრე | 1:0 |
| არგ. ხუნიორსი-გოდოი | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ბანფილდი | გვ. დასრულდა |
| ხიმნასია (ლ-პ)-რივერი | გვ. დასრულდა |

### ჩრ. ირლანდია

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| გლენავონი-პორტადაუნი | 0:1 |
| დუნგანონი-გლენტორანი | 2:0 |
| ბალიმენა-ნიური | 0:0 |

# ცუდი კაცი, კარგი ფეხბურთელი


ჯონ ტერისა და უეინ ბრიჯის პირველი შეხვედრა სკანდალის შემდეგ

საინტერესო ტური იყო: ყველაზე დიდი ინტერესით „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსისა" და „მანჩესტერ სიტის" დაპირისპირებას ელოდნენ და არა იმიტომ, რომ ერთმანეთს პრემიერლიგის ორი ძლიერი გუნდი ეთამაშებოდა, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ჩელსელი **ჯონ ტერისა** და ისტლენდელი **უეინ ბრიჯის** პირველი შეხვედრა მას მერე, რაც გახმაურდა, რომ პირველს მეორის ცოლთან რომანი ჰქონდა. მეტიც, ბევრი თამაშზე მეტად მის დაწყებამდე ხელის ჩამორთმევის პროტოკოლურ ცერემონიალს ელოდა - აინტერესებდათ, რა მოხდებოდა, როდესაც ჩამოვლისას ტერი ბრიჯს გაუსწორდებოდა. მოხდენით კი მეტად ჩვეულებრივი რამ მოხდა: ბრიჯმა ტერი უბრალოდ გამოტოვა და ჯერ მის გვერდით მდგომ ბავშვს ჩამოართვა ხელი, შემდეგ კი მეკარე **ილარიოს**. და რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე? „ჩელსის" გულშემატკივარი თავისი კაპიტნის მხარდასაჭერად ძალასა და ღონეს არ იშურებდა - ბრიჯი რომ გამოაცხადეს, დიდი ღრიანცელი ატყდა, ტერი რომ გამოაცხადეს, პირიქით, ოვაციამ გააყრუა ლონდონის სტადიონი, მაგრამ ამ ყველაფერმა მოედანზე დატრიალებულ მოვლენებზე გავლენა ვერ იქონია - ბრიჯმა და დანარჩენმა ისტლენდელებმა პრემიერლიგის ლიდერს 4:2 მოუგეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ლაზათიანი კვანტიც გამოსდეს. „ლურჯების" კარში ორი გოლი **კრეიგ ბელამიმ** გაიტანა და ორიც **კარლოს ტევესმა**. მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ბელამის სთხოვეს კომენტარი. უელსელმა თქვა:

*„კარგად ვიცი, რა კაციცაა ეგ ჯონ ტერი და მისი არანაირი საქციელი არ მიკვირს. მეტიც, საფეხბურთო სამყაროში მაგ ტიპს ყველა კარგად იცნობს, თუმცა მოედანზე ის შესანიშნავია. ვფიქრობ, „ჩელსისთვისაც" დიდი კაპიტანია. მისი და მისი გუნდის წინაალმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია".*

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ორი გოლი ტევესმა გაიტანა. არგენტინელი ხომ ბუენოს აირესიდან ინგლისში რამდენიმე დღის დაბრუნებული გახლდათ - მისმა ცოლმა ნაადრევად იმშობიარა და ახალშობილ გოგონას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა.

„ჩელსის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** პრესკონფერენციაზე თქვა: *„ცუდი დღე გვქონდა. ერთადერთი დადებითი, რაც ამწუთას შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვუსწრებთ „მანჩესტერ იუნაიტედს". ტიტულის მოგების „არსენალზე" მეტი შანსიც გვაქვს - ეს ცხრილიდან ჩანს".*

კიდევ უნდა ითქვას, რომ „ჩელსის" ამ შეხვედრაში ორი კაცი გაუგდეს, **ჟულიანო ბელეტი** და **მიხაელ ბალაკი**. ბელეტის წითელი საჯარომიში **გარეთ ბერის** წაქცევისთვის აჩვენეს, ბალაკისთვის კი 81-ე წუთზე ტევესის წინააღმდეგ უხეშობა მეორე ყვითელი იყო. აღსანიშნავია, რომ ოთხიდან ორი გოლის გაშვებაში თავისი წილი ლონდონელთა პორტუგალიელმა გოლკიპერმა ენრიკე ილარიომაც შეიტანა.

„არსენალმა" სტოკში ბოლოწამს მოიპოვა სამი ქულა - გამარჯვების ორი გოლი 90-ე წუთის შემდეგ გაიტანა, მაგრამ ამ ნამდვილად მნიშვნელოვანი გამარჯვების სიხარული 19 წლის **აარონ რემსის** საშინელმა ტრავმამ გადაფარა - ყმაწვილ ნახევარმცველს **რაიან შოუკროსმა** კოჭი მოსტეხა. ტრავმა იმდენად შემზარავი გამოდგა (ყველას **ედუარდოს** ორი წლის წინანდელი მოტეხილობა გაახსენდა), რომ გაძევებული შოუკროსი მოედნიდან ტირილით გავიდა და სხვა ფეხბურთელებსაც გვარიანად გაუფუჭდათ გუნება. ეს ინციდენტი რომ არა, შესაძლოა, მოედანზე უწინდელი განწყობა შენარჩუნებულიყო, მაგრამ რემსის შემზარავმა ტრავმამ „სტოკი" დათრგუნა, „არსენალს" კი მეტოქის დასჯის სურვილი გაუმძაფრა და სასურველ შედეგამდე მიიყვანა კიდეც. გამარჯვებამ „მეთოფეები" „ჩელსის" სამი ქულით მიაახლოვა, „სტოკს" კი 11 თამაშიანი წაუგებელი სვლა შეუწყდა.

*„ჩემი ბიჭების თამაშით ვამაყობ, მით უფრო, რომ შეხვედრა თავიდანვე რთული იყო. რემსის ტრავმამ კი საშინლად დამზაფრა. ჩვენ ის სასწრაფოდ გავამგზავრეთ ლონდონში, რადგან, შესაძლოა სასწრაფო ოპერაცია დასჭირდეს. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ველარ ითამაშებს რემსი, მაგრამ ასეთ ტრავმას ხანგრძლივი მკურნალობა რომ დასჭირდება, ფაქტია. დაუნდობელი ორთაბრძოლები ძალიან არ მიყვარს. ჩვენ ასეთი უხეშობის გამო უკვე სამი ფეხბურთელი დავკარგეთ და ხანდახან ეჭვი მიჩნდება, რომ ეს შემთხვევითობა არ არის. თავდადება და მონდომება, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ როდესაც ეს დიდ უხეშობაში გადაიზრდება, აღარ ვარგა"*, - თქვა მატჩის შემდეგ ჩრდილოლონდონელთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა**.

რემსის ტრავმაზე თავისი შეხედულება გამოთქვა **სესკ ფაბრეგასმაც**. „მეთოფეთა" უდიდესმა ვარსკვლავმა განაცხადა: *„ხუთ წელიწადში უკვე მესამედ ვხედავ ასეთ საშინელ ტრავმას და სამივე ჩემს თანაგუნდელს დაემართა, აბუ დიაბის, ედუარდოს და ახლა აარონს. რა შეიძლება ამაზე ვთქვა? ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისად დაცულები არ ვართ. ხანდახან მსხვერპლად ვეწირებით. სწორედ გამიგეთ, არ ვწუწუნებ, ფეხბურთი ასეთი სახეობაა".*

„ბირმინგემმა" „უიგანს" ფრიად საეჭვო პენალტის წყალობით მოუგო - ყოფილი ბირმინგემელი **მარიო მელხიოტი** პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში **კეით ფეჰეის** არ შეხებია. თერთმეტმეტრიანი **ჯეიმს მაკფადენმა** დაარტყა. ეს შედეგი იმას ნიშნავს, რომ „უიგანს" უკვე შვიდი თამაშია არ მოუგია, „ბირმინგემი" კი მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში ყველა გავარდნის კანდიდატად მოიხსენიებდა, 40 ქულით შესანიშნავ პოზიციაზეა. სხვათა შორის, უიგანელებს ტყუილი პენალტის გამო მაინცდამაინც არ უწუწუნიათ, რადგან **ალექს მაკლიშის** გუნდს ისედაც მრავალი საგოლე მომენტი ჰქონდა.

უკვე 9 თამაშია, რაც „ბოლტონს" **ოუენ კოილი** უდგას სათავეში და ამ დროში გუნდმა მხოლოდ მეორე შეხვედრა მოიგო. ამასთან, თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლებს „ვულვზთან" გამარჯვება არ ეკუთვნოდათ.

გაკოტრებულმა და ადმინისტრატორების ხელში ჩავარდნილმა „პორტსმუთმა" ბიზნესი და ფეხბურთი ერთმანეთში არ არია და ბარნლიში გაიმარჯვა. ეს სტუმრად ამ გუნდის მეორე გამარჯვებაა ბოლო 16 თვის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ **ჯეიმი ოჰარამ** პენალტი ვერ შეაგდო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

**6 მარტი.** არსენალი-ბარნლი, ვესტ ჰემი-ბოლტონი, ვულვზი-მანჩესტერ იუნაიტედი. **7 მარტი.** ევერტონი-ჰალი. **8 მარტი.** უიგანი-ლივერპული.
*სხვა მატჩები გადაიდო.*

## ქარლინგის თასი. ფინალი

**ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ 1:2**

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი (80. კარეუ), დანი, კოლინზი, უორნოკი, იანგი, დაუნინგი, პეტროვი, მილნერი, აგბონლაორი, ჰესკი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კუშჩაკი, რაფაელი (66. გ. ნევილი), ევანსი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, ფლეტჩერი, ქერიკი, პარკი (85. გიბსონი), ბერბატოვი, ოუენი (42. რუნი).

**გოლები:** 1:0 მილნერი (5-პენ), 1:1 ოუენი (12), 1:2 რუნი (74)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-5 **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 10-18 (3-9); **ბურთის ფლობა:** 50%-501%.

**მაყურებელი:** 88 596

## რა თქმა უნდა, რუნი!

გუშინ ინგლისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა: „უემბლიზე", ლიგის, იმავე „ქარლინგის" თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ასტონ ვილას" 2:1 მოუგო. ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ინგლისის ჩემპიონს მკაფიოდ გამოხატული ლიდერი ჰყავს - **უეინ რუნი**. რუნი **ალექს ფერგიუსონმა** სასტარტო შემადგენლობაში არ ჩართო და მეტიც, როგორც მიმომხილველები წერენ, მოედანზე მხოლოდ იმიტომ შეუშვა, რომ **მაიკლ ოუენმა** ფეხი იტკინა. ცნობისთვის: ოუენმა ბირმინგემელი **ჯეიმს მილნერის** მიერ პენალტით გახსნილი ანგარიში გაათანაბრა. და, როგორც ამ ბოლო დროს ხდება, მოედანზე შესულმა რუნიმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა - სურათი მართლაც ტიპური გახლდათ, მანჩესტერელთა ბომბარდირმა **ანტონიო ვალენსიას** ჩაწოდებულ ბურთს თავურით კარში მიუჩინა ადგილი. ეს გახლდათ მისი ზედიზედ მეხუთე თავური გოლი, რომლის გატანის შემდეგაც რუნის მიმდინარე სეზონის ყველა შეჯიბრებაში ერთად 28 გოლი აქვს გატანილი.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ბირმინგემის გუნდმა ანგარიში პენალტით გახსნა. ამ ეპიზოდზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვილას" ფეხბურთელები **გაბრიელ აგბონლაორის** წინააღმდეგ წესის დამრღვევი **ნემანია ვიდიჩის** მოედნიდან გაძევებას ითხოვდნენ და გრძნობა, რომ უსამართლოდ მოექცნენ სულ რაღაც 7 წუთში გაუმწვავდათ, როდესაც, როგორც ასევე მოგახსენეთ, ოუენმა ანგარიში გაათანაბრა.

*„იმ ეპიზოდში უკეთაც შემეძლო თამაში, მაგრამ აგბონლაორმა არ მომცა საშუალება, - თქვა მატჩის შემდეგ ვიდიჩმა, - გასაგდები? ვფიქრობ, არ ვიყავი, რადგან მე მას უკნიდან არ ვეუხეშე, მასზე წინ ვიყავი. უკნიდან რომ დავეხმოდი თავს, ულაპარაკოდ გასაგდები ვიქნებოდი".*

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მეორე ტაიმში, რუნის გოლამდე ცოტა ხნით ადრე **ჟი-სუნ პარკმა** ძელს გაარტყა ბურთი. კიდევ ერთი თავურით ძელს თავად რუნიმაც გაარტყა.

## ჩელსი-მანჩესტ. სიტი 2:4

**ჩელსი:** ილარიო, ივანოვიჩი, კარვალიუ (69. კალუ), ტერი, მალუდა, ბალაკი, მიკელი (60. ბელეტი), ლემპარდი, ჯ. კოული (61. სტარიჯი), ანელკა, დროგბა.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, ბრიჯი (78. სანტა კრუსი), ბელამი, საბალეტა, დე იონგი, ბერი, ჯონსონი (60. რაიტ-ფილიპსი), ტევესი (90. სილვინიო).

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (42), 1:1 ტევესი (45), 1:2 ბელამი (51), 1:3 ტევესი (76-პენ), 1:4 ბელამი (87), 2:4 ლემპარდი (90-პენ)

**გაძევება:** ბელეტი (75. ჩელსი), ბალაკი (81. ჩელსი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-2 **ჯარიმა:** 22-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 27-9 (12-6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 41 814

## ბირმინგემი-უიგანი 1:0

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი (84. გარდნერი), ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ფერგიუსონი, მაკფადენი (64. ფილიპსი), ბოიერი, ლარსონი, ფეჰეი, ჯერომი (90. მიჩელი).

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, ტომასი, შარნერი (46. მოზესი), დიამე, ნზოგბია (46. სკოტლენდი), მაკარტი (85. გომესი), როდალეგა.

**გოლი:** 1:0 მაკფადენი (45-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-12 (4-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 921

## ბოლტონი-ვულვზი 1:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, ნაითი, რიკეტსი, რობინსონი, მუამბა, ლი (90. უეისი), უილშერი (82. ტეილორი), ჰოლდენი, კ. დევისი, ელმანდერი (65. კლასნიჩი).

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, უორდი, ჯერვისი, გუედიოურა (68. ებანკს-ბლეიკი), ჰენრი, ჯონსი, ფოული (73. კიო), დოილი.

**გოლი:** 1:0 ნაითი (45)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-11; **ჯარიმა:** 11-6; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-7 (7-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 21 261

## ბარნლი-პორტსმუთი 1:2

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კორტი, ფოქსი, ელიოტი (63. იგლზი), ბიკეი (63. კორკი), მაკდონალდი, ბლეიკი (80. ტომპსონი), ფლეტჩერი, პეტერსონი

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ფინანი, როჩა, ჰრეიდერსონი, ბელჰაჯი, უებერი (90. დიოპი), უილსონი, იებდა, ქუინსი (39. უტაკა), ოჰარა (90. ბრაუნი), პიკვიონი

**გოლები:** 0:1 პიკვიონი (25), 1:1 პეტერსონი (31), 1:2 იებდა (71)

**გაძევება:** როჩა (90. პორტსმუთი)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 15-15 (5-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 19 714

## სტოკი-არსენალი 1:3

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი, შოუკროსი, ფაიე (60. კოლინზი), ჰუთი, დილეპი, უილანი, უაითჰედი (78. ლოურენსი), პაფი, ფულერი (80. თუნჯაი), სიდიბე.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კემპბელი, ვერმაელენი, კლიში, სონგი, ფაბრეგასი, რემსი (71. როსიცკი), ებუ (75. უოლკოტი), ნასრი (84. ედუარდო), ბენდტნერი.

**გოლები:** 1:0 პაფი (8), 1:1 ბენდტნერი (32), 1:2 ფაბრეგასი (90-პენ), 1:3 ვერმაელენი (90)

**გაძევება:** შოუკროსი (66. სტოკი)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 8-19 (2-6); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 27 011

## ტოტენჰემი-ევერტონი 2:1

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი, ბეილი, კრანჩარი, ჰადლსტოუნი (53. ქაბული), პალასიოსი, მოდრიჩი, პავლიჩენკო (82. კრაუჩი), დეფო (71. გუდიონსენი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჰეიტინგა, დისტინი, ბეინესი, ოსმანი (46. ჯეგიელკა), როდუელი (81. ვუგანი), არტეტა, ენიჩებე (63. დონოვანი), პიენაარი, იაკუბუ.

**გოლები:** 1:0 პავლიჩენკო (11), 2:0 მოდრიჩი (28), 2:1 იაკუბუ (55)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 7-9 **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-15 (8-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 35 912

## ლივერპული-ბლექბერნი 2:1

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, აგერი, აურელიო (39. ინსუა), მასკერანო, მაქსი როდრიგესი, ჯერარდი, ლუკასი, ბენაიუნი (81. ბაბელი), კუიტი, ტორესი (90. ნგოგი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, სამბა, ჟივე, ოლსონი (51. შიმბონდა), დიუფი, ნზონზი (60. გრელა), ენდრიუსი, პედერსენი, ჰოილეტი (65. რობერტსი), კალინიჩი.

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (20), 1:1 ენდრიუსი (40-პენ), 2:1 ტორესი (44)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 4-5 **ჯარიმა:** 11-25; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-14 (3-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 42 795

## სანდერლენდი-ფულჰემი 0:0

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი, მენსა (84. მაკარტნი), ფერდინანდი, კემპბელი, კანა, კეტერმოლი (55. ზენდენი), რიჩარდსონი, ჯონსი (80. მვარუვარი), ბენტი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ბეირდი, ჰიუზი, ჰანგელანდი, შორი, დაფი, მერფი (58. გრინინგი), ეტუჰუ, დევისი, გერა, ზამორა (84. ელმი).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 2-2 **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12-4 (4-0); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 40 192

**ჰალი-ასტონ ვილა** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 28 | 19 | 4 | 5 | 65-26 | 61 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 28 | 19 | 3 | 6 | 66-24 | 60 |
| 3. არსენალი | 28 | 18 | 4 | 6 | 66-31 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 28 | 14 | 7 | 7 | 50-27 | 49 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 27 | 13 | 10 | 4 | 52-35 | 49 |
| 6. ლივერპული | 28 | 14 | 6 | 8 | 45-28 | 48 |
| 7. ასტონ ვილა | 26 | 12 | 9 | 5 | 37-21 | 45 |
| 8. ბირმინგემი | 27 | 11 | 7 | 9 | 26-28 | 40 |
| 9. ფულჰემი | 28 | 10 | 8 | 10 | 32-29 | 38 |
| 10. ევერტონი | 27 | 10 | 8 | 9 | 39-39 | 38 |
| 11. სტოკი | 27 | 8 | 10 | 9 | 27-32 | 34 |
| 12. ბლექბერნი | 28 | 9 | 7 | 12 | 30-45 | 34 |
| 13. ვესტ ჰემი | 27 | 6 | 9 | 12 | 35-43 | 27 |
| 14. სანდერლენდი | 27 | 6 | 9 | 12 | 32-44 | 27 |
| 15. ბოლტონი | 27 | 6 | 8 | 13 | 30-49 | 26 |
| 16. უიგანი | 27 | 6 | 7 | 14 | 26-53 | 25 |
| 17. ვულვზი | 27 | 6 | 6 | 15 | 21-45 | 24 |
| 18. ჰალი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-54 | 24 |
| 19. ბარნლი | 27 | 6 | 5 | 16 | 28-57 | 23 |
| 20. პორტსმუთი | 27 | 5 | 4 | 18 | 23-45 | 19 |

**ბომბარდირები:** 23 - რუნი (მანჩესტერ იუნ)ს; 19 - დროგბა (ჩელსი); 16 - დეფო (ტოტენჰემი); 15 - ბენტი (სანდერლენდი), ტევესი (მანჩესტერ სიტი); 13 - ტორესი (ლივერპული), ფაბრეგასი (არსენალი), საა (ევერტონი); 12 - ლემპარდი (ჩელსი); 11 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა).

## ინგლისი. ჩემპიონშიპი

### XXXIV ტური

**ბარნსლი-ბლექპული 1:0**
გოლი: 1:0 ჰიუმი (75)

**ქოვენთრი-სკანთორპი 2:1**
გოლები: 1:0 სტიდი (55), 2:0 კლინგენი (68), 2:1 მაკენი (83)

**დონკასტერი-კრ. პალასი 1:1**
გოლები: 1:0 კოპინგერი (37), 1:1 ჯოლალი (67)

**იფსვიჩი-ბრისტოლი 0:0**

**ლესტერი-ნოტინგემი 3:0**
გოლები: 1:0 ბერნერი (68), 2:0 გალაჰერი (79), 3:0 კინგი (81)

**მიდლსბრი-ქუინზ პარკი 2:0**
გოლები: 1:0 რობსონი (39-პენ), 2:0 რობსონი (45-პენ)

**პრესტონი-კარდიფი 3:0**
გოლები: 1:0 პარკინი (30-პენ), 2:0 პარკინი (54), 3:0 ბრაუნი (86)

**რედინგი-შეფილდ უენსდი 5:0**
გოლები: 1:0 კიბე (42), 2:0 რაისიაკი (45), 3:0 ჩერჩი (52), 4:0 რაისიაკი (65), 5:0 კიბე (71)

**შეფილდ იუნ-პლიმუთი 4:3**
გოლები: 1:0 კამარა (7), 2:0 უორდი (35), 3:0 უორდი (47), 3:1 ბოლესიე (48), 3:2 მეისონი (56), 4:2 კრისუელი (80), 4:3 მეკი (85)

**სუონსი-პიტერბორო 1:0**
გოლი: 1:0 კოტერიი (19-პენ)

**უოტფორდი-ნიუკასლი 1:2**
გოლები: 0:1 კოლოჩინი (4), 0:2 კეროლი (50), 1:2 ჰოსკინსი (90)

**ვესტ ბრომვიჩი-დერბი 3:1**
გოლები: 0:1 პორტერი (49), 1:1 ბრანტი (67), 2:1 ბრანტი (77), 3:1 კოქსი (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 33 | 20 | 9 | 4 | 58-23 | 69 |
| 2. ვესტ ბრომ. | 33 | 18 | 9 | 6 | 66-35 | 63 |
| 3. ნოტინგემი | 34 | 17 | 10 | 7 | 48-27 | 61 |
| 4. სუონსი | 33 | 14 | 14 | 5 | 30-22 | 56 |
| 5. ლესტერი | 33 | 14 | 12 | 7 | 42-31 | 54 |
| 6. კარდიფი | 32 | 14 | 7 | 11 | 56-41 | 49 |
| 7. შეფილდ იუნ. | 33 | 13 | 9 | 11 | 48-46 | 48 |
| 8. ბლექპული | 34 | 12 | 11 | 11 | 50-41 | 47 |
| 9. მიდლსბრო | 34 | 13 | 8 | 13 | 45-37 | 47 |
| 10. ქოვენთრი | 34 | 12 | 10 | 12 | 39-46 | 46 |
| 11. ბარნსლი | 33 | 13 | 6 | 14 | 43-48 | 45 |
| 12. ბრისტოლი | 33 | 9 | 15 | 9 | 37-44 | 42 |
| 13. პრესტონი | 33 | 11 | 9 | 13 | 40-48 | 42 |
| 14. დონკასტერი | 33 | 10 | 11 | 12 | 39-40 | 41 |
| 15. უოტფორდი | 31 | 10 | 9 | 12 | 44-47 | 39 |
| 16. დერბი | 33 | 11 | 6 | 16 | 39-48 | 39 |
| 17. იფსვიჩი | 33 | 7 | 17 | 9 | 37-45 | 38 |
| 18. რედინგი | 32 | 10 | 8 | 14 | 40-49 | 38 |
| 19. სკანთორპი | 34 | 10 | 8 | 16 | 41-61 | 38 |
| 20. ქუინზ პარკი | 32 | 9 | 10 | 13 | 43-51 | 37 |
| 21. კრ. პალასი | 32 | 11 | 11 | 10 | 35-36 | 34 |
| 22. შეფილდ უენ. | 33 | 9 | 7 | 17 | 36-55 | 34 |
| 23. პლიმუთი | 32 | 8 | 5 | 19 | 32-47 | 29 |
| 24. პიტერბორო | 33 | 5 | 9 | 19 | 36-56 | 24 |

**ბომბარდირები:** 16 - უიტინგემი (კარდიფი); 14 - ჩოპრა (კარდიფი); 12 - ემბროუზი (კრ. პალასი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ადამი (ბლექპული), ჰუპერი (სკანთორპი), შარპი (დონკასტერი); 11 - ერნშოუ (ნოტინგემ ფორესტი), ფრიატი (ლესტერი), ნოლანი (ნიუკასლი), სიმპსონი (ქუინზ პარკი).

## პირველი ლიგა. XXXIV ტური

საუთენდი-ჩარლტონი 1:2, ჰადერსფილდი-ლიდსი 2:2, ბრაიტონი-ექსეტერი 2:0, ბრისტოლი-კოლჩესტერი 3:2, კერლისლი-ჯილინგემი 2:0, ლეიტონი-სვინდონი 0:0, მილუოლი-ჰარტლპული 1:0, ოლდჰემი-ნორვიჩი 0:1, საუთჰემპტონი-უოლსოლი 5:1, სტოკპორტი-უაიკომბი 4:3, იეოვილი-მილტონი 1:0, ბრანეტფორდი-ტრანმერი გადაიდო.

## მეორე ლიგა. XXXIV ტური

ბარნეტი-ბარი 0:0, ბრედფორდი-დარლინგტონი 1:0, ბარტონი-როტერჰემი 0:1, ჩესტერფილდი-ელდერშოტი 0:1, დაგენჰემი-გრიმსბი 2:0, ლინკოლნი-ქრუ 1:1, მაკლსფილდი-როჩდეილი 0:1, მორკეიმბი-პორტ ვეილი 1:0, ნორთემპტონი-ჩელტენჰემი 2:1, ნოთს ქაუნთი-ჰერეფორდი 5:0, შრუსბერი-ბურნმუთი 1:0, თორკი-ეკრინგტონი 2:1.

## კონფერენსი. XXXVI ტური

რაშდენი-კეტერინგი 0:0, ელტრინჩემი-გრეისი 1:1, ქროული-ლუტონი 2:1, ებსფლიტი-ბეროუ 1:4, ჰეისი-მენსფილდი 1:1, კიდერმინსტერი-ჰისტონი 3:0, სელისბერი-ვრექსჰემი 1:1, იორკი-ისტბერნი 0:1.
*სხვა მატჩები გადაიდო*

# მძლავრი შტორმი სახელად რეალი

## ლეომ ბარსა პირველზე დატოვა

ეს უკვე ნამდვილი კაკაა



„ჩვენ წინააღმდეგ იდგა დიდებული მოკრივე, რომელსაც საშინელი დარტყმა აქვს“, - ეს „ტენერიფეს“ თავკაცის **ხოსე ლუის ოლტრას** სიტყვებია მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა საკუთარ ტყავზე იწვნია „დიდებული მოკრივის“, „რეალის“ რეალური ძალა - 1:5. „ძალიან მაგრად ვიბრძოლეთ. მიუხედავად შეცდომებისა. ყველა მარცხი მტკივნეულია, განსაკუთრებით ასეთი დიდი ანგარიშით როცა აგებ, თუმცა ანგარიში არ შეესაბამება თამაშის მიმდინარეობას. 1:3-ზე ნებისმიერი გუნდი დანებდებოდა, ჩვენ კი ბოლომდე ვიბრძოლეთ“, - დასძინა ოლტრამ, რომლის მოსაზრებათა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია. ამ მოგებით „რეალი“ ორიოდ საათით ჩაუდგა სათავეში პრიმერას. რომ არა **ლეო მესი**, „სამეფო კლუბის“ ლიდერობა გაცილებით მეტ ხანსაც გაგრძელდებოდა.

**„ლა ტორმენტა პერფექტა“** - ასე ორი სიტყვით შეაფასა „მარკამ“ „რეალის“ თამაში კანარის კუნძულებზე, „რეალს“ მართლაც დამაჯერებელი სანახაობა გამოუვიდა, ტყუილად არ აჩვენეს ეს მატჩი ცოცხლად ესპანეთის დედაქალაქის 19 კინოთეატრში. არგენტინელმა **გონსალო იგუაინმა** სეზონში მე-5 დუბლი შეასრულა, დიდებულად ითამაშა **კაკას და კრიშტიანო რონალდოს** დუეტმა, ხოლო „რეალის“ კაპიტანმა **რაულმა** ოთხთვიანი პაუზის შემდეგ გოლი გაიტანა.

ანგარიში სტარტიდან ნახევარი საათის თავზე გაიხსნა, **მარსელოს** პასით მეკარე **არაგონესესი** იგუაინმა დაამწუხრა. ამის მერე კუნძულელებმა ორჯერ ძალზე სახიფათოდ შეუტიეს, **სერხიო რამოსს ალფარომ** დაასწრო და ერთი შეხებით დაურტყა **კასილიასს**, გოლისგან გუნდი იკერმა იმავე რამოსის დახმარებით იხსნა. მეორე ეპიზოდში კი **რაულ ალბიოლს** რომ არ ეყოჩაღა, ფორვარდი **ნინო** ანგარიშს გაათანაბრებდა. 41-ე წუთზე იგუაინმა ძალზე მნიშვნელოვანი გოლი შეაგდო, **ჩაბი ალონსომ** საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში **გარაი** მოძებნა, რომელმაც თანამემამულეს დუბლი შეასრულებინა - 0:2. როგორც ხედავთ, იგუაინს ორჯერვე მცველმა მისცა საგოლე პასი.

„ტენერიფემ“ მეორე ტაიმიც ყოჩაღად დაიწყო და პირველივე წუთზე შეძლო ერთი გოლის გაქვითვა, თუმცა გოლი ძალზე საეჭვო იყო და, ჩვენი აზრით, არ უნდა ჩათვლილიყო - ნინომ მარჯვენიდან ჩააწოდა, კასილიასმა ბურთი ხელში მოიგდო, მაგრამ მასთან საჰაერო დუელში **აიოსემ** გაიტანა - 1:2. მადრიდელთა პროტესტმა რომ არ გაჭრა, სტუმარმა ფეხბურთელებმა გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს და ორ წუთში გაიტანეს, ამჯერად იგუაინმა დიდებული პასით კაკას გაატანინა - 1:3.

65-ე წუთზე იგუაინი ძალიან ახლოს იყო ჰეთ-თრიკის შესრულებასთან, მან ერთი შეხებით დაამუშავა ბურთი, შემდეგ კი არაგონესესს თავზე გადაუგდო, ბურთი ხარიხამ აისხლიტა. გოლი რომ გასულიყო, ის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. „რეალმა“ კიდევ ორჯერ გაიტანა, ჯერ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** აქტიურობას **ლუნას** „ხელბურთი“ მოჰყვა და კრიშტიანო რონალდომ პენალტი გაიტანა, შემდეგ შეცვლაზე შესულმა რაულმა თავის სტილში გაიტანა ჰოლანდიელის პასით - 1:5.

დაბოლოს, არ შედგა ძმები **ალონსოების** დუელი შუახაზში, **მიკელი** მაშინ გამოვიდა მოედანზე, როცა **მანუელ პელეგრინიმ ჩაბი** სკამზე დასვა, ეს კი მატჩის მიწურულს მოხდა.

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„ეს ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი „რეალი“, მომატება კიდევ შეგვიძლია, არის ამის რესურსი. კერძოდ, ბურთის კონტროლი უნდა გავაძლიეროთ, რაც, საბედნიეროდ, სულ მალე მოხდება, ისეთი ტემპით ვუმატებთ. მოვიგეთ იმიტომ, რომ მთელი თამაში ვიშრომეთ“.*

კანარის კუნძულებიდან კატალონიაში გადავინაცვლოთ, სადაც კინაღამ დიდი სენსაცია მოხდა. **პეპ გვარდიოლა** „მალაგასთან“ დაზავებას მესის საგოლე ალღომ გადაარჩინა, რომელმაც მატჩის 83-ე წუთზე 1:1-ზე გაიტანა 3 ქულის მომტანი გოლი. **დანი ალვეშმა** მეკარის ბაქანზე მყოფ მესის გადააწოდა და არგენტინელმაც ასეთი იოლი შანსი ხელიდან არ გაუშვა. არ დაგვავიწყდეს გოლის მთავარი შემოქმედი - ჩავი, რომლის გამჭოლმა პასმა „მალაგას“ დაცვა უფუნქციოდ დატოვა - 2:1. ცხადი იყო, რომ „მალაგა“ მეორედ ვეღარ გაათანაბრებდა და „კამპ ნოუმაც“ შვებით ამოისუნთქა.

თამაშის პირველი ტაიმი „ბარსას“ აბსოლუტური უპირატესობით წარიმართა, თუ არ ჩავთვლით **დუდას** საჯარიმო დარტყმას, „მალაგას“ შეტევაში სახეირო არაფერი გაუკეთებია. მესი თავბრუს ახვევდა მცველებს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კი მომენტს მომენტზე აფუჭებდა, **მუნუამ ინიესტას** დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

„მალაგამ“ 68-ე წუთამდე გაძლო, აქ კი საქმეში **პედრო** ჩაერია, მისი შორეული დარტყმა აუღებელი გამოდგა - 1:0. თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ ანდალუსიურმა კლუბმა ფხა გამოიღო და მე-80 წუთზე **ვალდომ** კონტრშეტევაზე გაათანაბრა. ამის შემდეგ, სამი წუთის განმავლობაში პეპ გვარდიოლასა და მთელ „კამპ ნოუს“ ათასი უსიამოვნო ფიქრი მოუვიდათ თავში, თუმცა მესიმ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. გოლის შემდეგ ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც შეაგდო, მაგრამ წესების დარღვევით. „ბარსელონას“ ბურთის ფლობის უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - 73%.

**პეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ჩვენ არ შეგვიცვლია თამაშის სისტემა, იყო მხოლოდ მცირე ცვლილებები. მართალია, ეს ანგარიშში არ ასახულა, მაგრამ ძალიან კარგად ვითამაშეთ, უკეთ, ვიდრე „რასინგთან“ 4:0 მოგებულ თამაშში. მესის გოლი კი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მინდა აღვნიშნო დანი ალვეშის უნიკალურობა, საოცარი ადამიანია, სულ თამაში უნდა, ვერ ვუხსნი, რომ ადამიანის სხეულს თავისი ლიმიტი აქვს. მისი მონდომება კი გადამდებია“.*

**ხუან რამონ ლოპეს მუნისი** (მალაგა): *„ვიცოდით, რომ „ბარსა“ ბურთის კონტროლს არ დაგვანებებდა. ჩვენ შევძელით მათთვის ცხოვრების გართულება, თუმცა 90 წუთი ძალზე ბევრია „ბარსას“ დარ გუნდთან საბრძოლველად. როცა კი შანსი მოგვეცემოდა, ვუტევდით, ფეხბურთელების მონდომების გამო ამაყი ვარ“.*

მადრიდში, ქარიან ამინდში „სარაგოსამ“ მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა „ხეტაფეს“ წინააღმდეგ - 2:0. სტუმართაგან დუბლი პირველ ტაიმშივე შეასრულა ჩილელმა ფორვარდმა **უმბერტო სუასომ**. „ელ ჩუპეტემ“ გოლები სამშობლოში დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა. მე-3 წუთზე მან „ხეტაფეს“ მცველთა გაუგონარი შეცდომით ისარგებლა. მე-19 წუთზე ჩილელმა უკვე თავურით გაიტანა. „სარაგოსას“ რიგებში დებიუტი „მშრალად“ აღნიშნა მადრიდის „ატლეტიკოდან“ იჯარით გადასულმა გოლკიპერმა **რიკარდომ**.

სანამ გუშინდელ მატჩებზეც ვიტყოდეთ, „ესპანიოლის“ გასაჭირზე მოგითხრობთ - ფიფა სულ რამდენიმე დღეს აძლევს კატალონიურ კლუბს, რომ ძველი დავალიანება (ნახევარი მილიონი **ალბერტ რიერას** ტრანსფერის გამო) გაუსტუმროს „ბორდოს“, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ესპანეთის სამეფო ფედერაციას დაავალდებულებს, „ესპანიოლს“ 6 ქულა ჩამოაკლოს.

გუშინ „ვილიარეალმა“ 1:0 დაამარცხა გალისიური „დეპორტივო“. **ნილმარის** პასით ახლო მანძილიდან **ხოსება ლორენტემ** გაიტანა. „მალიორკამ“ იშვიათი მოგება ჩაიწერა მეტოქის მოედანზე - ბალეარულმა კლუბმა აუტსაიდერი „ვალიადოლიდი“ **ხულიო ალვარესის** წყალობით (გოლი და საგოლე პასი) 2:1 დაამარცხა.

„სპორტინგისა“ და „ოსასუნას“ ხიხონური თრილერი მასპინძელმა 3:2 მოიგო. გამარჯვების გოლი **დავიდ ბარალმა** შეცვლაზე შესული **კიკე მატეოს** პასით გაიტანა. „სევილიამ“ შინ 0:0 ითამაშა „ბილბაოსთან“. **რომარიკის** გაძევების გამო, მასპინძლებმა თითქმის ერთი ტაიმი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს.

დრამატულად განვითარდა მოვლენები „ვისენტე კალდერონზე“. პირველ ტაიმში მსაჯმა აშკარა პენალტი არ დანიშნა „ვალენსიას“ კარში, საპასუხო კონტრშეტევა კი **დავიდ სილვას** გოლით დასრულდა და სტუმარი 1:0 დაწინაურდა. მაგრამ მალე **კარლოს მარჩენამ** საჯარიმოში ხელით ითამაშა და **დიეგო ფორლანს** პენალტის ნიშნულიდან გაატანინა, თავად კი ნაადრევად მიაშურა გასახდელს. 77-ე წუთზე **სერხიო აგუერომ** მესამე თუ მეოთხე ცდაზე შეძლო საგოლე მომენტის გამოყენება. „ვალენსიამ“ კი მიგელის გაძევების შემდეგ 9 კაცით დაასრულა თამაში, შემდეგ ფორლანმა დუბლი შეასრულა, ბოლო წერტილი კი შეცვლაზე შესულმა **ხურადომ** დასვა - 4:1.

### მომდევნო ტური

6 მარტი. დეპორტივო-ტენერიფე, რეალი-სევილია, ალმერია-ბარსელონა. 7 მარტი. მალაგა-ხერესი, ესპანიოლი-ვილიარეალი, ბილბაო-ვალიადოლიდი, მალიორკა-სპორტინგი, ოსასუნა-ხეტაფე, სარაგოსა-ატლეტიკო. 8 მარტი. ვალენსია-რასინგი.

### ესპანეთის ნაკრები

## დელ ბოსკესით ცნობილია

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. 3 მარტს პარიზში დელ ბოსკე 11-ეულს ამათგან შეარჩევს:

მეკარეები - **იკერ კასილიასი** (რეალი), **პეპე რეინა** (ლივერპული), **დიეგო ლოპესი** (ვილიარეალი).

მცველები - **სერხიო რამოსი** (რეალი), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა), **კარლეს პუიოლი** (ბარსელონა), **კარლოს მარჩენა** (ვალენსია), **რაულ ალბიოლი** (რეალი), **ხოან კაპდევილია** (ვილიარეალი), **ალვარო არბელოა** (რეალი).

ნახევარმცველები - **მარკოს სენა** (ვილიარეალი), **ჩაბი ალონსო** (რეალი), **სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა), **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა), **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ხესუს ნავასი** (სევილია).

თავდამსხმელები - **ხუან მატა** (ვალენსია), **დავიდ სილვა** (ვალენსია), **ფერნანდო ტორესი** (ლივერპული), **დავიდ გუისა** (ფენერბაჰჩე), **ალვარო ნეგრედო** (სევილია), **დავიდ ვილია** (ვალენსია).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### ხეტაფე-სარაგოსა 0:2

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - კორტესი (46. რიოსი), დიასი, რაფა, მ. ტორესი - ბოატენგი, კასკერო - პ. ლეონი (47. ალბინი), პარეხო (62. მიკუ), მანუ - სოლდადო.

**სარაგოსა (3-2-3-1):** რობერტო - პულიდო (73. დიოგო), იაროშიკი, კონტინი, პონსიო - გაბი, ედმილსონი - ელიზეუ (56. ლაფიტა), ანდერი (68. ხ. ლოპესი), არისმენდი - სუასო.

**გოლები:** 0:1 სუასო (3), 0:2 სუასო (19)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 14-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (5-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 9 000

### ტენერიფე-რეალი 1:5

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, მანოლო (60. ომარი), ლუნა, სისილია - რიჩი (67. დინეი), რიკარდო - ხუანლუ (82. მ. ალონსო), ალფარო, აიოსე - ნინო.

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, გარაი, მარსელო - ლ. დიარა (82. მ. დიარა), კაკა, გრანერო (74. ვან დერ ვაარტი) - იგუაინი (77. რაული), რონალდო.

**გოლები:** 0:1 იგუაინი (29), 0:2 იგუაინი (41), 1:2 აიოსე (46), 1:3 კაკა (48), 1:4 რონალდო (79-პენ), 1:5 რაული (91)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-7; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 14-14 (5-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 37 000

### ბარსელონა-მალაგა 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო (85. კრკიჩი).

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გასპარი, სტეპანოვი (16. ედუ რამოსი), ველიგტონი, მ. ტორესი (46. ვალდო) - ხუანიტო, ტორიბიო - ფერნანდო, ბა (71. ფორესტიერი), დუდა - ობინა.

**გოლები:** 1:0 პედრო (68), 1:1 ვალდო (80), 2:1 მესი (83)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 13-3; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 20-5 (8-2); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 64 837

### ვილიარეალი-დეპორტივო 1:0

**ვილიარეალი (4-4-1-1):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გოდინი, გონსალო, კაპდევილია - იბაგასა (78. ესკუდერო), სენა, ბრუნო, ფუსტერი (89. პირესი) - ხ. ლორენტე (71. რუბენი) - ნილმარი.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, პისკუ, ლაურე - როდრიგესი, ტომასი - პ. ალვარესი (56. პერესი), დომინგესი, გუარდადო (71. ბოდიპო) - ადრიანი (84. ანიონი).

**გოლი:** 1:0 ლორენტე (35)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 19-8 (6-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 15 000

### ვალიადოლიდი-მალიორკა 1:2

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - ლოპესი, ბარახა, არსო, დელ ორნო - ბორხა, მედუნჯანინი (70. ალემანი) - კეკო, ბუენო, სესმა (46. ლაზარო) - მანუჩო (46. კოსტა).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, რუბენი, ნუნიესი, აიოსე - ვარელა (78. ვებო), სუარესი, ბ. კალერო, კასტრო (92. ჩინა) - ვიქტორი (65. ალვარესი), ადურისი.

**გოლები:** 1:0 ბუენო (49), 1:1 რუბენი (69), 1:2 ალვარესი (83)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 10-13 (4-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 16 573

### რასინგი-ალმერია 0:2

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო (69. კოლტორტი) - პინილიოსი, ენრიკე, ორიოლი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი (58. არანა) - მუნიტისი, კანალესი, სერანო (47. სისკო) - ტჩიტე.

**ალმერია (4-2-3-1):** ალვეში - მასედო, პელერანო, ჩიკო, გილერმე - მბამი, ბერნარდელო - პიატი (84. ვარგასი), სორიანო, კრუსატი (87. ხ. ორტისი) - გოიტომი (20. უჩე).

**გოლები:** 0:1 სორიანო (29), 0:2 კრუსატი (67)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 22-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 12-5 (0-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 17 500

### სპორტინგი-ოსასუნა 3:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია - რივერა, ლოლა (51. მატაბუენა) - მორანი (59. ბარალი), დე ლას კუევასი, კასტრო - ბილიჩი (69. კიკე მატეო).

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო (84. მასუდი), ფლანიო, მონრეალი - ხუანფრანი (74. კალეხა), ვადოში, ნეკუნამი, კამუნიასი - პანდიანი, არანდა.

**გოლები:** 1:0 დე ლას კუევასი (17), 1:1 ნეკუნამი (38-პენ), 1:2 ვადოში (49), 2:2 ბარალი (70), 3:2 კასტრო (80-პენ)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15-11 (6-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 23 000

### ხერესი-ესპანიოლი 1:1

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - მენდოსა, ხიოდა, აიტამი, კასადო - მორენო, სანჩესი - კალვო (46. ორელანა), აბელი (66. ალუსტისა), მომო (46. ანტონიტო) - ბერმეხო.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ფორლინი, რუისი, დ. გარსია - მოისესი, ხ. მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ (57. ალონსო), კალეხონი (67. მარკესი) - ოსვალდო.

**გოლები:** 0:1 ოსვალდო (18), 1:1 ბერმეხო (76)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 11-19 (5-1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 13 000

### სევილია-ბილბაო 0:0

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, ფასიო, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო - რენატო (86. როდრი), რომარიკი - ხ. ნავასი, აკოსტა (55. ლოლო), პეროტი (59. კაპელი) - კანუტე.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო - იტურასპე (63. ლოპესი), გურპეგი, ხ. მარტინესი, გაბილონდო (87. პერესი) - დე მარკოსი (74. სუსაეტა), ლორენტე.

**გაძევება:** რომარიკი (52)

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 22-13 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ატლეტიკო-ვალენსია 4:1

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - ვალერა, პერეა, უიფალუში, ა. ლოპესი - რეიესი, ტიაგო, ასუნსაო (86. რ. გარსია), სიმაო (88. სალვიო) - ფორლანი, აგუერო (80. ხურადო).

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, მარჩენა, დეალბერტი, ალექსისი - ბანეგა, ფერნანდეში - ხოაკინი (56. პ. ერნანდესი), სილვა, მატა (78. მადურო) - ვილია (70. დომინგესი).

**გოლები:** 0:1 სილვა (20), 1:1 ფორლანი (29-პენ), 2:1 აგუერო (77), 3:1 ფორლანი (85), 4:1 ხურადო (92).

**გაძევება:** მარჩენა (28), მიგელი (82)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 25-7 (13-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 4 | 1 | 59-14 | 61 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 2 | 3 | 64-18 | 59 |
| 3. ვალენსია | 24 | 13 | 7 | 4 | 42-26 | 46 |
| 4. სევილია | 24 | 13 | 4 | 7 | 36-25 | 43 |
| 5. მალიორკა | 24 | 12 | 4 | 8 | 38-28 | 40 |
| 6. დეპორტივო | 24 | 11 | 5 | 8 | 26-26 | 38 |
| 7. ბილბაო | 24 | 11 | 4 | 9 | 32-30 | 37 |
| 8. ვილიარეალი | 24 | 9 | 5 | 10 | 36-37 | 32 |
| 9. ხეტაფე | 24 | 10 | 2 | 12 | 31-32 | 32 |
| 10. სპორტინგი | 24 | 8 | 7 | 9 | 28-29 | 31 |
| 11. ატლეტიკო | 24 | 8 | 6 | 10 | 37-37 | 30 |
| 12. ოსასუნა | 24 | 8 | 6 | 10 | 24-26 | 30 |
| 13. ალმერია | 24 | 7 | 8 | 9 | 27-33 | 29 |
| 14. მალაგა | 24 | 6 | 9 | 9 | 29-29 | 27 |
| 15. ესპანიოლი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-32 | 27 |
| 16. რასინგი | 24 | 6 | 7 | 11 | 24-37 | 25 |
| 17. სარაგოსა | 24 | 6 | 6 | 12 | 29-47 | 24 |
| 18. ვალიადოლიდი | 24 | 3 | 11 | 10 | 27-42 | 20 |
| 19. ტენერიფე | 24 | 5 | 5 | 14 | 20-49 | 20 |
| 20. ხერესი | 24 | 2 | 6 | 16 | 14-44 | 12 |

**ბომბარდირები:** 17 - მესი (ბარსელონა), ვილია (ვალენსია); 16 - იგუაინი (რეალი); 13 - რონალდო (რეალი); 12 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), სოლდადო (ხეტაფე), ფორლანი (ატლეტიკო); 9 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), ლორენტე (ბილბაო), კასტრო (სპორტინგი), აგუერო (ატლეტიკო)

### სეგუნდა დივიზიონი

### XXVI ტური

**რაიო ვალეკანო-კასტელონი 3:0**

**გოლები:** 1:0 კასტრო (47), 2:0 კოკე (85), 3:0 ერნანდესი (89-საკ. კარში)

**ნუმანსია-ხიმნასტიკი 1:1**

**გოლები:** 1:0 დიმასი (18), 1:1 ნავარო (62)

**სალამანკა-მურსია 0:2**

**გოლები:** 0:1 ერერო (1), 0:2 კაპდევილია (90)

**გაძევება:** ზამორა (85. სალამანკა)

**ლევანტე-ლას პალმასი 1:1**

**გოლები:** 1:0 სუარესი (25), 1:1 სეხუდო (27)

**უესკა-რეალ სოსიედადი 1:1**

**გოლები:** 1:0 მოისესი (59), 1:1 ლაბაკა (80)

**უელვა-კადისი 2:1**

**გოლები:** 0:1 რამისი (33), 1:1 სანჩესი (67), 2:1 ანტონი (90)

**ერკულესი-სელტა 1:0**

**გოლი:** 1:0 ტოტე (74)

**ალბასეტე-ვილიარეალი B 1:1**

**გოლები:** 0:1 მონტერო (28), 1:1 ტარანტინო (90)

**გაძევება:** ინსა (83. ვილიარეალი)

**კარტახენა-ბეტისი 1:2**

**გოლები:** 0:1 პერეირა (6), 0:2 აურელიო (48), 1:2 ტატო (74)

**უნიონი-ხირონა 1:1**

**გოლები:** 0:1 პერაგონი (68), 1:1 რომო (80-პენ)

**კორდობა-ელჩე 2:0**

**გოლები:** 1:0 დიასი (43-პენ), 2:0 ვეგა (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 26 | 14 | 9 | 3 | 41-21 | 51 |
| 2. სოსიედადი | 26 | 13 | 9 | 4 | 37-23 | 48 |
| 3. კარტახენა | 26 | 12 | 8 | 6 | 38-26 | 44 |
| 4. ლევანტე | 26 | 10 | 11 | 5 | 31-24 | 41 |
| 5. ნუმანსია | 26 | 11 | 7 | 8 | 34-30 | 40 |
| 6. ბეტისი | 26 | 10 | 9 | 7 | 34-26 | 39 |
| 7. ვილიარეალი B | 26 | 10 | 8 | 8 | 37-35 | 38 |
| 8. ხიმნასტიკი | 26 | 10 | 6 | 10 | 26-28 | 36 |
| 9. ელჩე | 26 | 9 | 8 | 9 | 35-37 | 35 |
| 10. კორდობა | 26 | 8 | 11 | 7 | 22-26 | 35 |
| 11. ვალეკანო | 26 | 8 | 10 | 8 | 40-34 | 34 |
| 12. უელვა | 26 | 8 | 9 | 9 | 23-24 | 33 |
| 13. უესკა | 26 | 7 | 12 | 7 | 21-21 | 33 |
| 14. სალამანკა | 26 | 7 | 10 | 9 | 29-34 | 31 |
| 15. ლას პალმასი | 26 | 6 | 12 | 8 | 28-30 | 30 |
| 16. ხირონა | 26 | 7 | 9 | 10 | 34-39 | 30 |
| 17. ლევანტე | 26 | 6 | 11 | 9 | 34-40 | 29 |
| 18. სელტა | 26 | 6 | 11 | 9 | 21-26 | 29 |
| 19. მურსია | 26 | 6 | 11 | 9 | 31-32 | 29 |
| 20. კადისი | 26 | 5 | 10 | 11 | 27-41 | 25 |
| 21. უნიონი | 26 | 6 | 7 | 13 | 22-31 | 25 |
| 22. კასტელონი | 26 | 4 | 8 | 14 | 24-41 | 20 |

**ბომბარდირები:** 11 - სტუანი (ალბასეტე), რუბენი (ვილიარეალი B), მოლინა (ელჩე), დიასი (კორდობა); 10 - გარსია (ბეტისი), ვერდიუ (კარტახენა); 9 - დე ლუკასი (კარტახენა); კასტრო (რაიო ვალეკანო).

# გოლების წვიმა

გოლოსროდის იყო იტალიაში ასეთი უხვგოლიანი ტური, ველარც ვიხსენებთ. გუნდებმა უჩვეულოდ გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს, რაც შედეგზეც შესაბამისად აისახა.

თავდაპირველად უდინეში გამართულ შეხვედრაზე ვთქვათ, სადაც ადგილობრივმა „უდინეზემ" „ინტერს" უმასპინძლა. ჩემპიონატის ლიდერს რომ მთავარი მწვრთნელი და მთელი რიგი ფეხბურთელები ჰყავს დისკვალიფიცირებული, კარგად მოგეხსენებათ - გამომდინარე აქედან, ბევრი ფრიულურ კლუბს მინიმუმ ქულის ალებას უწინასწარმეტყველებდა.

**მოურინიოს** ყველაზე მეტად დაცვით რგოლში უჭირდა, რადგან დისკვალიფიკაცია სწორედ უკანახაზელებმა მიიღეს. თავად განსაჯეთ, ჟოზემ დაცვის ცენტრში **ლუსიოსთან** ერთად ნომინალური ნახევარმცველი **ტიაგო მოტა** გაამწესა. სათადარიგოთა სკამზე გახლდათ **მარკო მატერაცი**, მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი ტრავმა აწუხებს და სასაურველი იყო, რომ საერთოდ არ ყოფილიყო სამატჩო განაცხადში. ბოლო წუთებში, მარკოს თამაშშიც მოუხდა ჩართვა და როგორც ნამატჩევს ითქვა, ტრავმაც გაიმიზეზა.

თამაში მასპინძელთათვის იდეალურად დაიწყო, უკვე მეორე წუთზე **სიმონე პეპემ** ანგარიში გახსნა და ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები ექსტაზში ჩააგდო. სიმონემ სპრინტერული თვისებები გამოავლინა, **ანტონიო დი ნატალეს** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ **ჟულიო სეზართან** პირისპირ დარჩა და გატანა ალარ გასჭირვებია - 1:0.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ და ანგარიში მალევე გაათანაბრეს. **მარიო ბალოტელიმ** შორი დისტანციიდან მოულოდნელად გაისროლა და **სამირ ჰანდანოვიჩი** უშანსოდ დატოვა - 1:1. პირველ ტაიმში სტუმრებმა კიდევ ორჯერ დაამწუხრეს ფრიულელები და ორივე გოლში **დიეგო მილიტომ** მიიღო მონაწილეობა: ერთხელ ასისტენტის როლში მოგვევლინა, ერთხელაც თვითონ იხეირა. 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არგენტინელმა ფორვარდმა **დუგლას მაიკონის მანევრი შენიშნა და ბრაზილიელს იუველირის სიზუსტის გადაცემა გაუკეთა - რაოდენ გასაკვირიც არ** უნდა იყოს, განაპირა მცველი პირისპირ დარჩა კიპერთან და ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა, 1:2. რაც შეეხება მესამე გოლს, აქ უკვე მარიო ბალოტელი მოგვევლინა ასისტენტის როლში, კარგად ჩაკიდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში, სადაც ყველას მილიტომ დაასწრო და სტუმართა უპირატესობა სოლიდური გახადა - 1:3.

ქებათა ქება მასპინძლებს, რომლებიც არ გატყდნენ და მეორე ნახევარში „ინტერი" და მისი გულშემატკივრები გვარიანად ანერვიულეს. 52-ე წუთზე, „ნერაძურის" საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მოტას ბურთი ხელზე მოხვდა და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა - უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი სისრულეში დი ნატალემ მოიყვანა - 2:3. მასპინძლებმა გააძლიერეს დაწოლა და რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება. ერთ-ერთ ეპიზოდში არბიტრს კიდევ ერთხელ შეეძლო თერთმეტმეტრიანის დანიშვნა, მაგრამ თავი შეიკავა და ამით, „ინტერის" ფეხბურთელთა რისხვა აიცილა თავიდან. ცალკე სალაპარაკო თემაა მოურინიო, რომელიც ტრიბუნებზე იჯდა და პაექრობას ემოციურად ადევნებდა თვალს. მეორე პენალტიც რომ დაენიშნათ „ინტერის" კარში, იოლი წარმოსადგენია რა ამბავს დაატრიალებდა ექსტრავაგანტური პორტუგალიელი. მოკლედ, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, „უდინეზემ" ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო და ლიდერს მილანში სამი ქულა გაატანა.

„ინტერისგან" განსხვავებით, იოლი გამარჯვება მოიპოვა „მილანმა". „როსონერიმ" „სან სიროზე" „ატალანტას" უმასპინძლა და 3:1-ზე დაამარცხა. 90 წუთის განმავლობაში ლომბარდიელთა უპირატესობა კოლოსალური იყო და მაშინაც კი, როდესაც ანგარიში 2:1 გახდა, არავის შეჰპარვია ეჭვი „მილანის" საბოლოო გამარჯვებაში.

კვლავ გამორჩეული იყო **რონალდინიო**, რომელმაც არაერთი ეფექტური და რაც მთავარია, ზუსტი გადაცემით დაგვამახსოვრა თავი. სწორედ მან დაიწყო კომბინაცია, რომელიც პირველი გოლით დასრულდა. 30-ზე წუთზე, ბრაზილიელმა კარგად შენიშნა თუ როგორ ჩაურბინა ფლანგზე **ამბროზინიმ** და ქუსლით უპასა, ამ უკანასკნელმა საჯარიმოში ჩააწოდა და მცირე რეკოშეტის შემდეგ, ბურთი პირდაპირ **პატოს** მიუვიდა - ალეშანდრეს ისლა დარჩენოდა თანაგუნდელები დაეწინაურებინა - 1:0. მეორე გოლშიც რონალდინიოს მიუძღვის ლომის წილი, ერთი გადაცემით ბერგამოელთა დაცვის ხაზი მთლიანად მოჭრა და პატო მეკარეს პირისპირ შეჰყარა - ბრაზილიელმა დამაგვირგვინებელ ფაზაში უზადოდ ითამაშა - 2:0.

მეორე ნახევარში მასპინძლები ოდნავ მოეშვნენ, მეტოქეს თამაშის საშუალება მისცეს და გაშვებული გოლითაც დაისაჯნენ: 56-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ვალდესმა** შესანიშნავი რეიდი განახორციელა და კიდევ უკეთესად დაარტყა - 2:1. მილანელები მალევე მოვიდნენ გონს და სულ მალე ორ ბურთიანი უპირატესობა ალადგინეს. **მარკო ბორიელოს** წინაალმდეგ ბერგამოელებმა თამაშის წესები დაარღვიეს, მატჩის არბიტრმა კი თერთმეტმეტრიანი დანიშნა - რონალდინიოს დარტყმულმა მიზანს არ უწია, სამაგიეროდ ბორიელომ იმარჯვა დამატებაზე და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:1. ბოლოს, „მილანის" ქომაგებს ერთი უსიამოვნო ამბავი უნდა ვუთხრათ, პატომ ერთ-ერთ ეპიზოდში ტრავმა მიიღო და ექიმების დახმარებით დატოვა მოედანი - ჯერჯერობით, უცნობია თუ რა სახის დაზიანება მიიღო ბრაზილიელმა ფეხბურთელმა.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა „სან პაოლოზე", სადაც „ნაპოლიმ" „რომას" უმასპინძლა. ორივე გუნდს ქულები ჰაერივით ესაჭიროება, - რომაელები სკუდეტოსთვის იბრძვიან და ცდილობენ „ინტერთან" ახლო დისტანცია შეინარჩუნონ, ნეაპოლელებს კი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის სურვილი კლავთ. მოკლედ, „სან პაოლოზე" დიდი ბრძოლა გაჩაღდა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

ბარაქალა **ვალტერ მაძარის**, რომელმაც უკვე მერამდენედ გადაარჩინა გუნდი თითქმის გაფორმებულ მარცხს. ან ძალიან ილბლიანია, ანაც შესანიშნავად კითხულობს თამაშს და კარგად იცის, კონკრეტულ მომენტში რომელი ფეხბურთელით გააძლიეროს გუნდი. ალბათ გახსოვთ „ნაპოლი" - „მილანის" დაპირისპირება, სტუმრები 2:0-ს იგებდნენ, როდესაც მოედანზე **ჩიგარინი** შევიდა და შესრულებული დუბლით, „როსონერის" ქულა გამოღლიტა. ამ შემთხვევაში, მშველელის როლი **დენისმა** ითავა, 64-ე წუთზე გამოჩნდა მწვანე მინდორზე და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. თუმცა, სანამ მასპინძელთა გმირობებზე ვიტყვით, იქამდე რომაელთა გოლები გავიხსენოთ. „ჯალოროსი" **ჟულიო ბაპტიშტამ** დააწინაურა, რომელმაც მისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა - 0:1. ეს ყველაფერი 59-ე წუთზე მოხდა, სულ მალე კი **მირკო ვუჩინიჩმა** ანგარიში ორამდე გაზარდა - მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი და დაუფიქრებლად გადაგზავნა მეტოქის კარში, დაბნეულმა **დე სანქტისმა** რეაგირებაც კი ვერ მოასწრო - 0:2.

ნეაპოლელები მარცხს არ შეურიგდნენ და მეტოქის კარს მთელი გუნდით ეკვეთნენ. როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, განსაკუთრებით აქტიური დენისი გახლდათ, რომელმაც ეფექტური დარტყმით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. **არგენტინელმა შემტევმა რინაუდის** გადაცემა შეირგო და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა - 1:2. მეორე გოლი ნეაპოლელებმა მატჩის უკანასკნელ წუთზე, თერთმეტმეტრიანით გაიტანეს - **ფილიპ მექსემ** დაალალატა თანაგუნდელები, საჯარიმო მოედანში ხელით ითამაშა და მასპინძლებს ანგარიშის გაქვითვის საშუალება მისცა. **ჰამშიკმა** უძლიერესად და რაც მთავარია, უზუსტესად დაარტყა - 2:2. საგულისხმოა, რომ მაძარის შეგირდებს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლოთ, დამატებულ წუთებში შტურმი მოუწყვეს რომაელებს, თუმცა სამი ქულის მოსაპოვებლად დრო ალარ ეყოთ.

არ შეიძლება არ ვთქვათ „ბოლონიას" მოულოდნელ გამარჯვებაზე გენუაში. სენსაცია ალბათ ის სიტყვა არაა, რადგან „ჯენოა" არ გახლავთ ევროპული ფეხბურთის გრანდი, მაგრამ ამ პაექრობაში რომ ფავორიტად ითვლებოდა, ეს ცხადზე ცხადია. სტუმართა შორის 33 წლის **ადაილტონი** გამოირჩა, რომელმაც ნამდვილი შოუ დადგა, მეტოქეს სამი გოლი გაუტანა და სტუმართა მცირერიცხოვანი გულშემატკივრები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა - 4:3 ბოლონიელთა სასარგებლოდ.

ბევრი ტრაბახის შემდეგ „იუვენტუსმა" „პალერმოსთან" შინ 0:2 წააგო და მეოთხე პოზიცია სწორედ სიცილიელებს გადაულოცა. ასე რომ, **ალბერტო ძაკერონის** არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ „ქალბატონის" სამზარეულოში უკვე ყველაფერი კარგადაა... სხვათა შორის, „პალერმომ" „იუვეს" შარშანაც მოუგო (2:1) გასვლითი მატჩი, რომელშიც გადამწყვეტი გოლი **ლევან მჭედლიძემ** გაიტანა...

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



პატო და რონალდინიო მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ

### მომდევნო ტური

6 მარტი. ფიორენტინა-იუვენტუსი, რომა-მილანი. 7 მარტი. კალიარი-კატანია, ბოლონია-ნაპოლი, ატალანტა-უდინეზე, სამპდორია-ლაციო, სიენა-პარმა, პალერმო-ლივორნო, ბარი-კიევო, ინტერი-ჯენოა.

### კატანია-ბარი 4:0

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - პ. ალვარესი 6.5, სილვესტრი 6, ტერლიცი 6.5 (81. აუგუსტინი), კაპუანო 6 - იცკო 6.5, ბიაჯანტი 7, რიკიუტი 7 (59. დელვეკიო 6) - მარტინესი 7, მაქსი ლოპესი 6.5 (72. მორიმოტო 7), ლამა 7.5.

**ბარი:** ჟილე 5 - ბელმონტე 6, ა. მაზიელო 6, ბონუჩი 5.5, ს. მაზიელო 6 - ე. ალვარესი 5 (80. სესტუ), გაცი 6 (80. დონატი), ალმირონი 6, კომანი 5.5 (46. ე. რივასი 6) - კასტილიო 5, პ. ბარეტო 5.

**გოლები:** 1:0 რიკიუტი (4), 2:0 ლამა (40), 3:0 მორიმოტო (81), 4:0 მარტინესი (90)

*64-ე წუთზე პ. ბარეტომ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 14-17 (4-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 19 000

### ლაციო-ფიორენტინა 1:1

**ლაციო:** ბერნი 6 - ლიხტშტაინერი 5.5, სტენდარდო 7, სივილია 7.5 (79. ბიავა 5), კოლაროვი 6.5 - ბროკი 6.5 (70. ფირმანი 6), კ. ლედესმა 6.5, მათუსალემი 6 - მაური 5 (59. პიტცლშპერგერი 5.5) - როკი 5.5, ფლოკარი 6.5.

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6.5 - დე სილვესტრი 5.5, ფელიპე 6, კროლდრუპი 6, გობი 5.5 - დონადელი 5.5 (65. კ. ძანეტი 6), ბოლატი 6 (58. ბაბაკარი 6), მონტოლივო 6 - მარკიონი 5.5, იოვეტიჩი 6.5, ლიაჯიჩი 5 (46. კეირისონი 6).

**გოლები:** 1:0 სივილია (7), 1:1 კეირისონი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-18 (4-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

### უდინეზე-ინტერი 2:3

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6 - საპატა 5.5, კოდა 5, ლუკოვიჩი 5 - კუადრადო 7, ინლერი 5.5, სამარკო 5 (80. გეიხო), პასკუალე 6 (64. ასამოა 6) - სანჩესი 6, დი ნატალე 6.5, პეპე 7.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 6.5, ლუსიო 7, ტიაგო მოტა 6, ხ. ძანეტი 6 - მარიგა 6, სტანკოვიჩი 6.5 - სნეიდერი 6 (90. კრპინი) - პანდევი 5.5 (72. ეტო'ო 5), ბალოტელი 7 (82. მატერაცი), მილიტო 6.5.

**გოლები:** 1:0 პეპე (2), 1:1 ბალოტელი (6), 1:2 მაიკონი (21), 1:3 მილიტო (45), 2:3 დი ნატალე (52-პენ)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 18-10 (7-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

### მილანი-ატალანტა 3:1

**მილანი:** აბიატი 6.5 - ბონერა 6.5, ნესტა 6.5, ტიაგო სილვა 6.5, იანკულოვსკი 6 - ბექჰემი 6, პირლო 6, ამბროზინი 6.5 (66. გატუზო 6) - პატო 7.5 (79. აბატე), ბორიელო 6.5 (74. ჰუნტელაარი), რონალდინიო 6.5.

**ატალანტა:** კონსილი 6.5 - დარიჩი 5.5, ბიანკო 5.5, თ. მანფრედინი 5.5, ბელინი 5.5 - პინტუ 6 (41. ჩერავოლო 5), პადოინი 5.5, დე აშენტისი 6 (67. ვოლპი 5.5), ვალდესი 6.5 - კ. დონი 5.5, ტირიბოკი 5.5 (76. ჩევანტონი 6).

**გოლები:** 1:0 პატო (30), 2:0 პატო (41), 2:1 ვალდესი (56), 3:1 ბორიელო (62)

*61-ე წუთზე რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 14-12 (7-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 31 655

### ნაპოლი-რომა 2:2

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 4.5 (66. სუნიგა 6.5), რინაუდო 6 (81. ჩიგარინი), პ. კანავარო 6.5 - მაჯო 6, გარგანო 6.5, პაციენცა 5 (64. დენისი 7), არონიკა 5.5 - ჰამშიკი 6, ლავეცი 5.5 - კვალიარელა 4.5.

**რომა:** ა. დონი 6 - ბურდისო 6, მექსე 5, ჟუანი 6 - მოტა 5, ტადეი 6, დე როსი 6, პეროტა 5, რიისე 6 - ვუჩინიჩი 6.5, ბაპტიშტა 7 (76. ფატი).

**გოლები:** 0:1 ბაპტიშტა (59-პენ), 0:2 ვუჩინიჩი (65), 1:2 დენისი (75), 2:2 ჰამშიკი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 20-14 (6-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 62 000

### პარმა-სამპდორია 1:0

**პარმა:** მირანტე 6 - ძაკარდო 7, პაჩი 6, დელაფიორე 6, ა. ლუკარელი 6.5 - ვალიანი 6, მორონე 6, გალოპა 6, ბიაბიანი 6.5, ლანცაფამე 6.5 (67. ანტონელი 6.5) - კრესპო 6 (33. ბოჟინოვი 5.5).

**სამპდორია:** სტორარი 6 - ძაური 5.5, გასტალდელო 6, ლუკინი 6, ციგლერი 4.5 - სემიოლი 5.5, პალომბო 6.5, პოლი 6 (76. ტისონე 6), გუბერტი 5.5 (58. ტესტარდი), მანინი 5.5 - სპეროვიჩი 5.5 (82. პადალინო).

**გოლი:** 1:0 ძაკარდო (54)

**გაფრთხილება:** 5-4; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 23-21; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 5-14 (4-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 964

### კიევო-კალიარი 2:1

**კიევო:** სორენტინო 6 - ნ. ფრეი 5.5, მანდელი 6, იეპესი 6, მანტოვანი 5.5 - ლუსიანო 6.5, იორი 6.5 (77. ბენტივოლიო 6), მარკოლინი 6 - პინცი 6 - პელისიერი 6 (90. ჯოკიჩი), დე პაულა 7 (74. გრანოკე 6).

**კალიარი:** მარკეტი 5.5 - ბიონდინი 6, არიაუდო 6.5, ასტორი 6, აგოსტინი 6 - ბარონე 5.5, პაროლა 6, ლაძარი 6 (63. ნაინგოლანი 4.5) - კოსუ 6 (80. ჟედა) - მატრი 6, ნენე 5.5 (69. ლარივეი 5.5).

**გოლები:** 1:0 დე პაულა (33), 1:1 ასტორი (51), 2:1 გრანოკე (78)

**გაძევება:** მარკოლინი (60. კიევო), ნაინგოლანი (71. კალიარი)

**გაფრთხილება:** 5-0; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 25-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-7 (6-1); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 8 000

### ჯენოა-ბოლონია 3:4

**ჯენოა:** ამელია 5 - პაპასტატოპულოსი 7.5, დაინელი 5 (80. იანკოვიჩი), მორეტი 6 - მ. როსი 7, მესტო 6.5, საპატერი 7 (75. ბოკეტი), კრიშიტო 6.5 (71. მილანეტო) - პალასიო 6.5, სუასო 7.5, სკული 7.

**ბოლონია:** ვივიანო 5.5 - კ. ძენონი 6, პორტანოვა 6, მორასი 6, ლანა 6 - ბუშე 6.5, მუდინგაი 6.5, გუანა 6.5, მინგაცინი 6 (76. კაზარინი) - ადაილტონი 8 (85. ხიმენესი) - სალაიეტა 6.5 (80. სუჩი).

**გოლები:** 1:0 სუასო (8), 1:1 ბუშე (11), 2:1 სკული (18), 2:2 ადაილტონი (28), 3:2 სუასო (38), 3:3 ადაილტონი (56), 3:4 ადაილტონი (79-პენ)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 20-8 (6-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 25 395

### ლივორნო-სიენა 1:2

**ლივორნო:** რუბინიო 6 - პერტიკონე 6, კნეჟევიჩი 5.5, დინისი 5 - რაიმონდი 6 (76. მარკინი 5), მორო 5, მოცარტი 6, ბერგვოლდი 5, ვიტალე 6.5 (84. ტავანო) - ბელუჩი 6.5 (63. ბერნარდინი 5), კ. ლუკარელი 6.

**სიენა:** კურჩი 6 - როზი 6, კრიბარი 5 (77. კოდრეა 6), პრატალი 6, ა. როსი 5 (46. ლარიონდო 6.5) - ეკდალი 6 (57. კალაიო 7) - რეჟინალდო 6.5, ვერგასოლა 7, ციოლისი 6, გეზალი 5.5 - მაკარონე 7.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (1-პენ), 1:1 კალაიო (79), 1:2 მაკარონე (90)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-20 (5-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 14 000

### იუვენტუსი-პალერმო 0:2

**იუვენტუსი:** მანინგერი 6 - გრიგერა 4.5, ფ. კანავარო 6, კიელინი 6, დე ჩელიე 5.5 (80. გროსო) - კანდრევა 5, ფელიპე მელო 6, სისოკო 5 - დიეგო 5 (89. ზებინა) - ტრეზეგე 5, დელ პიერო 5 (80. პაოლუჩი).

**პალერმო:** სირიგუ 6 - კასანი 7, კიაერი 7, ბოვო 6.5, ბალცარეტი 6.5 - მილიაჩო 6.5 (86. ბლაზი), ლივერანი 6.5, ნოჩერინო 7 - პასტორე 6.5 - მიკოლი 7 (80. ბუდანი 6.5), ერნანდესი 5 (69. კავანი 6).

**გოლები:** 0:1 მიკოლი (60), 0:2 ბუდანი (81)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 15-8 (1-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 20 749

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 26 | 17 | 6 | 2 | 52-22 | 58 |
| 2. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 46-26 | 54 |
| 3. რომა | 26 | 15 | 6 | 5 | 45-29 | 51 |
| 4. პალერმო | 26 | 12 | 7 | 7 | 37-31 | 43 |
| 5. იუვენტუსი | 26 | 12 | 5 | 9 | 40-35 | 41 |
| 6. ნაპოლი | 26 | 10 | 11 | 5 | 34-29 | 41 |
| 7. სამპდორია | 26 | 11 | 7 | 8 | 32-32 | 40 |
| 8. კალიარი | 26 | 11 | 5 | 10 | 41-34 | 38 |
| 9. ჯენოა | 26 | 11 | 5 | 10 | 44-43 | 38 |
| 10. ფიორენტინა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-31 | 35 |
| 11. კიევო | 26 | 10 | 5 | 11 | 26-26 | 35 |
| 12. პარმა | 26 | 9 | 6 | 11 | 27-36 | 33 |
| 13. ბარი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-34 | 32 |
| 14. ბოლონია | 26 | 8 | 7 | 11 | 30-36 | 31 |
| 15. კატანია | 26 | 6 | 9 | 11 | 27-31 | 27 |
| 16. უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 32-39 | 27 |
| 17. ლაციო | 26 | 5 | 11 | 10 | 21-28 | 26 |
| 18. ლივორნო | 26 | 6 | 5 | 15 | 17-36 | 23 |
| 19. ატალანტა | 26 | 5 | 6 | 15 | 22-38 | 21 |
| 20. სიენა | 26 | 5 | 5 | 16 | 27-47 | 20 |

**ბომბარდირები:** 19 - დი ნატალე (უდინეზე); 15 - მილიტო (ინტერი); 12 - პატო (მილანი), პაცინი (სამპდორია); 11 - პ. ბარეტო (ბარი), ჯილარდინო (ფიორენტინა), მატრი (კალიარი); 10 - მაკარონე (სიენა), ტოტი (რომა); 9 - ბორიელო (მილანი), დი ვაიო (ბოლონია), ჰამშიკი (ნაპოლი), მიკოლი (პალერმო), რონალდინიო (მილანი).

## სერია B

### XXVII ტური

**ვიჩენცა-ჩიტადელა 0:2**
გოლები: 0:1 პეზოლი (60-პენ), 0:2 იუნკო (90)

**ლეჩე-ტრიესტინა 1:1**
გოლები: 0:1 პასკუატო (66), 1:1 ბაკლე (80)

**ალბინოლეფე-მანტოვა 1:0**
გოლი: 1:0 კრისტიანო (58)

**ემპოლი-მოდენა 3:0**
გოლები: 1:0 ედერი (29-პენ), 2:0 კორალი (34), 3:0 საუდატი (79)
გაძევება: დიაგურაგა (28. მოდენა), ედერი (68. მოდენა)

**პადოვა-ტორინო 0:1**
გოლი: 0:1 რ. ბიანკი (59)

**გროსეტო-კროტონე 0:4**
გოლები: 0:1 ბონვისუტო (41), 0:2 ბონვისუტო (53), 0:3 გაბიონეტა (72), 0:4 ჯინესტრა (79)

**სალერნიტანა-პიაჩენცა 1:0**
გოლი: 1:0 პოლიტო (60-პენ)

**ანკონა-გალიპოლი 3:1**
გოლები: 1:0 სკიატარელა (27), 2:0 მასტრონუნციო (49), 3:0 სურაკო (59), 3:1 არტისტიკო (81)
გაძევება: ლაძარი (43. გალიპოლი), ტალიანი (53. გალიპოლი), დაინო (76. გალიპოლი)

**სასუოლო-ბრეშა 0:2**
გოლები: 0:1 ვასი (12), 0:2 პოსანცინი (64)

**ჩეზენა-ასკოლი 1:0**
გოლი: 1:0 გრეკო (43)
გაძევება: ბერნაჩი (68. ასკოლი)

**რეჯინა-ფროზინონე 1:0**
გოლი: 1:0 ბრიენცა (2)
გაძევება: სტელონე (85. ფროზინონე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 27 | 13 | 9 | 5 | 41-27 | 48 |
| 2. სასუოლო | 27 | 12 | 9 | 6 | 40-28 | 45 |
| 3. ბრეშა | 27 | 13 | 6 | 8 | 38-30 | 45 |
| 4. ჩეზენა | 27 | 11 | 11 | 5 | 33-16 | 44 |
| 5. ანკონა | 27 | 13 | 5 | 9 | 39-32 | 44 |
| 6. გროსეტო | 27 | 11 | 10 | 6 | 41-39 | 43 |
| 7. ემპოლი | 27 | 11 | 7 | 9 | 36-30 | 40 |
| 8. ტორინო | 27 | 10 | 8 | 9 | 33-25 | 38 |
| 9. ფროზინონე | 27 | 11 | 5 | 11 | 35-42 | 38 |
| 10. ჩიტადელა | 27 | 9 | 9 | 9 | 32-31 | 36 |
| 11. მოდენა | 27 | 10 | 6 | 11 | 22-27 | 36 |
| 12. ვიჩენცა | 27 | 8 | 11 | 8 | 30-25 | 35 |
| 13. ალბინოლეფე | 27 | 9 | 8 | 10 | 33-35 | 35 |
| 14. კროტონე (-2) | 27 | 9 | 10 | 8 | 32-32 | 35 |
| 15. ასკოლი | 27 | 8 | 9 | 10 | 37-38 | 33 |
| 16. გალიპოლი | 27 | 8 | 9 | 10 | 26-40 | 33 |
| 17. რეჯინა | 27 | 9 | 5 | 13 | 32-39 | 32 |
| 18. ტრიესტინა | 27 | 8 | 8 | 11 | 27-36 | 32 |
| 19. პიაჩენცა | 27 | 8 | 6 | 13 | 21-30 | 30 |
| 20. მანტოვა | 27 | 6 | 11 | 10 | 29-33 | 29 |
| 21. პადოვა | 27 | 6 | 10 | 11 | 26-30 | 28 |
| 22. სალერნიტანა | 27 | 5 | 6 | 15 | 26-43 | 21 |

**ბომბარდირები:** 18 - კარაჩოლო (ბრეშა), პინილია (გროსეტო); 17 - მასტრონუნციო (ანკონა); 16 - ანტენუჩი (ასკოლი), რ. ბიანკი (ტორინო); 12 - ნოსელი (სასუოლო).

## ლეგა პრო 1/A

### XXV ტური

ლუმეცანე-ბენევენტო 0:0, სორენტო-ლეკო 4:0, ალესანდრია-მონცა 1:2, ვიარეჯო-პაგანეზე 1:0, არეცო-ფოლინიო 3:1, პერგოკრემა-კომო 1:0, ვარეზე-ნოვარა 1:1, პრო პატრია-ფილინე 2:2, პერუჯა-კრემონეზე დღეს.

## ლეგა პრო 1/B

### XXV ტური

ანდრია-ვერონა 0:0, რეჯანა-რავენა 2:2, პეშინა-ტერნანა 3:0, რიმინი-სპალ 1:1, ჯულიანოვა-ტარანტო 0:0, ფოჯა-კოზენცა 1:3, პოტენცა-ლანჩანო 0:2, კავეზე-რეალ მარჩანიზე 1:0, პესკარა-პორტოგრუარო 0:1.

მიუნხენელები გალიდერებას ზეიმობენ



# 652 დღის შემდეგ!

## 110 წლის ბაიერნი დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილია...

ფეხბურთი სწორედ ასეთი მატჩების გამო გვიყვარს - პარასკევს „შალკემ" და მისმა მოსისხლე მტერმა, დორტმუნდის „ბორუსიამ" გელზენკირხენის „ფელტინს არენა აუფ შალკეზე" ცეცხლი დაანთეს. რურის დიდი, რიგით 135-ე დერბი ისეთი თამაში გამოდგა, ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა. ზღვა ემოციები, მაღალი ტემპი, დაუნდობელ ჯალათებად გადაქცეული ფეხბურთელები და ამავდროულად, ფეხბურთი, მაღალი ხარისხის ფეხბურთი - და ეს ჯახი „შალკემ" მოიგო, 2:1.

„ბორუსიას" ტაქტიკა-სტრატეგია თავიდან ბოლომდე სირბილზეა აგებული, **იურგენ კლოპი** თავის შეგირდებს პირველიდან ბოლო წუთამდე მაქსიმალურ მოძრაობას და ბურთით თუ უბურთოდ სირბილს სთხოვს. შესაბამისად, რთული არ იყო იმის ვარაუდი, რომ მატჩის მიწურულს „შალკე" უკეთეს ფიზიკურ კონდიციაში იქნებოდა და მოლოდინი, რა თქმა უნდა, გამართლდა: შავ-ყვითლებს ბოლოს არაქათი აღარ ჰქონდათ, გელზენკირხენელებს კი, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, კიდევ ერთი მატჩის ჩატარება შეეძლოთ.

ანგარიში „ბორუსიამ" გახსნა: **ივან რაკიტიჩმა** საკუთარ საჯარიმოში დორტმუნდელთა ერთადერთ ფორვარდ **ნელსონ ვალდესს (ლუკას ბარიოსი** დისკვალიფიცირებული გახლდათ) ფეხი უშნოდ დააბიჯა და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც **ნური შაჰინმა** აქცია გოლად. „შალკესთვის" ეს საკუთარ მოედანზე, 633-წუთიანი მშრალი სერიის შემდეგ პირველი გაშვებული გოლი იყო. მასპინძლებმა წონასწორობის აღდგენა 66-ე წუთზე შეძლეს - ზუსტად ისე, როგორც პირველი წრის მატჩში, რომელიც ასევე „შალკემ" მოიგო, გოლი მცველმა **ბენედიქტ ჰიოვედესმა** გაიტანა. მაგრამ თუ მაშინ ასისტენტად **ლევან ყენია** მოგვევლინა (ახლა ქართველი ტრავმირებულია), ამჯერად კი ჰიოვედესს **შმიტცმა** ჩაუწოდა. გამარჯვების გოლის ავტორი კი რაკიტიჩია - ფეხბურთელი, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. „ბორუსიას" საყრდენი ნახევარმცველის, **სვენ ბენდერის** შეცდომის შემდეგ ხორვატს ბურთი კარიდან 18 მეტრის მოშორებით მიუვიდა მანაც დაუყოვნებლივ დაარტყა და ბურთი **რომან ვაიდენფელერისგან** მარცხენა ცხრიანში ჩაახვია. ეს იყო იშვიათი სილამაზის გოლი და მსოფლიოს ვერც ერთი მეკარე ამ დარტყმას ვერ მოიგერიებდა! მატჩის შემდეგ რაკიტიჩმა თქვა, ვარჯიშებზე ასეთ დარტყმებს ხშირად ვამუშავებ და მადლობა ღმერთს, რომ როგორც იქნა, ეს თამაშში გამომადგაო. გამარჯვება მნიშვნელოვანია „შალკეს" მწვრთნელ **ფელიქს მაგათისთვისაც**: „დესპოტმა ფელიქსმა" ბუნდესლიგაში მწვრთნელის რანგში მე-200 თამაში მოიგო.

„ლევერკუზენმა" შაბათს ისევ არ წააგო, მაგრამ ამავე დროს კვლავ ვერ მოიგო და ამით პირველ რიგში მიუნხენის „ბაიერნი" გაახარა (რეკორდმაისტერმა გუშინ ითამაშა). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ 24-მატჩიან წაუგებულ სერიაში „ფარმაცევტებს" 11 შეხვედრა ფრედ აქვთ დასრულებული და აგერ უკვე მეორე კვირაა, ვერ იგებენ და არც აგებენ. მოგეხსენებათ, „ლევერკუზენისა" და „კიოლნის" დაპირისპირება დერბია და ამდენად, შედეგი სენსაციური არ არის. სამაგიეროდ, უკვე გამაოგნებელია „კიოლნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის, **ლუკას პოდოლსკის** მონაგარი: „პრინც პოლდის" 1393-წუთიანი (!) უგოლო სერია აქვს. მან ვერც „ლევერკუზენს" გაუტანა და უკვე აღარ ვიცით, რატომ ეწოდება პოდოლსკის თავდამსხმელი.

მატჩის მე-13 წუთზე „ლევერკუზენის" აყლაყუდა მცველმა **სამი ჰიიპიამ** „კიოლნის" მეკარე **ფარიდ მონდრაგონს** საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და დარტყმის შემდეგ ბურთმა თითქოს გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. განმეორებით კარგად არ ჩანს, გადაიკვეთა თუ არა ხაზი. „ლევერკუზენის" შეფი **რუდი ფიოლერი** კი დარწმუნებულია, რომ გოლი იყო. „თხებს" რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდათ და „ლევერკუზენის" სეზონში პირველად დამარცხება შეეძლოთ, მაგრამ ხან „ფარმაცევტების" კიპერი **რენე ადლერი** თამაშობდა კარგად, ხანაც თვითონ კიოლნელები სცოდავდნენ. მეორე ტაიმში გულშემატკივრებმა იმდენად მოიწყინეს, რომ ერთმანეთში შაირობა გამართეს. მაგალითად, „კიოლნის" ფანები ლევერკუზენელებს უყვიროდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე **შტეფან კისლინგის** გარეშე მივდივართო. „ფარმაცევტების" ფანებმა კი უფრო ლოგიკური სიტყვების სკანდირება დაიწყეს: მუნდიალზე პოდოლსკის გარეშე მივდივართო. ეს კი უფრო რეალურია, რადგან პოლდის გოლების გატანა დაავიწყდა, კისლინგს კი, რაც არ უნდა იყოს, უკვე 13 გოლი აქვს შეგდებული.

„ლევერკუზენის" სერია არ წყდება, სამაგიეროდ, ამ უქმეებზე „მაინცის" სერია შეწყდა. კარნავალელებს ამ სეზონში საკუთარ მოედანზე არც ერთი წაგება არ ჰქონდათ და პირველი მარცხი შაბათს, ძალიან კარგ ფორმაში მყოფ „ვერდერთან" იწვნიეს. მატჩის შემდეგ „მაინცის" მთავარი მწვრთნელი **თომას ტუხელი** ძალიან ბრაზობდა შეხვედრის მთავარ მსაჯ **ბაბაკ რაფატიზე - ფაბიან ჰელერი** არ უნდა გაეძევებინა, ამ მცდარი გადაწყვეტილებით მან მატჩზე დიდი გავლენა მოახდინა და ამიტომაც დავმარცხდითო. ცხადია, ბრემენელები ასე არ ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ რაფატიმ ჰელერი სავსებით სამართლიანად გააძევა. ჩვენ კი უნდა დავძინოთ, რომ ამ გაძევებისთვის რაფატის ვერ დავძრახავთ, თუმცა შეეძლო, მაინცელები დაენდო და არც ამის გამო უსაყვედურებდა ვინმე. ფაქტი ის არის, რომ „მაინცის" 15-მატჩიანი (საშინაო) წაუგებელი სერია შეწყდა, „ბრემენელი მუსიკოსები" კი საუკეთესო ხუთეულს უკვე ძალიან მიუახლოვდნენ და მეხუთე ადგილზე მყოფ „დორტმუნდს" მხოლოდ 1 ქულითღა ჩამორჩებიან.

„ფრაიბურგთან" მოგების შემდეგ (3:0), ბერლინის „ჰერტა" ისევ დამარცხდა და ისევ ბოლო ადგილზეა. შაბათს **ლევან კობიაშვილს** და კომპანიას ბრწყინვალე შანსი ჰქონდათ, თუნდაც დროებით დაეღწიათ თავი უკანასკნელი ადგილისთვის, მაგრამ ამისათვის „ჰოფენჰაიმთან" გამარჯვება იყო საჭირო. ბერლინელებმა კი, საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე" ისევ ძალიან ცუდად ითამაშეს და 0:2 დამარცხდნენ. თამამად ვიტყვით: „ჰერტას" ერთადერთი ნათელი წერტილი კობიაშვილი იყო, რაზეც მისი შეფასებაც (სხვებთან შედარებით) მეტყველებს. „ჰერტა" გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს და კატასტროფულ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, მაგრამ ასეთი თამაშით ბერლინელები ნამდვილად გავარდებიან. **ფრიდჰელმ ფუნკელის** კოლექტივს საკუთარ მოედანზე 11-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს...

„შტუტგარტი" პროგრესს აგრძელებს, შავაბთა თავდამსხმელი **კაკაუ** კი მაყურებლების გაოცებას განაგრძობს. ბრაზილიური წარმოშობის გერმანელმა თავდამსხმელმა შვაბებს შაბათს ფრანკფურტის „აინტრახტთან" დუბლით მოაგებინა და მოდი და ნუ გაგიკვირდება: კაკაუმ ბოლო 8 დღეში 7 (!!!) გოლი გაიტანა: წინა ტურში პოკერი შეასრულა, მერე „ბარსელონასაც" გაუტანა, ახლა კი დუბლი...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნმა" „ლევერკუზენს" მორიგი წაფორხილება აღარ აპატია: რეკორდმაისტერმა კვირას, ჩრდილო-სამხრეთულ დერბიში „ჰამბურგი" დაამარცხა და პირველ ადგილზე აღზევდა. ეს კი ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი მოვლენა! მიუნხენის „ბაიერნი" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს მთლიანი, ანუ სრულყოფილი ტურის შემდეგ, სათავეში არც მეტი, არც ნაკლები, 652 დღის შემდეგ ჩაუდგა! წელიწადი და ცხრა თვე „ბაიერნი" ბუნდესლიგის ლიდერი არ ყოფილა - თქვენ ეს გჯერათ?

**ლუის ვან გაალის** სამწყსოს „ჰამბურგთან", რომელსაც კვლავ არ ჰყავდა **რუუდ ვან ნისტელროი, ფრანკ რიბერიმ** მოაგებინა. ფრანგმა ნახევარმცველმა 78-ე წუთზე ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, **გი დემელი** გააცურა და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი, რომელიც ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ ჰამბურგელთა ახალგაზრდა თავდამსხმელ **თორუნს** ანგარიშის გათანაბრების ბრწყინვალე შანსი მიეცა, მაგრამ მისი თავურის შემდეგ, ბურთი **ბუტის** კარის ძელს მოხვდა.

*„როგორც იქნა, „ბაიერნი" დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილია!"* - განაცხადა მატჩის შემდეგ ვან გაალმა. შაბათს მიუნხენურმა გრანდმა დაარსებიდან 110 წლისთავი იზეიმა, კვირას კი, რეკორდმაისტერისთვის მართლაც გასაოცრად დიდი ხნის შემდეგ, პირველ ადგილზე დაბრუნდა. იქ, სადაც მართლა „ბაიერნის" ადგილია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

6 მარტი. **კიოლნი-ბაიერნი, ვერდერი-შტუტგარტი, ჰამბურგი-ჰერტა, აინტრახტი-შალკე, ფრაიბურგი-ჰანოვერი, ვოლფსბურგი-ბოხუმი, ბორუსია (დ)-ბორუსია (მ).**
7 მარტი. **ნიურნბერგი-ლევერკუზენი, ჰოფენჰაიმი-მაინცი.**

### შალკე-ბორუსია (დ) 2:1

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი 3 - რაფინია 3, ჰიოვედესი 2.5, ბორდონი 2, შმიტცი 3.5 - კლუგე 3.5, რაკიტიჩი 2 - ფარფანი 4, სანჩესი 5 (46. მორიტცი 4/65. ბაუმიოჰანი 3) - კურანი 4.5, ედუ 4 (84. ასამოა).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3.5 - ოვომოიელა 4.5, სუბოტიჩი 3, ჰუმელსი 2.5 (82. ფელიპე სანტანა), შმელცერი 3.5 - ს. ბენდერი 5 (86. კელი), ნ. შაჰინი 2.5 - ბლაშჩიკოვსკი 3.5, ზიდანი 4.5 (73. ჰაინალი), გროსკროიტცი 5 - ვალდესი 4.

**გოლები:** 0:1 ნ. შაჰინი (47-პენ), 1:1 ჰიოვედესი (66), 2:1 რაკიტიჩი (83)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 16(8)-7(2); **ჯარიმა:** 16-12; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 61 673

### მაინცი-ვერდერი 1:2

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი 4.5 - ზაბავნიკი 3.5, სვენსონი 3.5, ნოვესკი 3, ფათი 4.5 - კარჰანი 3 (77. შიმაკი), სოტო 4 - ფ. ჰელერი 3.5, ივანშიტცი 4 (34. პოლანსკი 4), შიურლე 4.5 (56. შალაი 4) - ბონსე 2.5.

**ვერდერი (4-2-3-1):** ფანდერი 5 - პასანენი 3.5, მერტეზაკერი 3, ნალდო 4, აბდენური 5 (27. პრიოდლი 3) - ნიმაიერი 3, ბარგფრედე 3 - ჰანტი 4 (91. უგო ალმეიდა), ბოროვსკი 3.5, იოზილი 4.5 (79. დ. იენსენი) - პისარო 4.

**გოლები:** 0:1 ბოროვსკი (32), 1:1 ბონსე (45), 1:2 პრიოდლი (50)

**გაძევება:** ფ. ჰელერი (14. მაინცი)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 8(5)-7(3); **ჯარიმა:** 19-20; **კუთხური:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 300

### ბორუსია (მ)-ფრაიბურგი 1:1

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 3.5 - ლეველსი 2.5, ბრაუერსი 2.5, დანტე 4, დემსი 3.5 - მეეუვისი 4 (65. მატმური 4.5), ბრედლი 3.5 - როისი 3.5, არანგო 3 - ბობადილია 3.5, კოლაუტი 4.5 (65. ფრენდი 3.5).

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** პუპლინი 2 - კრმასი 4 (77. დუ-რი ჩა), ბართი 4.5, ტოპრაკი 4, ბასტიანსი 3.5 - მაკიადი 5 (80. ი. შუსტერი), ბანოვიჩი 3.5 - კალიგიური 4.5 (77. ბეხმანი), იეგერი 4.5 - იდრისუ 4, სისე 3.5.

**გოლები:** 0:1 სისე (56), 1:1 ბრაუერსი (72)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 20(6)-9(2); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 40 419

### ჰერტა-ჰოფენჰაიმი 0:2

**ჰერტა (4-1-2-1-2):** დრობნი 4 - პიშჩეკი 3.5 (42. ფონ ბერგენი 4.5), ა. ფრიდრიხი 4.5, ჰუბნიკი 4, კობიაშვილი 3.5 - ლუსტენბერგერი 4.5 - კრინგე 4 (75. ნიკუ), სისერო 4 - რაფაელი 4 - რამოსი 4.5, გეკასი 5.

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-1-2):** ჰილდებრანდი 3.5 - იბერტსბერგერი 4, შიმუნიჩი 2.5, კომპერი 3, აიხნერი 3.5 - ფორსბა 3.5 (78. გულდე) - კარლოს ედუარდო 3, სალიჰოვიჩი 3.5 - მაიკოსუელი 4.5 (67. ვაისი 4) - იბიშევიჩი 3, ბა 3 (87. ვუკჩევიჩი).

**გოლები:** 0:1 ბა (35), 0:2 იბიშევიჩი (92)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(1)-11(3); **ჯარიმა:** 15-22; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 37 391

### შტუტგარტი-აინტრახტი 2:1

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 3.5 - ჩელოცი 3.5, ტასკი 3, დელპიერი 2, მოლინარო 3 - ტრეში 3, ხედირა 3 - გებჰარდტი 4 (69. კუზმანოვიჩი 4), გლები 3 (61. ჰილბერტი 3.5) - პოგრებნიაკი 4, კაკაუ 1.5 (88. მარიკა).

**აინტრახტი (4-1-2-2-1):** ნიკოლოვი 2.5 - იუნგი 3.5 (85. მ. ჰელერი), კრისი 4.5, რუსი 3.5, შპიხერი 4 - შვეგლერი 3.5 - პ. ოხსი 4, კიოლერი 4 (56. ქორქმაზი 4) - ა. მაიერი 5, კაიო 3.5 (81. ლიბეროპულოსი) - ჰალილ ალთინთოფი 5.

**გოლები:** 0:1 კიოლერი (39), 1:1 კაკაუ (41), 2:1 კაკაუ (45)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 17(8)-12(2); **ჯარიმა:** 15-11; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 41 000

### ბოხუმი-ნიურნბერგი 0:0

**ბოხუმი (4-2-3-1):** ჰეერვაგენი 3.5 - კონჩა 4.5, მალტრიტცი 3.5, მავრაი 4, ფუხსი 3 - დაბროვსკი 2.5, მარიჩი 3.5 - პროკოფი 5 (66. ფრაიერი 4.5), ჰოლტბი 3.5, დედიჩი 4.5 - შესტაკი 4.5 (77. ჰაშემიანი).

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი 3 - დიკმაიერი 3.5, ვოლფი 3.5, მარო 3, პინოლა 3 - ოტლი 3 - ფრანტცი 3.5 (72. ჟიგაქსი), გიუნდოგანი 3.5 (86. მინტალი), ტავარესი 4, ბუნიაკუ 4.5 - ჩუპო-მოტინგი 4.5.

**გაძევება:** ბუნიაკუ (87. ნიურნბერგი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(5)-11(2); **ჯარიმა:** 19-19; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 780

### ლევერკუზენი-კიოლნი 0:0

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი 3 - შვააბი 4 (46. რენატო 3.5), მ. ფრიდრიხი 4, ჰიიპია 2, კასტრო 4 (69. კადლეცი 3.5) - ვიდალი 3, რაინარტცი 3.5 - ბარნეტა 4.5 (75. ლ. ბენდერი), კროოსი 3.5 - კისლინგი 4, დერდიოკი 4.

**კიოლნი (4-1-2-2-1):** მონდრაგონი 2.5 - შორხი 3, ჟერომელი 2, მოჰამადი 2.5, ბრეჩკო 4 - მაკენა 4 - პეტიტი 4.5, მატუშიკი 4 - ფრაისი 4 (89. ერეთი), ნოვაკოვიჩი - პოდოლსკი.

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(4)-2(1); **ჯარიმა:** 12-22; **კუთხური:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 30 210

### ჰანოვერი-ვოლფსბურგი 0:1

**ჰანოვერი (4-1-2-1-2):** ფრომლოვიტცი - შმიდებახი, ჰაგი, დურიცა, კ. შულცი - ლალა - პინტუ (81. ბრუგინკი), ჯაპკა - ელსონი - შტაინერი (67. ჰანკე), ა. კონე.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ჰიტცი - პეკარიკი, მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე - რიტერი (86. ჰასებე), გენტნერი (72. დეჟაგა) - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**გოლი:** 0:1 მიშიმოვიჩი (78)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 24(6)-11(4); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 34 312

### ბაიერნი-ჰამბურგი 1:0

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი - ლამი, დემიკელისი, ბადშტუბერი, კონტენტო - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი (89. ტიმოშჩუკი), რიბერი - თ. მიულერი (79. ოლიჩი), გომესი (65. კლოზე).

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი (46. ჰესლი) - დემელი, როზენალი, მატიისენი, ჟ. ბოატენგი - იაროლიმი (82. თორუნი), ზე რობერტო - ტროხოვსკი, ელია - ბერგი (68. პიტროიპა), პეტრიჩი.

**გოლი:** 1:0 რიბერი (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(5)-12(2); **ჯარიმა:** 17-27; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 69 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 24 | 15 | 7 | 2 | 50-20 | 52 |
| 2. ლევერკუზენი | 24 | 13 | 11 | 0 | 50-20 | 50 |
| 3. შალკე | 24 | 14 | 6 | 4 | 36-18 | 48 |
| 4. ჰამბურგი | 24 | 10 | 10 | 4 | 43-26 | 40 |
| 5. ბორუსია (დ) | 24 | 11 | 6 | 7 | 36-32 | 39 |
| 6. ვერდერი | 24 | 10 | 8 | 6 | 48-29 | 38 |
| 7. აინტრახტი | 24 | 9 | 8 | 7 | 31-32 | 35 |
| 8. შტუტგარტი | 24 | 9 | 7 | 8 | 34-31 | 34 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 24 | 9 | 5 | 10 | 34-29 | 32 |
| 10. მაინცი | 24 | 8 | 8 | 8 | 27-32 | 32 |
| 11. ვოლფსბურგი | 24 | 8 | 7 | 9 | 41-45 | 31 |
| 12. ბორუსია (მ) | 24 | 8 | 6 | 10 | 34-39 | 30 |
| 13. ბოხუმი | 24 | 6 | 9 | 9 | 25-38 | 27 |
| 14. კიოლნი | 24 | 6 | 8 | 10 | 21-31 | 26 |
| 15. ფრაიბურგი | 24 | 5 | 5 | 14 | 22-45 | 20 |
| 16. ნიურნბერგი | 24 | 4 | 6 | 14 | 19-40 | 18 |
| 17. ჰანოვერი | 24 | 4 | 5 | 15 | 25-46 | 17 |
| 18. ჰერტა | 24 | 3 | 6 | 15 | 21-44 | 15 |

**ბომბარდირები:** 13 - კისლინგი (ლევერკუზენი); 12 - კურანი (შალკე); 11 - ბარიოსი (ბორუსია დ), ბუნიაკუ (ნიურნბერგი), დერდიოკი (ლევერკუზენი); 10 - ჯეკო (ვოლფსბურგი), გომესი (ბაიერნი), პისარო (ვერდერი); 9 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), კროოსი (ლევერკუზენი); 8 - კაკაუ (შტუტგარტი), გრაფიტე (ვოლფსბურგი), რობენი (ბაიერნი).

### II ბუნდესლიგა

**დუისბურგი-ობერჰაუზენი 2:2**

გოლები: 0:1 შტოპელკამპი (27), 1:1 სილვა (13), 2:1 ბალიაკი (30), 2:2 შტოპელკამპი (31)

**ფრანკფურტი-კოტბუსი 0:0**

**პადერბორნი-მიუნხენ 1860 3:1**

გოლები: 1:0 ზალიკი (9-პენ), 2:0 ბრიუკნერი (59), 3:0 ალუში (69), 3:1 აიგნერი (76)

**ფიურტი-ჰანზა 1:0**

გოლი: 1:0 ჰაასი (12)

**კობლენცი-აუგსბურგი 0:1**

გოლი: 0:1 ტრაორე (79)

**ალენი-უნიონი 3:2**

გოლები: 1:0 ოლე ოლე (41), 1:1 მატუშკა (45+3), 2:1 დი გრეგორიო (56), 3:1 ბუკი (72), 3:2 დოგანი (91)

**კარლსრუე-კაიზერსლაუტერნი 1:3**

გოლები: 1:0 ხრიზანტუსი (45), 1:1 იენდრიშეკი (56), 1:2 ლაკიჩი (79), 1:3 ლაკიჩი (92)

**ზტ. პაული-არმინია 0:1**

გოლი: 0:1 ფედერიკო (33)

**ალემანია-ფორტუნა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 24 | 16 | 5 | 3 | 40-18 | 53 |
| 2. აუგსბურგი | 24 | 13 | 8 | 3 | 48-28 | 47 |
| 3. ზტ. პაული | 24 | 14 | 4 | 6 | 48-25 | 46 |
| 4. არმინია | 24 | 13 | 4 | 7 | 36-23 | 43 |
| 5. ფორტუნა | 23 | 12 | 4 | 7 | 36-22 | 40 |
| 6. დუისბურგი | 24 | 11 | 6 | 7 | 40-33 | 39 |
| 7. პადერბორნი | 24 | 10 | 7 | 7 | 35-32 | 37 |
| 8. ფიურტი | 24 | 11 | 1 | 12 | 41-37 | 34 |
| 9. უნიონი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-33 | 34 |
| 10. მიუნხენ 1860 | 24 | 9 | 5 | 10 | 30-31 | 32 |
| 11. ალემანია | 23 | 8 | 6 | 9 | 24-28 | 30 |
| 12. კოტბუსი | 24 | 7 | 7 | 10 | 32-32 | 28 |
| 13. კარლსრუე | 24 | 8 | 3 | 13 | 32-38 | 27 |
| 14. ჰანზა | 24 | 7 | 4 | 13 | 22-32 | 25 |
| 15. ობერჰაუზენი | 24 | 7 | 4 | 13 | 21-38 | 25 |
| 16. ფრანკფურტი | 24 | 5 | 7 | 12 | 17-41 | 22 |
| 17. კობლენცი | 24 | 4 | 6 | 14 | 21-41 | 18 |
| 18. ალენი | 24 | 4 | 6 | 14 | 15-38 | 18 |

**ბომბარდირები:** 20 - თური (აუგსბურგი); 12 - ებერსი (ზტ. პაული), ფედერიკო (არმინია), ზალიკი (პადერბორნი); 11 - ჰარნიკი (ფორტუნა); 10 - ალაგუი (ფიურტი), აუერი (ალემანია), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი), ნიოთე (ფიურტი); 8 - იულა (კოტბუსი).

### III ბუნდესლიგა

ბაიერნი II-შტუტგარტი II 2:0, ბრაუნშვაიგი-ოფენბახი 0:0, ბურგჰაუზენი-ინგოლშტადტი 4:2, აუე-ვუპერტალი 1:0, კილი-უნტერჰახინგი (გადაიდო), ოსნაბრიუკი-დრეზდენი 1:1, ერფურტი-ჰაიდენჰაიმი 1:2, ზანდჰაუზენი-ვეენი 2:1, ვერდერი II-რეგენსბურგი გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი XIV ტური

# ბადე

სუპერ ლიგა

სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურიღა დარჩა და სატურნირო ცხრილმაც მეტი ყურადღება მიიქცია. რუსთავის „ენერჯის“ თოთხმეტივე მატჩი მოგებული აქვს და ძნელი სავარაუდოა, პირველი ადგილი დათმოს. მეორე და მესამე ადგილების დამკავებელი გუნდები ჯერ მეოთხედფინალს ითამაშებენ (წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ გაიმარჯვებენ), ხოლო ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მესამეზე და მეოთხეზე თსუ და „აგრარული“ არიან. ამ პოზიციების შენარჩუნება მათაც უნდა აწყობდეთ, რადგან პლეი ოფში ფინალის გზაზე „ენერჯისა“ და შსს-ს ასცდებიან. შსს-ს კი რთული მეოთხედფინალი ელის: „ბათუმს“ შეხვდება.

ზღვისპირელები და ძალოვნები უკვე სამეოთხედფინალო მოედნის უპირატესობაზე ზრუნავენ. ბევრს გაარკვევს მათი ურთიერთშეხვედრა, რომელიც 20 მარტს გაიმართება. მანამდე ეს გუნდები ცდილობენ, ქულები არ დაკარგონ.

მე-14 ტურში შსს-მ ახალგაზრდულ „სამედიცინო-აკადემიას“ მოუგო, ხოლო „ბათუმმა“ „აგრარულთან“ ბოლომდე იბრძოლა და გამარჯვება უკანასკნელ წამებზე დათმო.

ნაავადმყოფარი გამთამაშებელი **ბექა წივწივაძე** „აგრარულს“ შეტევებისას კარგად მიუძღოდა, ხოლო ფარქვეშ არაფერს თმობდნენ **მათიაშვილი, ათანელიშვილი** და **დიდია**. მათი მონდომების მიუხედავად, თბილისელებს დიდი სხვაობით დაწინაურება უჭირდათ - ბათუმელები ბოლომდე იბრძოდნენ და არაფერს თმობდნენ.

მატჩის დასრულებამდე 2:17 წუთით ადრე „აგრარული“ ოთხი ქულით იყო წინ - 64:60. სწორედ ამ ეპიზოდში მოხდა ინციდენტი, რამაც მატჩის ბედზე გავლენა იქონია: ამერიკიდან დაბრუნებულმა რიჩარდ მათიაშვილმა ფარქვეშიდან სტყორცნა ბურთი, რომელიც კალათში მანამ არ ჩაეშვა, ვიდრე გვარიანად არ იხტუნავა. ამასობაში კალათის ქვეშ „აგრარები“ ახტნენ და...

ისეთი შთაბეჭდილება დარჩა რომ ბადეს შეეხნენ.

ბათუმელები მსაჯებისკენ გაემართნენ - მეტოქემ ბადე დაქაჩა და ბურთი არ უნდა ჩაითვალოსო. გაბრაზდა ზღვისპირელთა მწვრთნელი **დავით უსტიაშვილიც**... მსაჯებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს, ბურთი ჩათვალეს და „ბათუმის“ სათადარიგოთა სკამს ტექნიკურიც არგუნეს. გარჩევისას იყო ლაპარაკი, თითქოს ბურთი არ უნდა ჩათვლილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბადე ჩამოიქაჩა, ხოლო მხოლოდ შეხების შემთხვევაში ბურთის არჩათვლა დაუშვებელია. ამ საკითხში ფიბა-ს კომისარმა **მერაბ რატიშვილმა** გაგვარკვია: თუ ბადეს ოდნავადაც შეეხნენ, ბურთი არ ითვლებაო.

მატჩს ვიდეოკამერით იღებდა მწვრთნელი **ნიკოლოზ ჯანდიერი**, რომელმაც გვითხრა: ფირი უკან გადავახვიე და ბადესთან შეხება ვერ შევნიშნეო...

ბათუმელები საპირისპიროს ამტკიცებდნენ...

ასეა თუ ისე, იმ ეპიზოდის მერე „აგრარულის“ კალათბურთელებმა ჯარიმები ისროლეს და ბურთიც მათ დარჩათ. შესაბამისად, მათი 4-ქულიანი უპირატესობა 8 ქულამდე გაიზარდა და დარჩენილ 2 წუთში სტუმრებმა სიტუაციის გამოსწორება ველარ შეძლეს.

მომდევნო მატჩში თბილისის „დინამო“ „ჭიათურას“ კარგად დაუხვდა და 83:58 დაამარცხა. ამ მატჩში დინამოელმა **ნოდარ სიგუამ გიორგი გაფრინდაშვილის** რეკორდი გაიმეორა: 11 პასი მიითვალა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელად „აგრარულის“ ორმაგდუბლოსანი რიჩარდ მათიაშვილი დავასახელეთ: 19 ქულა, 15 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება.

**27 თებერვალი, თბილისი**
სპორტის სასახლე

**აგრარული-ბათუმი 75:62**
19:17, 19:17, 18:17, 19:11

აგრარული: გულისაბედაშვილი (10ქ, 3ჩ), ჩაჩიბაია, წივწივაძე (25ქ, 7მ, 7პ), ნინიაშვილი (7ქ, 7მ), ათანელიშვილი (11ქ, 6მ), დიდია (3ქ, 7მ, 2დ), მათიაშვილი (19ქ, 15მ), კანდელაკი

ბათუმი: ვ. მაისურაძე (7ქ), ლეჟავა (12ქ, 3პ, 3ჩ), თავართქილაძე (8ქ, 5ფ), კეშელავა (9ქ), ნინუა, ბოლქვაძე (5ქ, 2დ), იმნაძე (14ქ, 10მ), როდუმტა (7ქ, 7მ, 4ჩ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი
კომისარი: რ. ხომერიკი

**სამედ/აკადემია-შსს 65:81**
24:23, 11:25, 16:12, 14:21

სამედ/აკადემია: ს. ლეჟავა (5ქ), ლომოური (15ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (8ქ, 4პ), ბექაური (9ქ, 6მ, 5დ), ჯავახიშვილი (5ქ, 6მ), ელიაძე (13ქ), მაისურაძე (5ქ), ჩქარეული (4ქ), ღვალაძე (1ქ), ჭიჭვეიშვილი

შსს: დ. ბერიშვილი (7ქ, 7პ, 3ჩ), ლაფანაშვილი (7ქ, 8მ, 4ჩ), ი. ბერიშვილი (6ქ), კორკოტაძე (3ქ), შერმადინი (6ქ), ყველაშვილი, სუხიშვილი (8ქ, 13მ, 3პ), ათუაშვილი (20ქ, 7მ, 2დ), ნიკოლაძე (24ქ, 5მ), ფაიქრიძე, მიქაბერიძე, ვ. ბერუაშვილი

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. სადღობელაშვილი
კომისარი: თ. ქიქოძე

**ჭიათურა-დინამო 58:83**
15:12, 11:23, 19:19, 13:29

ჭიათურა: ფ. გურული (10ქ, 5პ), არონია (4ქ, 5მ, 4პ), ხაჩიური (1ქ), ენუქიძე (12ქ, 9მ), დოლიძე (12ქ), სვანიძე (2ქ), გაბუნია, მჭედლიშვილი (2ქ), თავამაიშვილი (15ქ, 14მ)

დინამო: ხანიაშვილი (19ქ, 6მ, 4პ, 4ჩ), ნანიტაშვილი (2ქ, 3პ), ეძგვერაძე (11ქ, 3ჩ), სიგუა (12ქ, 11პ, 4ჩ), ცაგარეიშვილი (3ქ), გემაზაშვილი (14ქ, 5მ), ჩაველაშვილი (4ქ), დეკანოიძე (2ქ), ლონდარიძე (13ქ, 12მ), კოპალიანი (3ქ, 6მ)

მსაჯები: მ. ანდღულაძე, გ. მიქელაძე
კომისარი: მ. რატიშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 14 | 14 | 0 | 1319/872 | 28 |
| 2. აგრარული | 14 | 12 | 2 | 1182/1000 | 26 |
| 3. თსუ | 14 | 11 | 3 | 1218/1015 | 25 |
| 4. ბათუმი | 14 | 8 | 6 | 1120/999 | 22 |
| 5. შსს | 14 | 8 | 6 | 1130/1020 | 22 |
| 6. სოხუმი | 14 | 5 | 9 | 943/1048 | 19 |
| 7. დინამო | 14 | 5 | 9 | 1008/1163 | 19 |
| 8. ავიამშენი | 14 | 4 | 10 | 770/829 | 18* |
| 9. სამედ/აკად. | 14 | 2 | 12 | 909/1095 | 16 |
| 10. ჭიათურა | 14 | 1 | 13 | 817/1375 | 15 |

*მეორე წრეში „ავიამშენს“ ყველა მატჩში ეთვლება ტექნიკური წაგება - 0:20.*

## ქართველი NBA-ში



**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ გასულ კვირაში მეორედ „ჩააგდო“ მეოთხე პერიოდი: „დალასთან“ საშინაო შეხვედრაში ბოლო რაუნდის მეოთხე წუთისთვის 15 ქულის სხვაობით იგებდნენ (86:71). როგორც წესი, NBA-ს საპლეიოფი გუნდები ასეთ ფორას არ ანიავებენ, თუმცა **დირკ ნოვიცკიმ** და **ჯეისონ კიდმა** სირენამდე 56 წამით ადრე ტეხასელები 99:97 დააწინაურეს. მატჩი დამატებით დროში ატლანტელი **ჯოშ სმიტის** ორქულიანმა გადაიყვანა - 99:99.

# 99:99 და დირკ ნოვიცკი

ოვერტაიმის დასაწყისში იმავე ნოვიცკიმ ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ შორეული ტყორცნა გამოიყენა, მას **ბარეაც** დაეხმარა და „დალასი“ 7:0 გაიქცა. საბოლოოდ, 111:103 სტუმართა სასარგებლოდ.

ნოვიცკიმ 37 ქულა ჩააგდო. ზაზა ფაჩულიამ კი ოდენ 6 წუთი ითამაშა.

„ატლანტა“ მომდევნო მატჩს დღეს, გამთენიისას ჩაატარებდა, „მილუოკის“ დაუხვდებოდა.

**ატლანტა-დალასი 103:111 დ.დ.**
ზაზა ფაჩულია: 6 წუთი, 1 მოხსნა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:24 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:29 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:49 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |
| 00:00 | ზაზამ კროუფორდი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 00:37 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:24 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

## ლეგიონი

**გერმანიის ჩემპიონატი**

**მიტელდოიჩერი-ალბა 71:69**
ლაშა გამყრელიძე: 17 წუთი, 10 ქულა, 2 პასი, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 5 ფოლი

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ-პესარო 81:93**
მანუჩარ მარკოიშვილი: 37 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება

**ვირტუსი-ტერამო 77:67**
ვიქტორ სანიკიძე: 18 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ვალენსია-ფუენლაბრადა 84:71**
ნიკა ცქიტიშვილი: 17 წუთი, 8 ქულა, 1 მოხსნა

**კახასოლი-ბარსელონა 64:76**
ტაირონ ელისი: 23 წუთი, 3 მოხსნა

## საქველმოქმედო მატჩი

# ვარსკვლავების დაბრუნება

**საქველმოქმედო მატჩი**

**მუქები-თეთრები 74:63**
31:29, 43:34

მუქები: ჟღენტი (11), ფერიაშვილი (12), ორმოცაძე (10), ჩაჩხიანი (3), შენგელია (4), ჩერქეზიშვილი (2), გაგნიძე (8), გოგობერიშვილი (13), ღლონტი (11), ხეცურიანი
*მწვრთნელი:* გივი ბიჭიაშვილი

თეთრები: გურასპაული (4), ქორქია (6), ცაგარეიშვილი (1), ნაცვლიშვილი (8), დერიუგინი (10), თორთლაძე (1), კოკოლიშვილი (13), მარკოიშვილი (5), ბერუაშვილი (12), გაბისონია (3)
მწვრთნელი: გია სანაძე
მსაჯი: მაკა კუპატაძე

„კალათბურთის განვითარების ფონდმა“ საინტერესო ღონისძიება მოაწყო: თბილისის სპორტის სასახლეში შეკრიბა ახლო წარსულის საუკეთესო კალათბურთელები და მაყურებელს ლამაზი სანახაობა უჩვენა.

ლურჯ-ყვითელ მოედანზე ერთმანეთს „შეერკინენ“ **ნიკოლოზ დერიუგინი** და **კახა შენგელია**, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ნაკრებში ერთად თამაშობდნენ. **ნიკო ჩერქეზიშვილი დავით თორთლაძეს** მეურვეობდა, **ვატო ნაცვლიშვილი - ამროსი ორმოცაძეს**...

...და რაც მთავარია, ვეტერანთა რიგებში გადასული კალათბურთელები ურიგო კონდიციებში ნამდვილად არ იყვნენ. თავად განსაჯეთ: მატჩის პირველი სამქულიანი ჩააგდო **ნოდარ ქორქიამ**. შორეული ტყორცნებით ძველებურად გამოირჩეოდნენ **არჩილ ჟღენტი, ნუგზარ კოკოლიშვილი, რამაზ გოგობერიშვილი**...



ზურაბ გრძელიძე

დარბაზში მისულმა 2 ათასამდე ქომაგმა იხილა ეფექტური პასები, ჩაჭრები, დაფარებები. ორი რამ, რაც მიგვანიშნებდა, რომ მოედანზე ვეტერანი კალათბურთელები იყვნენ, მატჩის ტემპი და ჩატენვების სიმწირე იყო. წონაში მომატებული კალათბურთელები ძველებურად ველარ „დაფრინავდნენ“.

შეხვედრა ორი ტაიმისგან შედგებოდა, თითო 15 წუთი. ყოველი წუთშესვენებისას დამსწრე საზოგადოებას ქართული და უცხოური ცეკვები ართობდა. სპორტის სასახლეში იმღერეს ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა. საღამოს წამყვანმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** შეხვედრის მსვლელობისას მონაწილეთა ბიოგრაფიებიდან საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა. იგი დროდადრო გვახსენებდა კალათბურთის განვითარების ფონდის ნომერსაც: 700-367.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ფრეც დაფიქსირდებოდა, მე-15 წუთის ბოლო წამზე რამაზ გოგობერიშვილის პასით კახა შენგელიას ორქულიანი რომ არ ჩაეგდო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ორმოცაძის, **ფერიაშვილისა** და ჩერქეზიშვილის ზუსტი თამაშის წყალობით „მუქებმა“ 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 47:37. წუთშესვენების შემდეგ „თეთრებმა“ 11:0 სპურტი მოაწყვეს (კოკოლიშვილმა ორი სამქულიანი ჩააგდო) და 48:47 დაწინაურდნენ. მატჩის დასკვნით მონაკვეთში ისევ „მუქებმა“ იყოჩაღეს და საბოლოოდ 74:63 მოიგეს.

ვინაიდან მატჩი საქველმოქმედო იყო, შესული თანხა ბავშვთა კალათბურთს უნდა მოხმარდეს. მატჩის მნიშვნელობაზე ისაუბრა მსოფლიოს ჩემპიონმა **ნიკოლოზ დერიუგინმა**:

*„საინტერესო საღამო იყო. ვეტერანმა კალათბურთელებმა ერთმანეთი ვნახეთ და ძველი დრო გავიხსენეთ. ბავშვთა კალათბურთის განვითარება სპორტის ამ სახეობის წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.*

ბოლოს „კალათბურთის განვითარების ფონდის“ დამფუძნებელ **დავით მურჯიკნელს** მოვუსმინოთ:

*„ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ვეტერანი კალათბურთელების ბავშვებისთვის გაცნობა. პატარებმა უნდა იცოდნენ, ვინ მოიტანა კალათბურთი დღემდე. დარბაზში 2 ათასამდე მაყურებელი მოვიდა და, ვფიქრობ, საინტერესო სანახაობა იხილა. ეს ერთჯერადი აქცია არ იყო. მსგავსი ღონისძიებები კიდევ მოეწყობა“.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



კახა შენგელია და ნიკოლოზ დერიუგინი

## მილოცვა

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაბადების 70 წელს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს და პრიზიორს, ევროპის თასების თასის ფინალისტს, სპორტის აკადემიის სპორტული თამაშების კათედრის ყოფილ გამგეს, წიგნების ავტორს კალათბურთის მეთოდიკაზე, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორ **ანტონ კაზანჯიანს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდო | პრალის მსოფლიოს თასი



# ლიპარტელიანმაც გაისროლა

როგორც იქნა, ვალერი ლიპარტელიანმაც (90) გაგვახარა წარმატებით - გუშინ საღამოს პრალის მსოფლიოს თასი მოიგო. ძიუდოს ქართველ ქომაგს შეხსენებაც არ უნდა, რომ ლიპარტელიანი დღეს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იმედია, ის კი ბოლო ხანებში საკმაოდ სუსტად გამოდიოდა. ვიმედოვნებთ, მისი წარუმატებელი სერია დამთავრდა და ეს გამარჯვება შემობრუნების დასაწყისად იქცევა. თუმცა ამ გამარჯვებამ თავბრუ არ უნდა დაახვიოს არც ქომაგს და უპირველესად, თავად სპორტსმენს. მოულოდნელად პრალის ტურნირი საკმაოდ სუსტი გამოდგა - საერთოდ არ გამოსულან ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა იაპონია, ბრაზილია, ეგვიპტე, კუბა, ალჟირი, ხოლო სხვები შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ. თვით 90-შიც არ ჭიდაობდა რამდენიმე ლიდერი, ხოლო ვისაც ჩვენებურმა მოუგო, ვეჭვობთ, იმათგან ყველამ მიაღწიოს მწვერვალებს, თუმცა თვით ლიპარტელიანის ჭიდაობაშიც შეინიშნებოდა პროგრესი - ალარც ისე ულვთოდ დაღლილა; უკვე მეორე ტურნირია, თითქოს უფრო დაკვირვებულადაც ჭიდაობს, ძველებურად არ ჩქარობს და ტემპსაც უფრო აკონტროლებს. რაც მთავარია, ისევ უმეტესად ამოსმულების იმედით ქულებიც ბლომად დააგროვა. განსაკუთრებით, ტურნირის პირველ ნახევარში, როცა სამივე ბრძოლა წმინდად მოიგო - ბელარუსი **ანდრეი კიპტსევიჩი** უსწრაფესად დააიპონა, წუთზე ცოტა მეტი გაუძლო ავსტრიელმა **კრისტოფ კრონბერგერმა**, ფრანგი **რომან ვოლსკა** კი ორჯერ ვაზარიზე დააგდო. ამის შემდეგ უფრო გაუჭირდა ქულების მოპოვება - რუს **მურატ გასიევს** ორი იუკო აართვა, ნახევარფინალში კი იმ გერმანელ **რობერტ დუმკეს** აჯობა იუკოთი, რომელმაც პირველ წრეში **საბა გავაშელიშვილი** დაამარცხა. ფინალში დინჯი, დაკვირვებული ჭიდაობით უშანსოდ დატოვა ლიტველი **კაროლის ბაუზა** - ჯერ გაფრთხილებებით იუკო აართვა, მეორე იუკო უკვე გდებით მიითვალა, ბოლოს კი მეტოქე მესამედაც გააფრთხილებინა, რამაც ვაზარი მოუტანა. პარალელურად, ბაუზას ისეთი მომენტიც კი არ ჰქონია, სერიოზული საფრთხე შეექმნა მისთვის.

ვფიქრობთ, ამ შედეგით 90-ში კონკურენციაც გადაიჭრა, რადგან გავაშელიშვილი პირველივე წრიდან გამოვარდა დუმკესთან წაგებით.

ამავე წონაში კიდევ ერთმა ქართველმა იჭიდავა - საკუთარი ხარჯებით წასულმა **ზვიად გოგოჭურმა** და არცთუ ურიგოდ - გერმანელ **აარონ შილდებრანდს** წმინდად მოუგო, მაგრამ იქვე თვითონაც დამარცხდა უკრაინელ სამგზის ევროპის ჩემპიონ **ვალენტინ გრეკოვთან.**

ჩვენი გუნდიდან მეშვიდე ადგილებზე **ლევან ნიკლაური** (81) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) გავიდნენ, რითაც, სავარაუდოდ, გაინაღდეს კიდეც საევროპო ნაკრებში ადგილი. ნიკლაურს ეს აქამდეც განაღდებული ჰქონდა, ახლა კი, ვფიქრობ, ჟორჟოლიანმაც გაინაღდა. ამ საქმეში საბოლოო სიტყვა მაინც ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** უნდა თქვას, მაგრამ ჟორჟოლიანმა „ზამთრის სეზონში" კონკურენტებს აჯობა. მართალია, ახლა უმედლოდ დარჩა, მაგრამ მანამდე სამ დიდ ტურნირზე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი - საქართველოს ჩემპიონატზე, კანოს მემორიალსა და მასტერსზე. მისმა კონკურენტებმა - ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა, დავით ლორიაშვილმა** და **ნოდარ მეტრეველმა** ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

>> მე-17 გვერდზე

თავისუფალი ჭიდაობა

# დავით ბიჩინაშვილი
# მთელი ცხოვრება მოჭიდავე ვერ იქნები...
## გერმანიაში ვერავინ დაგეხმარება, ყველაფერს შენით უნდა მიაღწიო

**მისი ისტორია** დაკარგული თაობის ტიპური ისტორიაა - 19 წლის თბილისელი ბიჭი საქართველოდან 1995 წელს წავიდა უკრაინაში, სადაც მეგობარმა, ვალერი ერაძემ მიიწვია სპორტული კარიერის გასაგრძელებლად. ის ახალგაზრდებში უკვე ევროპის ვიცე-ჩემპიონი იყო, წინ კი არაერთი გამარჯვება ელოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა, თუმცა მაშინ მიგრაციის ტალღა ისე სწრაფად მიჰქროდა, მისი შეჩერება არავის შეეძლო. სამხედრო საბჭოთი, „მხედრიონით", სამოქალაქო თუ სამამულო ომებით და ათასი უბედურებით გათანგულ ქვეყანას აწმყო ხომ თრგუნავდა, ვერც მომავალში ხედავდა შვებას. მაშინ საქართველოში ჭიდაობისთვის არავის ეცალა და როცა მეგობარმა უკრაინიდან დაურეკა, დიდხანს არ უფიქრია... ასე დაიწყო კიდევ ერთი ქართველის მამლუქობის ისტორია, რომელმაც მისი გზები თანამემამულეებთან არაერთხელ გადაკვეთა. ამის მიუხედავად, მისთვის საქართველო დღემდე სამშობლოდ დარჩა, ქართველები კი თანამემამულეებად, რომლებთანაც მუდმივად ინარჩუნებდა ახლო ურთიერთობას...

უკრაინაში უფროსებში ორჯერ ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ერთხელ ბრინჯაოც მოიპოვა, მაგრამ საკუთარ ფესვებს მოშორებულს მაინც უჭირდა, ნაკრებში მოსახვედრად მაინც გამუდმებით ეკლიან გზაზე უწევდა სიარული... „ძმა და მოყვარე უკრაინა" არც ძმად შეხვედრია და მით უფრო - არც დედად. იმ წლებში საქართველოში დაბრუნებაზეც უფიქრია, მაგრამ ამის ნაცვლად... გერმანიაში ამოყო თავი! აი, დედად კი სწორედ გერმანია შეეგება - იქაურ კლუბებთან ისედაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა, 2002 წლიდან კი იქაური მოქალაქეც გახდა, ოღონდ მხოლოდ პასპორტით, თორემ ეროვნებით, გულით, სულით მაინც ქართველია. ბედისწერაც თან სდევდა - ტურნირებზე ყველაზე მეტად ქართველებთან შეხვედრას გაურბოდა, მაგრამ წილისყრა ყოველთვის მათ ახვედრებდა. თან მის წონაში რევაზ მინდორაშვილი ჭიდაობს, მისი ერთ-ერთი გამორჩეული მეგობარი. პირველხარისხოვან ტურნირებზე ისინი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და უმეტესად რეზომ გადაუღობა მედლისკენ მიმავალი გზა.

ალბათ, უკვე მიხვდით - ლაპარაკია თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილზე (84), რომელიც რამდენიმე დღით მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა. იქ, სადაც მისი საჭიდაო კარიერა დაიწყო - ჯერ გლდანში, შოთა კოტორაშვილის ხელმძღვანელობით, მერე ან უკვე ყოფილ „შრომით რეზერვებში" ვანო ნიკოლაძესთან, დაიხვეწა, შემდეგ უკრაინაში გაგრძელდა და ახლა გერმანიაში სრულდება. უკრაინაში მან ქართული ოჯახიც შექმნა - აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველთან და დღეს ორ ვაჟკაცს ზრდის. ჯერჯერობით გერმანიაში, მაგრამ თავის მომავალს მაინც საქართველოში ხედავს. ჩვენი ინტერვიუც თბილისის ფალავანთა კლუბში შედგა, მორიგი ვარჯიშის დასრულებისას.



### ...მაგრამ ატლანტაში მაინც ჩემი კონკურენტები წაიყვანეს

**- თავდაპირველად, როცა უკრაინაში მიდიოდით, თუ ფიქრობდით, რომ საზღვარგარეთ ამდენი ხნით დარჩებოდით?**

- არა, ნამდვილად არ ვფიქრობდი ასე, არ მსურდა დიდი ხნით დარჩენა. ვფიქრობდი, სამ-ოთხ წელიწადში დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ 2001 წლამდე დავრჩი უკრაინაში. პარალელურად გერმანულ კლუბებში ვჭიდაობდი - „ლარკუბახში" და „ჰასლახში". 2002 წლიდან გერმანიის მოქალაქეობა მივიღე და ბევრად ძლიერ პროფესიულ კლუბებში გადავედი - ჯერ „შიფერშტადში", სადაც ოთხი წელიწადი ვიჭიდავე, ვიდრე უსახსრობის გამო არ დაიშალა და მერე „აალენში"...

**- საბერძნეთში გადასულ ემზარ ბედინეიშვილთან?**

- კი, ბედინეიშვილთან ერთად ვჭიდაობ. იქ უკვე მეხუთე სეზონს ვატარებ, წლეულს კი გორელი ამირან ელბაქიძეც დავიმატეთ და ბუნდესლიგაც მოვიგეთ.

**- უკრაინაში საქართველოდან წასულ მოჭიდავეებს პატარა სათვისტომო გქონდათ და არ გაგიჭირდებოდათ. მაშინ ხომ იქაურ ნაკრებში რამდენიმე აქაური ჭიდაობდით, რასაც ბერძნულ-რომაულში, ძიუდოში თუ სხვა სახეობებში მოვარჯიშე ქართველებიც ემატებოდნენ...**

- ქართველები მართლავ ბევრნი ვიყავით - მე, ზაზა ზოზიროვი, გურამ მჭედლიძე, მერაბ ვალიევი, ბესიკ ირემაძე... ერთმანეთში ხშირი მიმოსვლაც გვქონდა, ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობდით და ამ მხრივ არ გვიჭირდა, თუმცა საკუთარი სახლი მაინც სხვაა და აქეთ ყოველთვის მიწევდა გული. იყო პერიოდი, როცა მთელი ხუთი წელიწადი ვერ ჩამოვდიოდი აქეთ - იქით ბუნდესლიგა, ის დამთავრდებოდა და ევროპა-მსოფლიოსთვის ვიწყებდი ვარჯიშს. ამიტომ აქეთ ჩამოსასვლელად არ მეცალა და ძალიან ვნერვიულობდი. საბედნიეროდ, ახლა ვითარება შეიცვალა და ბოლო რვა თვის განმავლობაში უკვე მესამედ ვიმყოფები საქართველოში. უკრაინის ნაკრებში მართლაც ხშირად ვიყავით ერთად რამდენიმე აქაური. 1996 წელს დიდებში პირველად მოვიგე უკრაინის ჩემპიონატი. ეს ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი იყო - გამარჯვებული ატლანტის ოლიმპიადაზე მიდიოდა. მაშინ ყველას ყურადღება ფავორიტების - სერგეი გუბრინიუკის და ელდარ ასანოვისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ჩემპიონი მე გავხდი - ორივეს მოვუგე, თუმცა ფედერაციის მაშინდელმა თავკაცმა ბორის შავლოხოვმა მაინც სახლში დამტოვა. მითხრა, შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარო. მაშინ 21-ის ვიყავი, ახალგაზრდებიდან ახალი გადასული უფროსებში და ეროვნულ ნაკრებში პირველხარისხოვან ტურნირებზე ჯერ არ მეჭიდავა. საერთაშორისო შეჯიბრებებში კი მქონდა მონაწილეობა მიღებული, მაგრამ ევროპა-მსოფლიოზე - არა და ისე გამოდიოდა, დებიუტი პირდაპირ ოლიმპიადაზე მიწევდა. ალბათ ამიტომაც ვერ მენდნენ, თუმცა მიზეზად საბუთებიც დაასახელეს - ეს ამბავი თვენახევრით ადრე მოხდა და საბუთების გაკეთებას ვერ ვასწრებთო. არადა, კარგ ფორმაში ვიყავი - მთელი წელიწადი გულმოდგინედ ვემზადებოდი ალეკო ავსაჯანიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ ატლანტაში მაინც ჩემი კონკურენტები წაიყვანეს, ადგილზე გადავწყვეტთ, რომელი იჭიდავებსო. საბოლოოდ გუბრინიუკი აჭიდავეს, მაგრამ წარუმატებლად გამოვიდა, მე კი ეროვნულ ნაკრებში 1997 წლიდან დავმკვიდრდი.

**- ასეთი გულსატკენი მომენტები ხშირად იყო?**

- ხშირად არა, მაგრამ მაინც იყო. უფრო ადრეულ წლებში, როცა ახალგაზრდა ვიყავი. ნაკრებში მოსახვედრად თითქმის მუდმივად მჭირდებოდა საკონტროლო შეხვედრა. ვიგებდი ყველაფერს - ტურნირი იქნებოდა თუ ჩემპიონატი, მაგრამ უკვე ვიცოდი, გუნდში დასაყენებლად ეს არ იყო საკმარისი და კიდევ ერთი შეხვედრა უნდა მომეგო. თავიდან მიჭირდა ეს ყველაფერი, ბოლოს კი ფსიქოლოგიურად შეგუებული ვიყავი ამას და პრობლემები არ მქონია - იმ საკონტროლოებსაც ვიგებდი და მაინც ვხვდებოდი ნაკრებში.

### ახალგაზრდებს მკაცრად სთხოვენ, წარმატებულთ შეღავათებს აძლევენ

**- ალბათ, გერმანიაშიც ასეთი დამოკიდებულების გამო ნახვედით...**

- ძირითადად კი. თან გერმანელებიც დაინტერესდნენ ჩემით და ჯერ კიდევ 1998 წელს შემომთავაზეს გადასვლა. რამდენიმე წელიწადი ეს ვერ მოვახერხე. ამას უკრაინის ფედერაციაში არეულობაც დაემატა - ჩვენი პრეზიდენტი შავლოხოვი ჯერ დაიჭირეს, მერე სულაც მოკლეს. მეც 2002 წელს გერმანიის მოქალაქეობა მივიღე, რადგან იქ ბევრად უკეთესი დამოკიდებულება იყო და შტუტგარტის ახლოს, ქალაქ აალენში გადავსახლდი.

>> მე-17 გვერდზე

ქართული სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

# დავით ბიჩინაშვილი
# მთელი ცხოვრება მოჭიდავე ვერ იქნები...

« მე-16 გვერდიდან

**- გერმანელები დისციპლინით ცნობილი ხალხია, რასაც ქართული მენტალიტეტი ხშირად ვერ ეგუება. გერმანულ რეჟიმს როგორ შეეგუეთ?**

- გარკვეული დიფერენცირება იქაცაა - ახალგაზრდებს ბევრად მკაცრად სთხოვენ, წარმატებულ სპორტსმენებს კი შეღავათებს აძლევენ. თან თუ ხედავენ, რომ შრომობ, ვარჯიშობ და არ ზარმაცობ. ამასაც ითვალისწინებენ. ამიტომ მე ეგ პრობლემა არ მქონია.

**- სპორტული კარიერის გაგრძელებას დიდხანს აპირებთ?**

- ლონდონის ოლიმპიადამდე ბევრიც არაფერი დარჩა - გაისად უკვე სალიცენზიო მსოფლიოს პირველობაა. ჯერჯერობით გერმანიის პირველობისთვის ვემზადები, რომელიც მარტის შუა რიცხვებშია, თუმცა ევროპის პირველობაზე, შეიძლება, არ გამოვიდე. ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე ნაკრების ახალდანიშნულ თავკაცს, ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდერ ლეიპოლდს, რომელსაც, გემახსოვრებათ, სიდნეიში გამარჯვების შემდეგ ის ტიტული დოპინგის გამო ჩამოართვეს. გერმანიის ჩემპიონატში გამოსვლა აუცილებელია, რადგან უამისოდ ნაკრებში მოხვედრა გამორიცხულია - ევროპაზეც და მსოფლიოზეც. ადრე კი მქონდა შემთხვევა, როცა ტრავმის გამო გამოვტოვე და მერე მაინც დამაყენეს, მაგრამ ამას ბევრი უკმაყოფილო ლაპარაკი მოჰყვა. არ მინდა, ამჯერადაც ასე იყოს, თორემ ევროპის ჩემპიონატისგან დასვენებას ვფიქრობ. მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არც ეს საკითხია. კარიერის განმავლობაში ევროპის პირველობაზეც ბევრჯერ მიჭიდავია და მსოფლიოზეც. ამიტომ გამოცდილების მიღების ინტერესი არ მაქვს, ამ დროს კი არიან ახალგაზრდები, რომლებსაც აინტერესებთ ის ტურნირები. აჯობებს, ისინი წავიდნენ და ნახონ ევროპის ჩემპიონატი. თუმცა გერმანიის ჩემპიონატს მაინც ვიჭიდავებ.

**- კარიერის განმავლობაში ქართველებთანაც ბევრჯერ მოგიწიათ ურთიერთობამ...**

- ლეიბის გარეთ ახლო მეგობრები ვართ, ლეიბზე კი მეტოქეები - ეს წესია და ამას არაფერი ეშველება. ხალიჩაზე ყველა მოსაგებად გავდივართ. აქაც რომ ვიყო, აქაც ხომ ქართველები იქნებიან და მათთანაც მოსაგებად გავალ. თუმცა, სადაც უნდა ვიყო, გული ყოველთვის აქეთ მაქვს; რა დონის ტურნირზეც უნდა გამოვდიოდეთ, უფრო ქართველებს ვქომაგობ, ვიდრე უკრაინელებს ან გერმანელებს, მაგრამ ლეიბზე რომ ვდგავარ, იქ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ. წინააღმდეგ შემთხვევაში აჯობებს, საერთოდ არ იჭიდაო. საქართველოს და აქაურობის დავიწყება არ შემიძლია - პირველი ნაბიჯებიც აქ გადავდგი და ქართველმა მწვრთნელებმაც ძალიან ბევრი რამ გამიკეთეს. ამას ვერ დავივიწყებ.

**- აქ რომ დარჩენილიყავით, იქნებ ამ კონკურენციის, აქაური მწვრთნელების ხელში მეტისთვის მიგეღწიათ. ამაზე თუ გიფიქრიათ და დაბრუნების სურვილი თუ გაგჩენიათ?**

- ამაზე ბევრიც მიფიქრია და შედეგებიდან გამომდინარე, ბევრიც მინანია. გადაჭრით ვერ ვიტყვი, აქ დარჩენით მივაღწევდი თუ არა მეტს, იქნებ საპირისპიროდაც მომხდარიყო, მაგრამ აქაურ ვარჯიშებს რომ ვუყურებ, სულ სხვა დატვირთვაა, სხვა განვითარება, სხვა კონკურენტები... ამიტომ ვფიქრობ, რომ უკეთესი შედეგები მექნებოდა, თუმცა ცხოვრების უკან დატრიალება შეუძლებელია - წარსულს ვერავინ დააბრუნებს. ამას დღესაც ვნანობ და ყოფილა დაბრუნებაზეც მიფიქრია. 1997 წელს თითქოს მზად ვიყავი დასაბრუნებლად, მაგრამ იმ სეზონში ევროპაზე ბრინჯაო, მომდევნო წელს კი ვერცხლი მოვიპოვე და შევრჩი. მერე საქართველოში კონკურენციაც გაიზარდა, რევაზ მინდორაშვილი ლიდერად იქცა, რომელმაც დიდ ტურნირებზე სამჯერ მომიგო და მხოლოდ ერთხელ დავამარცხე. აქ რომ დავბრუნებულიყავი, ძალიან მძიმე კონკურენცია მელოდა და სპორტიდან დაკარგვის დიდი საშიშროება არსებობდა.

## ჩემს კარიერაში ეს ყველაზე მწარე მარცხი იყო...

**- ალბათ, ქართველებთან შეხვედრაც არ იქნებოდა იოლი. მით უფრო, მეგობართან...**

- ტურნირებზე სულ ვნატრობდი, ქართველებს არ შევხვედროდი, რადგან ფსიქოლოგიურად ძალიან მიჭირდა - საქართველოს დროშა თუ სამოსზე დაწერილი „ჯორჯია" ძალიან მხვდებოდა გულზე. იქით ქართველი მწვრთნელები და მიჭირდა, რა თქმა უნდა. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა დიდ ტურნირზე ვხვდებოდი მინდორაშვილს, პირველივე წრეში თუ არა, მეორეში მაინც.

**- კარიერაში რამდენიმე ფინალი წააგეთ... საკვანძო ორთაბრძოლები სხვა ეტაპზეც წაგიგიათ, თუნდაც იმავე მინდორაშვილთან. რომელი მარცხი გაგონდებათ ყველაზე მწარედ?**

- პეკინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის შეხვედრა რუსეთის წარმომადგენელ გიორგი კეტოევთან, რომელიც ასევე ქართველია. პირველი პერიოდი წავაგე, მეორე მოვუგე და მესამესაც დამთავრებამდე 20 წამით ადრე 2:0 ვიგებდი. სამწუხაროდ, ასე მცირე დროში შეცდომა დავუშვი და კეტოევმა ორქულიანი გდება გამიკეთა. ამით შეხვედრაც მომიგო და ბრინჯაოც მოიპოვა. ჩემს კარიერაში ესაა ყველაზე მწარე წაგება, რადგან ოლიმპიადაზე მედლის მოპოვების შანსი ხშირად არ გეძლევა.

**- როგორც ვიცი, მინდორაშვილი სამკურნალოდაც წაიყვანეთ გერმანიაში.**

- მას რაღაც პრობლემები აქვს და მართლაც იყო ჩემთან სტუმრად ჩამოსული. იმედია, მკურნალობა ნაყოფიერი იქნება და ყველაფერი კარგად დამთავრდება. ის ახლა საფრანგეთშია და 5 მარტს, როცა გერმანიაში დავბრუნდები, ისევ ჩამოვა ჩემთან და ისევ გავაგრძელებთ მკურნალობას. ჩემთვის ადამიანობა და მეგობრობა ყოველთვის მთავარი იყო, სპორტი კი ამის შემდეგაა. სპორტი რამდენიმე წელიწადი გრძელდება, მეგობრობა - მთელი ცხოვრება. სპორტში რაც უფრო წარმატებული გახდები, ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობას თუ მოიპოვებ, მაგას რა ჯობია, მაგრამ მეგობრობაზე წინ ვერაფერს დავაყენებ.

**- ბუნდესლიგის კლუბებში მოწყობაშიც ხშირად ეხმარებით აქაურებს...**

- შეძლებისდაგვარად, როგორც შემიძლია. კლუბის პრეზიდენტი არ ვარ და მწვრთნელი, უბრალო მოჭიდავე ვარ, მაგრამ შესაძლებლობების ფარგლებში ყველას ვეხმარები. როგორც ზემოთ გითხარით, ახლაც ელბაქიძე გამოდიოდა ჩვენს კლუბში. კანდიდატები სხვებიც იყვნენ, უცხოეთში ნაცნობებიც ბევრი მყავს, მაგრამ რატომ მეფიქრა სხვებზე და არა ქართველებზე? ამიტომ აქ გავიკითხე და ელბაქიძე მირჩიეს. აქაც იყო სხვა ვარიანტები, მაგრამ მათ წონის პრობლემები აწუხებთ. არადა, იქ ყოველ შაბათს ბუნდესლიგის შეხვედრებია და ასე გამუდმებით წონას ვერ დაიკლებდნენ. ამიტომ შევარჩიეთ ელბაქიძე. ასეთი შემთხვევა ხშირადაა და ვცდილობ, ყველას დავეხმარო, თუმცა ყველაფერი ჩემზეც არაა დამოკიდებული. ამიტომ ხან გამოდის, ხან - არა.

**- ბუნდესლიგაზეც ვთქვათ, რომელიც წლეულს თქვენი ტრიუმფით დამთავრდა...**

- გერმანიაში ბუნდესლიგა ძალიან პოპულარულია. იქ ყველა შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ნახევარფინალური და ფინალური ეტაპი განსაკუთრებული აჟიოტაჟით ტარდება. ამ დროს მთელი გერმანია ხომ იყრის თავს, შვეიცარიიდან და ავსტრიიდანაც კი ჩამოდიან. იქაც ტარდება ადგილობრივი ჩემპიონატები, მაგრამ ისინი არაა გერმანულივით ძლიერი - ბუნდესლიგაში ძალიან ბევრი მსოფლიო დონის მოჭიდავე გამოდის. მაგალითად, ჩვენს კლუბში უჭიდავიათ ლუკა კურტანიძეს, ქართული წარმოშობისა და ყველა ტიტულის მფლობელ რუს დავით მუსულბესს, შვედ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ არა აბრაჰამიანს, ევროპის ჩემპიონი ბედინეიშვილი ახლაც გამოდის და ამიტომ ძალიან პოპულარულია. წლევანდელმა ფინალმა მაყურებელი ვერ დაიტია და გარეთ დიდი ეკრანი იყო დადგმული, იმდენი ხალხი მოვიდა.



ბიჩინაშვილი: მინდორაშვილს ყველა დიდ ტურნირზე ვხვდებოდი

## ბუნდესლიგის ხარჯზე წლიდან წლამდე იცხოვრებ კარგი მოჭიდავე...

**- ინტერნეტში განთავსებული ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ქომაგებმა აქცენტი ბედინეიშვილზე გააკეთეს. რის გამო, რით დაიმსახურა ასეთი ყურადღება?**

- ჯერ ერთი, მან ბოლო შეხვედრა მოიგო. ამ დროს გამარჯვება გარანტირებული გვქონდა, მაგრამ ბოლო ორთაბრძოლა მაინც მან მოიგო. თან დაამარცხა რუმინელი ლასლო, რომელთანაც გასვლაზე წააგო. ეტყობა, ქომაგებზე ამან იმოქმედა.

**- სამწუხაროდ, ჩვენთან საკლუბო სისტემის გაგონებაც არ უნდათ და არც ფიქრობენ ამაზე გადასვლას. საინტერესოა, იქაური სისტემა როგორაა მოწყობილი ფინანსურად? ვიცი, რომ კლუბები სპორტსმენთა შემოსავლის მთავარი წყაროა.**

- ბუნდესლიგა მართლაც ჩვენი შემოსავლის მთავარი წყაროა. ცხადია, ყველას აქვს სამსახური, მაგრამ ესეც ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა გააჩნია, როგორი მოჭიდავე ხარ და როგორ კლუბში ხარ. თან კრიზისამდე ბევრად უკეთესი ანაზღაურება იყო, თუმცა ბუნდესლიგის ხარჯზე წლიდან წლამდე იცხოვრებ კარგი მოჭიდავე.

**- ფედერაცია ხელფასს თუ გიხდით?**

- არა, არავითარ ანაზღაურებას ფედერაციიდან არ ვიღებ. ფედერაცია ერთი იმაში გეხმარება, რომ ნაკრების წევრი იქაური არმიის სპორტულ კლუბში ხვდები, სადაც ორშაბათიდან პარასკევამდე ბაზაზე ვარჯიშობ და ცხოვრობ. იქ კონტრაქტს გიფორმებენ, როგორც ჯარისკაცს, რაც ასევე დამატებითი შემოსავალია. ფედერაციის მხრიდან ესაა ერთადერთი დახმარება, რასაც ისინი გიწევენ, თუმცა ესეც ნაკრების ლიდერების და განსაკუთრებულად პერსპექტიულების პრეროგატივაა. ფედერაცია სხვა მხრივ სოციალური საკითხების მოგვარებაში არ მონაწილეობს, ეს საქმე მთლიანად კლუბების კისერზეა. იქ ახალგაზრდა, დამწყებ სპორტსმენებს მაინც თავისით უწევთ გზის გაკვლევა და კარიერის პარალელურად სწავლაზე, პროფესიის დაუფლებაზეც ფიქრობენ. მთელი ცხოვრება მოჭიდავე ვერ იქნები. თან შეიძლება, ტრავმა მიიღო და საერთოდ ისე დარჩე, გერმანია კი საქართველოსავით არაა, ვინმე დაგეხმაროს, იქ ყველაფერს შენით უნდა მიაღწიო. ამიტომ ფიქრობენ სწავლაზე და პროფესიაზე.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

პრაღის მსოფლიოს თასი

# ლიპარტელიანმაც გაისროლა

« მე-16 გვერდიდან

ჟორჟოლიანს აქამდე მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძის** აჩრდილილა უფრთხობდა სიმშვიდეს, მაგრამ რაც მან პრაღის ტურნირი გამოტოვა, საევროპო სიიდანაც ამოვარდა. დარჩა მხოლოდ **რევაზ ჩიკოიძე**, რომელსაც ჩეხეთში დებიუტანტის კვალობაზე იქნებ ურიგოდ არ უჭიდავია, მაგრამ მომავალ ჩემპიონთან, ბელარუს **იაუჰენ ბიადულინთან** წააგო და ჟორჟოლიანსაც ჩამორჩა.

ჟორჟოლიანმა საკმაოდ დაძაბული შეხვედრა მოიგო პირველივე წრეში ნაკლებად ცნობილ ესპანელ **დავიდ ბალესტერ პერესთან** - ორივემ თითო ვაზარი მიითვალა, რასაც ჩვენებურმა ორი იუკოც დაურთო. დაახლოებით ასეთივე სურათი განმეორდა მესამე წრეშიც მომავალ ფინალისტთან, რუს **აშხაბ კოსტოევთან**, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ყველაფერი მეტოქის სასარგებლოდ დამთავრდა - თითო ვაზარს მომგებიანი იუკო უკვე რუსმა დაამატა, ჩვენებურმა კი კოსტოევთან შეხვედრამდე ავსტრიელი **ფრანც ბირკფელნერი** დააიპონა. სანუგეშო წრეში ჟორჟოლიანი მასპინძელთან, ახალგაზრდებში მსოფლიოს ზედიზედ ორგზის ჩემპიონ **ლუკას კრპალეკთან** დამარცხდა.

ხუთიდან სამი შეხვედრა მოიგო ნიკლაურმა - რუს **ალექსანდრ ფედოსოვს** ვაზარით გასცდა, ავსტრიელ **ფელიქს შინჰოფერს** იუკოს გარდა ორი ვაზარიც აართვა, უნგრელ **მილან ბურგესთან** კი თვითონ ჩამორჩა ვაზარზე, მაგრამ ამან არ დააბნია. პირიქით - მეტი მობილიზებით შეუტია და უნგრელი იპონზე დასცა. მოლდოველ **ვალერიუ დუმინიცასაც** მედგრად შეუტია და მასაც ვაზარის უგებდა, მაგრამ ბოლოს თვითონ დავარდა იპონზე. სამწუხაროდ, სანუგეშო წრეში არგენტინელ **ემანუელ ლუცენტისთან** წმინდად წააგო და მეხუთეზე დარჩა. უმედლობის მიუხედავად, მანაც და ჟორჟოლიანმაც საკმარისი რაოდენობის შეხვედრები ჩაატარეს და სატურნირო პრაქტიკაც მიიღეს, რასაც ვერ ვიტყვით საევროპო გუნდის კიდევ ერთ გამოკვეთილ კანდიდატ **დავით ასუმბანზე**. ტოტიკაშვილი ჯერ ვენაში წასაყვანი ნაკრების შემადგენლობაზე არაფერს ამბობს, მაგრამ ასუმბანი ჯერ ხომ შედეგებით ისედაც უმთავრესი პრეტენდენტია (მოიგო თბილისისა და პარიზის ტურნირები, გახდა საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი) და თან მწვრთნელმა პრაღაში არც წონა დააკლებინა - 66-ში აჭიდავა. ევროპაზე რომ წავიყვანო, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა დაიკლოს და ამიტომ ამისთვის ახლა არ ვაწვალებო, - გვითხრა წასვლის წინ ტოტიკაშვილმა. სამწუხაროდ, ასუმბანმა პირველივე შეხვედრა წააგო რუმინელ **დან გეორგე ფასიესთან**. ნამდვილად აჯობებდა, მას რამდენიმე წრე მაინც გაევლო.

პრაღაში ზუსტად ერთნაირი გზა გაიარეს ჩვენმა მძიმეწონოსნებმა - **ზვიად ხანჯალიაშვილმა** და **ლაშა გუჯეჯიანმა**. პირველ წრეში ორივე ისვენებდა, მერე ორივემ თითო შეხვედრა მოიგო და მესამიდან ასევე წყვილად გამოვარდნენ. ხანჯალიაშვილმა გაფრთხილებებით ფრანგი **სედრიკ მედეუფი** მოახსნევინა და იტალიელ **პაოლო ბიანკესთან** წმინდად წააგო. გუჯეჯიანმა ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ **იჰარ მაკარაუსთან** დიდი უპირატესობა საბოლოოდ ვაზარში გარდასახა, მაგრამ რუს **დმიტრი სტერხოვთან** წმინდად დამარცხდა.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან გამოვარჩევთ **პაატა მერებაშვილს** (60), რომელმაც საკმაოდ ძლიერი ბრიტანელი **ეშლი მაკენზი** დააიპონა, მაგრამ მერე თვითონაც პირწმინდად დამარცხდა კანადელ **ფრაზერ ვილთან**. ასევე თითო შეხვედრები მოიგეს **შალვა ქარდავამ** (66) და **დავით კარბელაშვილმა** (81), **მინდია ხომიზური** (66) და **თენგიზ პაპოშვილი** (73) კი პირველივე წრიდან გამოვარდნენ.

ამით საქართველოს ნაკრებმა ზამთრის სეზონი დაამთავრა, პრაღის ტურნირზე კი გუნდურში მეოთხეზე გავიდნენ კორეის, უკრაინისა და იტალიის შემდეგ. გუნდი დღეს დაბრუნდება ჩეხეთიდან და ლამის პირდაპირ ბაკურიანში გაემგზავრება ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, რასაც მერე კიდევ ორი შეკრება მოჰყვება დუშეთსა და ბორჯომში.

ამ უქმეებზე სეზონში პირველ უცხოურ ტურნირში გამოვიდა ჩვენი ძიუდოისტ ქალთა ნაკრები, მაგრამ ისევე წარუმატებლად, როგორც - ადრე. ქალებმა ვარშავაში იჭიდავეს იქაურ მსოფლიოს თასზე, რომელთა შორის სამი ქართველიც იყო, მაგრამ სამივე - **სალომე წოწკოლაური** (70), **ნინო ოძელაშვილი** (78) და **ირინა ლეონიძე** (+78) - პირველივე შეხვედრაში დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კრივი

# რეპეტიცია ბაქოში ბაქოსთვის

ხვალ ბაქოში A კლასის საერთაშორისო ტურნირი იწყება ახალგაზრდებს შორის. 20 აპრილიდან ასევე აზერბაიჯანის დედაქალაქში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება და ამიტომაც ამ ტურნირს ბევრი ქვეყანა პლანეტის პირველობის გენერალურ რეპეტიციად განიხილავს.

*„ბაქოში არაერთი ძლიერი საკრივო ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ და ჩვენი ბიჭებისთვის მათთან ბრძოლა დიდი გამოცდილება იქნება. ამ ეტაპზე ჩვენთვის შედეგებზე მნიშვნელოვანი სატურნირო პრაქტიკაა, მაგრამ, ბუნებრივია, თითოეული ქართველი მოკრივე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს“,* - გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბეჟან ჭიჭინავამ**.

საქართველოს ნაკრები ბაქოში ცხრა მოკრივით იასპარეზებს:

51 კგ. **ავთანდილ ჭუბაბრია** (ფოთი)
54 კგ. **გიორგი ყვირალაშვილი** (გურჯაანი)
57 კგ. **ალექსანდრე ჭადაშვილი** (თბილისი)
60 კგ. **ლევან კაზაშვილი** (თბილისი)
64 კგ. **ზურაბ მექერიშვილი** (გურჯაანი)
69 კგ. **გიორგი გიორგაძე** (თბილისი) და **ნიკოლოზ სეხნიაშვილი** (გორი)
74 კგ. **ბესიკ ნოზაძე** (თბილისი)
81 კგ. **ზაზა სტურკი** (რუსთავი)

ეს მოკრივეები მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის მთავარი პრეტენდენტები არიან, მაგრამ სანაკრებო სიაში მცირედი ცვლილებები გამორიცხული არ არის. როგორც ხედავთ, ბაქოს ტურნირზე 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი მოკრივე მიჰყავთ, მათ შორის საუკეთესო და, შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი აზერბაიჯანში გამოვლინდება. მწვრთნელები მათ მიერ ნაჩვენებ შედეგებსაც შეადარებენ და გიორგაძესა და სეხნიაშვილს ერთმანეთს შეახვედრებენ. ეს ბრძოლა ბაქოში გაიმართება და მეტი ობიექტურობისთვის მას უცხოელი მსაჯები განსჯიან.

სანაკრებო სიაში ყველაზე ტიტულოვანი მოკრივე ალექსანდრე ჭადაშვილია, რომელიც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა წლეულს უკვე ორი შეკრება გაიარა. იანვარში გუნდი ბაკურიანში ფიზიკურად მოემზადა, ბოლო კვირები კი დუშეთის ახალაგებულ ოლიმპიურ ბაზაზე გაატარა. ბაქოს ტურნირსა და მსოფლიოს ჩემპიონატს შორის დარჩენილი პერიოდის უმეტეს ნაწილს ქართველი მოკრივეები, სავარაუდოდ, დუშეთში გაატარებენ. ამასთან ერთად, დაგეგმილია ერთობლივი შეკრებები აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებებთან (ბუნებრივია, ცალ-ცალკე). ბაქოდან კი ჩვენი გუნდი 9 მარტს დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თვის მონაგარი

*თებერვალი*

3. ფეხბურთი: ფრანგულ „ლე მანში“ ამირან სანაიას დებიუტი შედგა.

6. რაგბი: ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა 77:3 მოუგო გერმანიის ნაკრებს.

6-7. ძიუდო: ქართველებმა პარიზის „დიდ სლემზე“ თითო ოქროს (დავით ასუმბანი), ვერცხლის (ლევან წიკლაური) და ბრინჯაოს (ირაკლი ცირეკიძე) მედლები მოიპოვეს.

7. ფეხბურთი: გაიმართა ევრო-2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა. ჩვენი მეტოქეები არიან: ხორვატია, საბერძნეთი, ისრაელი, ლატვია და მალტა.

10. ფეხბურთი: გიორგი მერებაშვილი სერბულ „ვოივოდინაში“ ოფიციალურად წარადგინეს.

12. ტრაგედია: ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი ვარჯიშზე დაიღუპა.

13. რაგბი: ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 16:10 დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები.

13-14: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: ერევანში მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრებმა მე-5 ადგილი დაიკავა.

21. ძიუდო: დიუსელდორფის გრან-პრიზე ზვიად ხანჯალიაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

22. ფეხბურთი: გიორგი მერებაშვილმა სერბულ „ვოივოდინასთან“ 2,5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

25. ოლიმპიადა: ელენე გედევანიშვილმა მე-14 ადგილი დაიკავა.

28. ოლიმპიადა: ვანკუვერში დასრულდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

28. ძიუდო: ვარლამ ლიპარტელიანმა პრაღის მსოფლიოს თასი მოიგო.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ათლეტიზმი

# ბორდენთაუნის ოქროს ასპარეზი




**წლების** განმავლობაში ქართველი სპორტსმენები ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ჩვეულებრივ ათლეტიზმში მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატები იმართება. ტრადიციას მათ არც წლეულს უღალატეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ხელშეწყობით საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ჭავჭანიძე**) ამჯერად ბორდენთაუნში (ნიუჯერსის შტატი) სრული შემადგენლობით გაემგზავრა. შეჯიბრებაში 6 ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართველმა ათლეტებმა გუნდურ პირველობასთან ერთად 9 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ლევან გილიგაშვილმა** წოლჭიმში ზედიზედ სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა, ასპარეზობა 185 კილოთი დაასრულა და ყველას აჯობა.

**ლევან ციციშვილმა** (90 კგ) ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ჯერ ახალგაზრდებში იასპარეზა და წოლჭიმში 150 კილოგრამით ოქროს მედალი დაიმსახურა. უფროსებს ბიცეპსებით წონით აწევაში გაეჯიბრა და მსოფლიო მიღწევას ერთბაშად 20 კილოგრამით გადააჭარბა. ცხადია, აქაც (97 კგ.) პირველი ადგილი დაიკავა. ამავე წონაში ვეტერანთა შორის მესამე იყო **ზაზა ქურდაძე**.

ორი მედალი დაიმსახურა **ნიკოლოზ ვეფხვაძემ** (100 კგ.). წოლჭიმში მას „ოქრო“ ერგო, ბიცეპსებით წონის აწევაში კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მსოფლიო რეკორდით **გელა გელაშვილი** (100 კგ, ბიცეპსებით), **თეიმურაზ ლუტიძე** (110 კგ, წოლჭიმი) და **ავთანდილ მამალაძე** (125 კგ, წოლჭიმი). ზემძიმე წონაში სამივე სინჯის მედალი წოლჭიმში ქართველებმა გაინაწილეს: 1. **რამაზ თარაშვილი**, 2. **გერონტი ჯმუხაძე**, 3. **ნიკოლოზ სარალიძე**. ამავე წონაში ვეტერანთა შორის ჩემპიონი გახდა ზურაბ ჭავჭანიძე.

„ამერიკაში ჩვენი ყოფნისას უწინდელივით მეგზურობას მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონები - ბორის სარალიძე და ვეფხია ჯმუხაძე, ასევე, ამერიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი თეიმურაზ სალიაშვილი გვიწევდნენ. შეჯიბრების შემდეგ ყველანი ნიუ-იორკში გავემგზავრეთ, სადაც საქართველოს საკონსულოს თანამშრომლებს კონსულის რანგში წარუდგა ათლეტიზმში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელი, ჩვენი გუნდის წევრი ნიკოლოზ ვეფხვაძე. დაუვიწყარი მიღება გაგვიმართეს. ნიუ-იორკში მცხოვრებმა ქართველებმა-**ია არველაძის** ინიციატივით საკონსულოს თანამშრომლებიანად ერთ-ერთი ჩვენებურის ოჯახში მიგვიპატიჟეს და ქართული სუფრით გაგვიმასპინძლდნენ. მეტად ამაღელვებელი შეხვედრა იყო...

ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ემზადებოდა ბატონ **გიორგი ხუბუას** ხელშეწყობით. ამერიკიდან დაბრუნებულ სპორტსმენებს უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა სიურპრიზი შემოგვთავაზა - სავარჯიშოდ ახალი კომფორტული დარბაზი დაგვახვედრა. პასუხად ჩვენც ვეცდებით, მომავალში წარმატებები ვამრავლოთ“, - გვითხრა ზურაბ ჭავჭანიძემ. იმედია, ასეც იქნება.

**ვაჟა დანელია**

*P.S. გუშინ მსოფლიო ნატურალური ფედერაციის პრეზიდენტმა ტროი ფორდმა ქართველ კოლეგებს აცნობა, რომ ათლეტიზმში 2011 წლის მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თბილისში გაიმართება. შეჯიბრებისთვის აუცილებელ უახლეს ინვენტარს ერთ თვეში უსასყიდლოდ გამოგზავნიან.*

კარატე

# ჩემპიონის ყველაზე დიდი ოცნება



**ამას წინათ** კარატისტთა საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე (WKF-ის ვერსიით) ქართველმა სპორტსმენმა გოგიტა არქანიამ 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში 6 ორთაბრძოლა მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მანამდე ხორვატეთის გრან-პრი მოიგო აბსოლუტურში. ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელსაც მაისში ათენი უმასპინძლებს.

გოგიტა წარმოშობით ოჩამჩირელია. ცხრა წლის იყო, სეპარატისტებმა მის ოჯახს მშობლიური კარ-მიდამო რომ დაატოვებინეს. ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლაში სწავლობდა, მალხაზ პაჭკორიასთან შოტოკან კარატეში რომ დაიწყო ვარჯიში. თანატოლთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს საერთაშორისო ტურნირებშიც არაერთხელ უსახელებია თავი. წარმატებებმა მას შემდეგ იმატა, რაც 2002 წელს სპორტის აკადემიის სტუდენტი გახდა და გრიგოლ დარჩიაშვილთან განაგრძო წვრთნა.

- 2005 წელს სასპორტო კლუბი „ალიგატორი“ (ხელმძღვანელი მერაბ მელუა) გაიხსნა და იქ გადავედი სავარჯიშოდ, - იხსენებს გოგიტა არქანია. - იმავე წელიწადს WKF-ის (მსოფლიოს კარატეს ფედერაცია) ვერსიით ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. კლუბის დახმარებით შარშანწინ ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონატზე მარტოდმარტო გავემგზავრე; იქაც ბრინჯაო მხვდა. არადა, უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა, გვერდით მწვრთნელი რომ მყოლოდა. მახსოვს, ტატამზე გასვლის წინ საფრანგეთის ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი ფულკიე მოვიდა ჩემთან, წყალი და ვიტამინები გამომიწოდა - ვხედავ, რომ მარტო ხარო. ისიც დასძინა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებთან მიმუშავია, თქვენს ქვეყანას და ხალხს კარგად ვიცნობო. დოპინგკონტროლის შიშით, მართალია, ვიტამინები არ მიმიღია, მაგრამ უცხოელის ასეთმა ყურადღებამ ენერგია შემმატა. ოთხ მეტოქეს ვძლიე. ნახევარფინალში ბერძენ მარგარიტოპულოსს 3:1-ს ვუგებდი, მაგრამ ბოლო წამებზე ორქულიანი დარტყმა გამომეპარა და ჰანტეით დავმარცხდი. სამწუხაროდ, დრო ვერ გავაკონტროლე, თორემ ფინალში გავიდოდი და იქ კი არავინ იცის, რა მოხდებოდა. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანელ რაფაელ აგაევს, რომელმაც მესამედ მოიპოვა მაშინ მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი, შარშან ნოემბერში მოსკოვში მსოფლიოს დედაქალაქების თასის გათამაშების ნახევარფინალში 2:1 მოვუგე. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი მისი თანამემამულე ნიაზ ალიევი დავამარცხე 4:2 და პირველი ადგილი დავიკავე.

**- შარშან თქვენ მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვეთ...**

- დიახ, ოღონდ ეს იყო შოტოკან კარატე დოს საერთაშორისო ფედერაციის (პრეზიდენტი ჰიროკაზუ კანაზავა) ვერსიით. პლუს 78 კილოში შვიდი ორთაბრძოლა მოვიგე და პირველი ადგილი დავიკავე. სხვათა შორის, იმ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა გოგონებმაც. თათია მელუა (60კგ) ინდივიდუალურ კუმიტეში მეორე იყო, მძიმე წონაში კი ინგა შეროზია მესამე ადგილზე გავიდა. გუნდურ კუმიტეში ჩვენმა ნაკრებმა (მელუა, შეროზია, ნანა დარასელია) ფინალური პაექრობა იაპონიას მოუგო, რაც ტურნირის სენსაციად მოინათლა. ახალგაზრდებში არჩილ თოფურია ვერცხლით დაკმაყოფილდა.

**- რაზე ოცნებობთ?**

- პროფესიონალი სპორტსმენი ვარ და, ცხადია, უპირველესი საზრუნავი საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლაა. მონდომებით ვემზადები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისთვის, რომლებიც სერბეთსა და საბერძნეთში გაიმართება... პატარა ვიყავი, ოჩამჩირე რომ დავტოვეთ, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი ეზო, ყურში ჩამესმის შავი ზღვის ტალღების ხმაური. წლები ვერ შლის ბავშვობის სურათებს. ამიტომაც ჩემი ყველაზე დიდი ოცნება აფხაზეთში დაბრუნებაა. ღმერთმა ქნას, რეალობად იქცეს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონში მეხი გავარდა

## ჯორდანმა შარლოტ ბობკეტსი იყიდა



„ნიუ ჯერსი ნეტსმა“ მიმდინარე რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზა. სეზონის უპირველესი აუტსაიდერი სტუმრად აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერსა და ჩემპიონობის პრეტენდენტ „ბოსტონ სელტიქსს“ ესტუმრა. მაგრამ ფავორიტი იმდენად აგდებულად მოეკიდა მეტოქეს, რომ 200 პროცენტით დაიმსახურა წაგება.

ერთ-ერთ ინტერვიუში „სელტიქსის“ ცენტრმა **კენდრიკ პერკინსმა** განაცხადა: *„მოგვბეზრდა რეგულარულ ჩემპიონატში თამაში. დაიწყეთ პლეი ოფი და მაშინ ნამდვილ კალათბურთს გიჩვენებთ“.* შეიძლება ეს ასეც არის, მაგრამ **დოკ რივერსის** შეგირდებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ პლეი ოფის ეტაპზე საკუთარი მოედნის უპირატესობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან აღმოსავლეთში ოთხი გუნდი („კლივლენდი“, „ორლანდო“, „ბოსტონი“ და „ატლანტა“) თანაბარი ძალისაა და თითოეულს ძალიან გამოადგება გადამწყვეტ მატჩებში საკუთარი ტრიბუნების გამხნევება.

მიუხედავად იმისა, რომ სტარტი 2:12 წააგო, „ნიუ ჯერსი“ მართლაც საბრძოლო განწყობით შეხვდა აღნიშნულ შეხვედრას და მეტოქეზე გაცილებით აგრესიულად თამაშობდა. პირველი შესვენებისთვის სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში და **კენიონ დულინგის** სამქულიანით წინ გავიდნენ - 29:27. ამის შემდეგ „სელტიქსი“ მუდმივად მდევრის როლში იყო.

„ბოსტონის“ სათადარიგო კალათბურთელები მზად არ აღმოჩნდნენ წინააღმდეგობის გასაწევად, „ნიუ ჯერსი“ კი აძლიერებდა ყველა ფრონტით ზეწოლას - შორეული და საშუალო ტყორცნები, ფარქვეშ ბრძოლა, გარღვევები... მასპინძლების დაცვა ვერ ასწრებდა რეაქტიული **დევინ ჰარისისა** და **კორტნი ლის** შეჩერებას, ასევე ხშირად ეპარებოდა ფარქვეშ **ბრუკ ლოპესი** და **კრის ჰემფრიზი**. შედეგად, ხშირი იყო მასპინძელთა მხრიდან ჯარიმები - „ნეტსმა“ მეტოქეზე ოთხჯერ მეტი საჯარიმო შეასრულა.

„ნიუ ჯერსის“ უპირატესობა პრაქტიკულად ყოველ წუთს იზრდებოდა - დიდი შესვენებისთვის „ნეტსი“ 7 ქულას იგებდა (71:64), მესამე მეოთხედის შემდეგ 10 ქულას (74:64), დულინგის ორი სამქულიანის შემდეგ კი სხვაობა 18 (!) ქულას შეადგენდა (94:76). „ბოსტონის“ გულშემატკივრებს საკუთარი თვალების არ სჯეროდათ. რა თქმა უნდა, მასპინძლებმა თამაშის გადარჩენა სცადეს და ორი წუთით ადრე ექვსი ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „ნიუ ჯერსიმ“ მოიგო - 104:96. ეს იყო აუტსაიდერის მეორე მოგება თებერვალში და მეექვსე - სეზონის 58 მატჩში.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი** დათანხმდა „შარლოტ ბობკეტსის“ შეძენას და კლუბის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანას.

„ბობკეტსის“ ამჟამინდელი მფლობელის, **ბობ ჯონსონის** წარმომადგენელმა **ტრეისი ბლანტმა** სააგენტო AP-ს აცნობა, რომ ლეგენდარულ კალათბურთელს კლუბის შეძენაზე გუშინ, გვიან ღამით მოელაპარაკა.

გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. ახლა ჯერი NBA-ის სხვა კლუბების მფლობელებზეა, რომლებმაც ერთხმად უნდა დაუჭირონ მხარი ამ გარიგებას.

### 26 თებერვალი

**ტორონტო-კლივლენ. 118:126 (ო)**

30:33, 30:27, 22:26, 29:25, 7:15

ტ: ბარნიანი (24), ჯეკი (24), თურქოგლუ (18), ევანსი (13+5 მოხსნა), უიმსი (11), რაიტი (10).
კ: ჯეიმსი (36+9 პასი+6 მოხსნა), ჯეიმისონი (22+11 მოხსნა), უილიამსი (22+6 პასი), უესტი (15), ვარეჟაო (11+8 მოხსნა), პარკერი (10+6 პასი).

**ვაშინგტ.-ნიუ იორკი 116:118 (ო)**

30:24, 29:28, 26:29, 27:31, 4:6

ვ: ბლეტჩი (26+18 მოხსნა+6 პასი), ფოიე (22+10 პასი), მაკგი (18+10 მოხსნა+5 დაფარება), მილერი (12+6 მოხსნა+5 პასი), ტორნტონი (11+5 პასი).
ნ-ი: ჰარინგტონი (37+7 მოხსნა), ლი (25+16 მოხსნა+5 პასი), მაკგრეიდი (23), ჩენდლერი (11).

**ატლანტა-დალასი 103:111 (ო)**

19:29, 31:21, 26:15, 23:34, 4:12

ა: ჯონსონი (27+10 პასი+5 მოხსნა), სმიტი (18+11 მოხსნა+8 პასი+7 ჩაჭრა), კროუფორდი (18), ბიბი (16+5 პასი), პორფორდი (13+8 მოხსნა).
დ: ნოვიცკი (37+9 მოხსნა), კიდი (19+16 მოხსნა+17 პასი), მერიონი (14+5 მოხსნა).

**ჩიკაგო-პორტლენდი 115:111 (ო)**

31:22, 21:29, 28:28, 23:24, 12:8

ჩ: როუზი (33), დენგი (23+7 მოხსნა), ჰაინრიხი (17+5 მოხსნა), უორიკი (15).
პ: ოლდრიჯი (32+7 მოხსნა), როი (23+6 პასი), ბეილესი (15), მილერი (14+7 პასი).

**მემფისი-შარლოტი 89:93**

27:26, 20:22, 19:21, 23:24

მ: რენდოლფი (24+10 მოხსნა), გეი (20+5 მოხსნა), მაიო (14), კონლი (13).
შ: ჯექსონი (32+11 მოხსნა), დიაო (18+5 მოხსნა), ტომასი (13+5 მოხსნა), უოლასი (10+8 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ორლანდო 100:93**

26:21, 20:35, 26:24, 28:13

ნ-ო: უესტი (40+10 მოხსნა), ტორნტონი (18+7 მოხსნა), კოლისონი (16+7 მოხსნა).
ო: ჰოვარდი (26+10 მოხსნა), ნელსონი (19+11 პასი), რედიკი (11), ბარნსი (10+6 მოხსნა).

**ოკლაჰომა-მინესოტა 109:92**

30:19, 25:22, 29:24, 25:27

ო: დურანტი (25+9 მოხსნა), უესტბრუკი (18+15 პასი+8 მოხსნა), იბაკა (14), გრინი (13+6 მოხსნა), კოლისონი (10+6 მოხსნა), სეფოლოშა (10+6 მოხსნა), კრსტიჩი (10).
მ: ლავი (19 +8 მოხსნა), ჯეფერსონი (12), გომესი (10+7 მოხსნა), ფლინი (10+5 პასი).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 109:104**

31:14, 28:27, 26:28, 24:35

ჰ: მარტინი (33+5 მოხსნა), ბრუქსი (31), სკოლა (30+13 მოხსნა).
ს-ა: ჰილი (26), დანკანი (17+8 მოხსნა), ჯეფერსონი (15+7 მოხსნა), მეისონი (12), ბლეირი (10+6 მოხსნა).

**დენვერი-დეტროიტი 107:102**

22:29, 31:20, 24:26, 30:27

დენ: ბილაპსი (25), ენტონი (24), სმიტი (15+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), აფლალო (14), გრემი (13+ 7 მოხსნა).
დეტ: ჰემილტონი (20+6 მოხსნა+5 პასი), სტაკი (19+7 მოხსნა+6 პასი), მაქსიელი (16+8 მოხსნა).

**საკრამენტო-იუტა 103:99**

25:20, 24:30, 26:25, 28:24

ს: უდრიხი (25), ევანსი (24+8 მოხსნა+7 პასი), პაუსი (15+12 მოხსნა+5 პასი), ლენდრი (15).
ი: ბუზერი (26+10 მოხსნა+6 პასი), კირილენკო (16+6 მოხსნა), მეტიუზი (12), მაილზი (11), უილიამსი (10+13 პასი), მილსეპი (3+10 მოხსნა).

**ლეიკერსი-ფილადელფია 99:90**

24:25, 26:26, 24:18, 25:21

ლ: გასოლი (23+11 მოხსნა+5 პასი), ბაინუმი (20+13 მოხსნა), ბრაიანტი (19+8 პასი), ოდომი (11+9 მოხსნა), ფარმარი (10).
ფ: დალემბერი (24+11 მოხსნა), უილიამსი (16+7 პასი+5 მოხსნა), იგუოდალა (13+10 პასი+9 მოხსნა), იანგი (13+5 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 125:112**

36:28, 27:31, 33:27, 29:26

ფ: ლოპესი (30+12 მოხსნა), სტაუდმაიერი (20), ჰილი (18+6 მოხსნა+6 პასი), ფრაი (15), რიჩარდსონი (14+6 მოხსნა), დადლი (12), ნეში (8+11 პასი), დრაგიჩი (6+10 პასი+5 მოხსნა).
კ: გორდონი (25), აუთლო (18), გუდენი (15+9 მოხსნა), დევისი (13+8 პასი+6 მოხსნა), კამანი (12+5 მოხსნა), ბატლერი (10).

### 27 თებერვალი

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 96:104**

27:29, 15:20, 22:25, 32:30

ბ: გარნეტი (26+9 მოხსნა), დენიელსი (16+3 მოხსნა), რონდო (13+17 პასი+6 მოხსნა), რობინსონი (13), რ. ალენი (10+6 მოხსნა+5 პასი).
ნ-ჯ: ლოპესი (25+7 მოხსნა), ჰარისი (23+5 პასი), ლი (21), ჰემფრიზი (11+10 მოხსნა), დულინი (11).

**მაიამი-მილუოკი 71:94**

18:26, 27:24, 12:25, 14:19

მაი: ჯ. ო'ნილი (14+5 მოხსნა), ბიზლი (10+7 მოხსნა), რაიტი (10), ჰასლემი (8+9 მოხსნა), კუკი (8+3 პასი).
მილ: სალმონსი (18+5 პასი), სტეკჰაუსი (16), დელფინო (15+8 მოხსნა+5 პასი), ჯენინგსი (11+5 მოხსნა+8 პასი).

**ინდიანა-ჩიკაგო 100: 90**

25:24, 29:23, 26:21, 20:22

ი: გრეინჯერი (30+8 მოხსნა), მერფი (17), ჯონსი (17), ჰიბერტი (12+7 მოხსნა).
ჩ: როუზი (27+4 პასიმ), გიბსონი (14+9 მოხსნა), პარგო (14), დენგი (13+18 მოხსნა).

**ნიუ იორკი-მემფისი 109:120**

23:31, 29:25, 36:29, 21:35

ნ-ი: ჰარინგტონი (31+4 მოხსნა), ლი (21+7 მოხსნა), პასი (15+4 პასიმ), გალინარი (11+5 მოხსნა), ჩენდლერი (9+8 მოხსნა+5 პასი).
მ: რენდოლფი (31+25 მოხსნა), გეი (27+5 მოხსნა), გასოლი (25+13 მოხსნა+8 პასი), კონლი (18+5 პასი), მაიო (10).

**მინესოტა-პორტლენდი 91:104**

23:25, 10:22, 24:36, 34:27

მ: ჯეფერსონი (19+11 მოხსნა), სეშენსი (13), ლავი (10+6 მოხსნა), ბრიუერი (10).
პ: ბატუმი (31+7 მოხსნა+7 პასი), ოლდრიჯი (21+7 მოხსნა), ფერნანდესი (18+4 მოხსნა), როი (7+9 პასი).

**იუტა-ჰიუსტონი 133:110**

39:35, 31:24, 37:35, 26:16

ი: უილიამსი (35+13 პასი+7 მოხსნა), ბუზერი (18+8 მოხსნა), მეტიუზი (18), მილსეპი (18+5 პასი), ოქური (17+8 მოხსნა+3 დაფარება).
ჰ: მარტინი (32), ბრუქსი (19+5 პასი), ბადინგერი (14+5 მოხსნა), ტემპლი (11), სკოლა (10).

**გ. სტეიტი-დეტროიტი 95:88**

14:22, 23:28, 29:19, 29:19

გ-ს: კარი (27+5 მოხსნა), ტოლივერი (19+14 მოხსნა+5 პასი), უოტსონი (17+8 მოხსნა+5 პასი), მოროუ (15+5 პასი), ტურიაფი (11+6 მოხსნა+3 დაფარება).
დ: პრინსი (18+6 მოხსნა+8 პასი), სტაკი (17+7 მოხსნა), ჰემილტონი (16+6 მოხსნა), ჟერებკო (11+7 მოხსნა).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| კოლუმბია | |
|---|---|
| კორტულუა-რეალ კარტახენა | 1:2 |
| კუკუტა-ატ. ნასიონალი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კინდიო | 1:0 |
| ამერიკა-ენვიგადო | 2:2 |
| ატ. უილა-ლა ეკვიდადი | 4:1 |
| ხუნიორი-დეპ. კალი | 3:0 |
| ჩიკო-დეპ. ტოლიმა | 1:1 |

| ეკვადორი | |
|---|---|
| მანტა-დეპ. კიტო | 3:0 |
| ესპოლი-ელ ნასიონალი | 5:3 |
| დეპ. კუენსა-ინდეპენდიენტე | 3:0 |
| ლდუ კიტო-ემელეკი | 5:0 |
| უნ. კატოლიკა-მაკარა | 2:3 |

| პერუ | |
|---|---|
| სპორტი-კ. ნასიონალი | 4:0 |
| სესარ ვალეხო-ხოსე გალვესი | 3:0 |
| სპორტ ბოისი-სენსიანო | 2:1 |
| ლეონი-ხუან აურიჩი | 1:0 |
| ალ. ატლეტიკო-ინტი გასი | 1:1 |
| მელგარი-ტოტალ ჩალაკო | 1:2 |

| ურუგვაი | |
|---|---|
| სერო ლარგო-ატენასი | 0:2 |
| დეფენსორი-რამპლა | 2:1 |
| მონტევიდეო-სენტრალი | 1:1 |
| რივერ პლეიტი-პენიაროლი | 2:3 |
| ლივერპული-ფენიქსი | 0:0 |
| სერო-დანუბიო | 1:0 |
| ტაკუარემბო-სერიტო | 1:0 |

| მექსიკა | |
|---|---|
| კრუს ასული-ატლასი | 3:1 |
| კერეტარო-ს. ლაგუნა | 1:1 |
| ატლანტე-მონტერეი | 0:1 |
| ჩივასი-სან ლუისი | 2:0 |
| პაჩუკა-პუმასი | 0:3 |
| ტიგრესი-მორელია | 0:3 |
| პუებლა-ხაგუარესი | 3:3 |
| ტოლუკა-ინდიოსი | 3:0 |

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| სან ანტონიო-ფინიქსი | 113:110 |
| ლეიკერსი-დენვერი | 95:89 |

| გერმანია | |
|---|---|
| ფინიქსი-ერტლანდი | 71:83 |
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 77:58 |
| მიტლდოიჩე-ალბა | 71:69 |
| ტელეკომი-დიუსელდორფი | 54:52 |
| ულმი-ბრემერჰავენი | 99:87 |
| ტიუბინგენი-გიოტინგენი | 75:77 |
| ოლდენბურგი-ლუდვიგსბურგი | 77:58 |
| გესენი-ბრაუნშვაიგი | 65:71 |
| ტრირი-პადერბორნი | 98:101 (ო) |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-კოლოსოსი | 59:64 |
| პანიონისი-პანელინიოსი | 85:87 |
| პერისტერი-ოლიმპია | 90:69 |
| ტრიკალა-არისი | 87:85 (ო) |
| პაოკ-კავალა | 77:84 |
| ილისიაკოსი-მარუსი | 74:69 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 98:91 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ხუვენტუდი-გრანადა | 76:86 |
| ვალენსია-ფუენლაბრადა | 84:71 |
| ალიკანტე-რეალი | 55:95 |
| გრან კანარია-კახა ლაბორალი | 86:85 |
| სევილია-ბარსელონა | 64:71 |
| ესტუდიანტ.-ვალიადოლ. | 98:86 (ო) |
| ობრადოირო-მანრესა | 80:87 |
| ბილბაო-ბრუესა | 88:62 |
| მურსია-უნიკახა | 74:89 |

| იტალია | |
|---|---|
| ბენეტონი-აველინო | 73:64 |
| კანტუ-სკავოლინი | 81:93 |
| ვანოლი-ბიელა | 75:68 |
| ვარეზე-მონტეგრანარო | 74:88 |
| ვირტუსი-ტერამო | 77:67 |
| რომა-ფერარა | 84:73 |
| სიენა-მილანი | 80:65 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-გრაველენი | 76:70 |
| ჰავრი-პუატიე | 66:60 |
| რუანი-ნანსი | 74:93 |
| ვიში-როანი | 60:63 |
| შოლე-დიჟონი | 88:67 |

### ჰოკეი

| ოლიმპიადა. კაცები. ფინალი | |
|---|---|
| აშშ-კანადა | 2:2 დ.დ. 0:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ალბა-ვენა | 1:4 |
| ვილახი-ლინცი | 3:3 დ.დ. 0:1 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 0:2 |
| ზაგრები-გრაცი | 3:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰამბურგი-კასელი | 3:1 |

| დანია | |
|---|---|
| როდოვრე-ოდენსე | 8:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტიორნენი-ფრისკ ასკერი | 6:4 |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 5:1 |
| ლილეჰამერი-სპარტა | 1:4 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 3:5 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვანი | 3:3 ბულ. 0:1 |
| მარტინი-სკალიცა | 2:0 |
| ნიტრა-მიკულაში | 4:3 |
| სლოვაკეთი (U20)-ბისტრიცა | 1:4 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 4:6 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ტიმრა | 4:4 |
| როგლე-ჰ371 | 3:3 |
| იურგორდენი-სიოდერტალე | 5:4 |
| ლულეა-ლინჩოპინგი | 4:1 |
| მოდო-ფერიესტადი | 10:3 |
| ბრიუნასი-ფრიოლუნდა | 1:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| კარლოვიჩი-ფიში | 6:2, 6:3 |
| გულბისი-ნიემინენი | 6:4, 6:4 |

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-იუჟნი | 7:5, 5:7, 6:3 |

| ATP. აკაპულკო | |
|---|---|
| ფერერი-ფ. გონსალესი | 6:7, 6:0, 6:4 |
| ფერერო-მონაკო | 7:5 უარი |
| ფერერი-ფერერო | 6:3, 3:6, 6:1 |

| WTA. კუალა ლუმპური | |
|---|---|
| კლეიბანოვა-მორიტა | 6:4, 6:1 |
| დემენტიევა-ბამერი | 6:1, 6:3 |
| დემენტიევა-კლეიბანოვა | 3:6, 2:6 |

| WTA. აკაპულკო | |
|---|---|
| ვ. უილიამსი-ჰერცოგი | 2:6, 6:2, 6:3 |

## ამბები

### კალათბურთი

# მარბერის აზიური ტრიპლ-დაბლი

ჩინეთის ლიგაში მოთამაშე **სტეფონ მარბერიმ** ისევ შეგვახსენა თავი. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა მორიგ ტურში პირველი აზიური ტრიპლ-დაბლი გაიფორმა. „შანქსის“ ამერიკელმა მცველმა „ლიაონინის“ წინააღმდეგ 26 ქულა, 13 მოხსნა და 12 შედეგიანი პასი დააგროვა, მისმა გუნდმა კი 104:99 გაიმარჯვა.

ამ გამარჯვების შემდეგ „შანქსი“ გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილზე დამკვიდრდა, პირველ პოზიციაზე კი „გუანდონია“, რომლის ლიდერი გახლავთ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილი მოთამაშე **სმეშ პარკერი**.

რაც შეეხება მარბერის, ახლა მისი სტატისტიკა ჩინეთის ჩემპიონატში 21.3 ქულას, 6.2 მოხსნასა და 10.0 შედეგიან პასს შეადგენს.

### ჰოკეი

# ხაბიბულინს ციხე ემუქრება

„ედმონტონ ოილერზის“ მეკარე **ნიკოლაი ხაბიბულინს** 30 დღიდან 6 თვემდე პატიმრობა ელის. შეგახსენებთ, რომ 8 თებერვალს რუსის შავი „ფერარი“ არიზონის შტატის პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერა. ხაბიბულინმა ალკოჰოლზე ტესტი ვერ გაიარა და პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა. რუსმა აღიარა, რომ ერთი ჭიქა ღვინო ჰქონდა დალეული.

სასამართლომ რუს ჰოკეისტს რამდენიმე ბრალდება წაუყენა. საქმის განხილვა 16 მარტს არის დაგეგმილი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა „ედმონტონის“ ლეგიონერს კანონთან პრობლემები აქვს. 2006 წელს ხაბიბულინმა ავტოდაზღვევის ფინანსური გარანტიების წარდგენა ვერ შეძლო. შესაძლოა, ამ შემთხვევამ ცუდი სამსახური გაუწიოს მას მომავალი სასამართლო გარჩევისას.

### ჩოგბურთი

# ბრაიანების რეკორდი

მსოფლიოს წამყვანი წყვილის წევრები - ამერიკელები **ბობ** და **მაიკ ბრაიანები** ჩოგბურთის ისტორიაში შევიდნენ. მათ პროფესიულ კარიერაში მეექვსასე გამარჯვებას მიაღწიეს - ასეთი შედეგი აქამდე არცერთ დუეტს არ ჰქონია.

ტყუპი ძმებისთვის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა დელრეი ბიჩის ტურნირის ნახევარფინალში მოხდა. ამერიკელებმა **ტეილორ დენტისა** და **რაიან ჰარისონის** დუეტი დაამარცხეს - 6:7, 7:5, 10:4.

ფინალში ბრაიანებს **ფილიპ მარქსისა** და **იგორ ზელენაის** დუეტი ელით. გამარჯვების შემთხვევაში ძმები კარიერაში 58-ე ტიტულს მოიგებენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

### 1 მარტი. ორშაბათი

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-რომა.
09:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. ფინალი. კაცები. კანადა-აშშ. ვანკუვერი. კანადა.
11:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-პალერმო.
13:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
17:20 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
18:45 100% დინამო.
19:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
20:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. დახურვის ცერემონია. ვანკუვერი. კანადა.
00:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
00:55 პროფესიული კრივი. არტურ აბრაჰამი-ლაჰუან საიმონი. გერმანია.
02:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. ფინალი. კაცები. კანადა-აშშ. ვანკუვერი. კანადა.
04:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-პალერმო.
06:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი.
07:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თხილამურებით რბოლა. მას-სტარტი 30 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
11:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
12:55 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი 7.5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
14:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-რომა.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. IV ტური. რეალი-მონტეპასკი.
17:40 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
19:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
21:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
23:50 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი 7.5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
01:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. IV ტური. რეალი-მონტეპასკი.
02:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
04:50 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
06:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-რომა.

**EUROSPORT**

11:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. დახურვის ცერემონია. ვანკუვერი. კანადა.
13:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
13:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
14:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
15:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. საუკეთესო მომენტები. ტელეჟურნალი.
16:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. დახურვის ცერემონია. ვანკუვერი. კანადა.
17:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ვანკუვერი. კანადა.
18:30 მულტისპორტი.
19:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. საუკეთესო მომენტები. ტელეჟურნალი.
20:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. დახურვის ცერემონია. ვანკუვერი. კანადა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
23:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
03:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. ფინალი. კაცები. კანადა-აშშ. ვანკუვერი. კანადა.

# გერმანია ელიტაში დაბრუნდა

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ **მათიას ბერტჰოლდს** შეუძლია იამაყოს. მისი მუშაობის წყალობით გერმანელი ქალები მსოფლიოს ელიტას დაუბრუნდნენ, თუმცა მაინც არავინ ელოდა ამ ქვეყნის ქალთა ნაკრებისგან სამი ოქროს მოპოვებას. აქედან ორი პირველი ადგილი ვანკუვერის თამაშების ერთ-ერთ გმირ **მარია რიშზე** მოდის.

გერმანელებს სპორტის ამ სახეობაში დიდი ხანია ხეირიანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ეს უილბლო სერია იქამდე გრძელდებოდა, სანამ ნაკრები ავსტრიელმა მათიას ბერტჰოლდმა არ ჩაიბარა. ეს სპეციალისტი ცალკე სალაპარაკო თემაა, მაგრამ დღეს მის ყველაზე ბეჯით შეგირდზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ელეგანტური, საინტერესო, ცოტათი ამოუცნობი და მთავარი კონკურენტის **ლინდსი ვონის** დიდი მეგობარი - სწორედ ასეთ მარია რიშს იცნობენ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები. ეს გახლავთ უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა მოთხილამურე, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატებზე ყველა სტარტს უკონკურენციოდ იგებდა. ბოლო ორი სეზონია მარია დიდ კონკურენციას უწევს ვონს მსოფლიო თასის ბროლის გლობუსისთვის ბრძოლაში. და კიდევ, მას ჰყავს და, რომელიც ასევე სამთომოთხილამურეა, მაგრამ ვანკუვერში ხელი მოეცარა.

ოლიმპიადის შემდეგ რიში ბავარიული საზოგადოების ნამდვილი კერპი გახდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მარიას მარიანპლატცზე მოუწყობენ გრანდიოზულ ზეიმს, სადაც ბევრი ტაში და ლუდი იქნება. რიშს იქ გვერდს დაუმშვენებს გიგანტური სლალომის სენსაციური გამარჯვებული **ვიქტორია რებენსბურგი**. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, რიშმა თავისი ოქროები სრულიად კანონზომიერად მოიპოვა. ამაში ეჭვი არავის ეპარება.

რიშმა ყველანაირ ზეწოლას გაუძლო. მთელი გერმანია მას შესცქეროდა, მაგრამ მარიამ მშვიდად გაიარა სლალომის ტრასა, თანაც რისკსაც არ მოერიდა. ყველას ეგონა, რომ ცოტაც და, შეცდომას დაუშვებდა, მაგრამ მისი გამოსვლა იდეალური იყო. მარია რიში დიადი ჩემპიონია, რომელმაც ამ ოლიმპიადაზე თვით ლინდსი ვონი დაჩრდილა.

■ ■ ■

დიდი ინტერესით ელოდნენ ოლიმპიადის ბოლო დისციპლინას - კაცებს შორის სლალომს. ეს ინტერესი იმით იყო განპირობებული, რომ ავსტრიის მამაკაცთა ნაკრებისგან ყველა რეაბილიტაციას ელოდა - სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი გრანდი აქამდე უმედლოდ (!) გამოდიოდა უისტლერის ტრასაზე.

ამ რეაბილიტაციას თითქოს **ბენიამინ რაიხმა** ჩაუყარა საფუძველი, როცა პირველ ცდაზე ლიდერობა იგდო ხელთ, მაგრამ სახელოვან ავსტრიელს სენსაციურად გაუსწრეს სლოვენიელმა **მიტია ვალენჩიჩმა** და იტალიელმა **ჯულიანო რაცოლიმ**. ორივე სპორტსმენი საკმაოდ ძლიერი და გამოცდილია, მაგრამ ასეთ შედეგს მათგან არავინ ელოდა.

მეორე ცდაზე საშუალედო ლიდერის სტატუსი შვედმა **ანდრე მიურერმა** მოიპოვა, რომელმაც საკმაოდ კარგი დრო აჩვენა. ამის შემდეგ ლიდერთა ჯერი დადგა. აშკარად ჩააგდეს მეორე დაშვება **სილვან ცურბრიგენმა, ჟულიან ლიზერუმ, მანფრედ მოელგმა**, თითქმის ყველა ავსტრიელმა... მათ ერთადერთ იმედად რაიხი რჩებოდა.

პირველად მიურერის დრო ბრწყინვალე ხორვატმა **ივიცა კოსტელიჩმა** გააუმჯობესა და ლიდერობა იგდო ხელთ. შემდეგ დაეშვა რაიხი, მაგრამ მხოლოდ მესამე დრო აჩვენა, რაც თითქმის არ უტოვებდა მედლის შანსს.

ჯერი პირველი წრის ორ სენსაციაზე მიდგა. პირველი ვალენჩიჩი იყო, მაგრამ სლოვენიური ოცნება არ შედგა. კოსტელიჩმა მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდა, მიურერმა - მესამე. დაბოლოს, ტრასაზე ჯულიანო რაცოლი გავიდა. მან ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთა. არ ინერვიულა, თანაც რისკსაც არ მოერიდა... ის სენსაციური, მაგრამ დამსახურებული ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

თავისი გამოსვლით კვლავ ღიმილი მოჰგვარა მაყურებელს **ბოდე მილერმა**. ვანკუვერში სამი მედლის მოგების შემდეგ, ამერიკელმა ჩვეულებას არ უღალატა და ერთი სისულელე მაინც ჩაიდინა. სლალომის პირველ ცდაზე მან მესამე (!) კარის გავლისას დაუშვა შეცდომა და ასპარეზობა დაასრულა.

### სლალომი. ქალები

1. **მარია რიში** (გერ) - 1:42,89; 2. **მარლის შილდი** (ავსტრია) - +0,43; 3. **სარკა ზარობსკა** (ჩეხ) - +1,01; 4. **მარია პიტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - +1,33; 5. **სანდრინ ობერი** (საფ) - +1,57; 6. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - +2,04...

### სლალომი. კაცები

1. **ჯულიანო რაცოლი** (იტა) - 1:39,32; 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - +0,16; 3. **ანდრე მიურერი** (შვედ) - +0,44; 4. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) +0,49; 5. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - +0,88; 6. **მიტია ვალენჩიჩი** (სლოვენ) - +1,03...

**გია თვალაბეიშვილი**









